

ფაფიანი საღატაკი

სააპა  
პაკეტონ

\*\*\*

ეს ნვიმიხვერი მშანებუბი  
ძლიერი გამიგვდნენ,  
ის დროა, ვგონებ, ქარხნდერებს  
გამოვედევნო,  
მერე ვი, ალბათ, მინიხვერი  
შემიყვარდება,  
მანამდე მენ არ დამილონდე,  
მინაც, ბებერი!

ნვიმიხვერებმა გეგხლიხვერი  
შეგვალეს ერთ დროს,  
უდაბნო ხულში ნიხლიხვერი  
ხევედა გამეფდა...  
ძლივს გამოვანარ იმ მშანებებს  
დადერფლილ ფრთებით,  
ნეგავ როგორღა დამთავრდება  
გვევა ქარებთან?!

ელდინო საღარაძე

სქვა

ქარებთან

რედაქტორი: მარინა თექთუმანიძე  
გარეკანის ფოტო: კახაბერ შარტავა  
ტექნიკური რედაქტორი: ხვიჩა ხურციძე

© ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ნიგნი დაკაზადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „საარში“  
ISBN: 978-9941-0-6507-1

## გზა საუფლო „მე“-სკენ

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ უცნაურ ღამეულ სიზმარ-ცხადში მოვხვდი, გარშემომყოფთ ვკილავდი, ნამოქმედარს ვუნუნებდი, ვბრაზობდი მათზე. – ასეთი საქციელი უცხოა შენთვის? აი მაშინ... შენც ხომ ანალოგიურად მოიქეცი?! – მომესმა ხმა საიდანღაც და საკუთარი ცხოვრების ფილმის კადრები ამოძრავდნენ თვალწინ. დილით მადლობა შეგვირე უფალს ამ წყალობისთვის. ეს ამბავი ელდინოს ლექსების ხელახალი კითხვისას ამომიტივტივდა თავში და მივხვდი, რომ სიზმარი უშუალო გაგრძელება იყო ამ ლექსებისა, იმ ქალის პოეზიისა, ვინც საკუთარი ცხოვრებით და ლექსებით მიმიყვანა თითქოს მარტივ ჭეშმარიტებამდე, სინამდვილეში კი საკუთარი თავის შეცნობის ურთულეს პროცესამდე და განმითქვიცა რწმენა, რომ უფალიც შენშია და უწმინდურიც, რომელს აღაზევებ საკუთარ სულში, ეს შენი გადასაწყვეტია (სწორედ ამ გადაწყვეტილებით წერ საკუთარ ბედის-წერას) და თუკი ამ საქმეს დაკვირვებით და გულმოდგინედ შეუდგები, ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ არც ისეთი კარგი ყოფილხარ, როგორიც გეგონა თავი. ელდინო სალარაძის პოეზია უფლის, საკუთარი თავის ძიების პოეზიაა და შეუძლებელია, აუღელვებლად წაიკითხო, პოეტი ქალი „მე“-ების კორიანტილში („ბაბუნავერას ველების გლოვა“) როგორ დაეძებს საკუთარ საუკეთესო „მე“-ს, რათა გადარჩეს და „მე“-ც გადარჩინოს. „ქაოსის კედლებს აწყდებოდნენ ჩემი „მე“-ები, ა, ის ქალები, ჩემს სახეზე ჩემს თვალს რომ მიბრიალებდნენ ბაბუნავერას ველზე რბოლისას და ჩემს სხეულზე ჩემეული კაბა რომ ეცვათ“... „მკვლელი „მე“-სათვის მტრობა „მე“-ს რომ ჩაეველო ხელი, მე დედა ვარო შენი, მშობელი, ჩასჩინებდა, თავად მე კი შურმა მშობაო, ძვირფასმა დედამ“... „ხოლო თვით ის კი, ამპარტავნება, ამოეფარა ათას სუნთქვას, ათას გამოთქმას, არ აჩინა თავისი თავი და ჩემთან ერთად გააგრძელა სახლის ლაგება, ჭურჭლის რეცხვა, ლექსების თხზვა და კოხტაობა დიდი სარკის წინ“... დამეთანხმებით, ძალიან რთულია, საკუთარ თავს უყურო სხვისი, ხანდახან მტრის თვალითაც კი, რათა დაინახო ზუსტი, შენგან არშეთხზულ-გამოგონებული ნამდვილი „მე“.

რელიგია, მითოლოგია, მეცნიერება, ერთმანეთში შეჭრილ-შედუღებული და მათი კვეთის წერტილში – ადამიანი, მოსურნე თავისი გონების განვითარებისა სამივე მიმართულებით. ასეთია ელდინო სალარაძე, მარადიული მონაფე, მაძიებელი, რომელიც თვითონაც ყოველდღიურად იზრდება და გარშემომყოფებთანც გვეხმარება გაზრდაში.

ელდინოს უყვარს პოეტების პოეზიისათვის ემბლემების „მინიჭეხა“. თავად ელდინოს პოეზიას ალბათ ყველაზე მეტად ეს ემბლემა მოუხდებოდა – „გზა საუფლო „მე“-სკენ“.

და ბოლოს... უფალი ხანდახან დიდად გვწყალობს და გვაჯილდოებს. უფლის ასეთი წყალობაა ჩემთვის ელდინო სალარაძე – ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო საჩუქარი.

**მარინა თექეთმანიძე**

# ბაბუნავერას ველეების გლოვია

## ფარდა გახსენით!

ეს ღილი კარგად დამიმაგრეთ, თორემ ამწყდება,  
ჩქარა! მესამე ზარი დარეკეს!  
ბუტაფორული გრიგალები სცენის სიღრმიდან  
წამოუშლიათ მარჯვე მარეკებს.  
ტკბილო მოხუცო, დირიჟორის დაუშვი ჯოხი!  
ორკესტრანტებიც გაუშვი დროზე!  
ეს წარმოდგენა, დიდ სცენარში უკანასკნელი,  
ჩაივლის გედის სიმღერის ფონზე!  
უსივრცობიდან მაყურებლად ანგელოსები  
მოუწვევიათ ფრთიან შიკრიკებს,  
ახლა სხედან, რომ დაასვენონ დაღლილი მხრები,  
მეც კულისებში წავიბდგი-ფთქი-პტკებ\*.  
დამცინავ ღიმილს დავიხატავ ღია ბაგეზე,  
როს გავიხსენებ წინა პიესებს,  
ცრუ მიზანსცენებს უმარტივეს ჰანგებს ვაცმევდი,  
ყურს ვუყრუებდი მოზეიმე ბემოლ-დიეზებს.  
ყალბი სიტყვები შემოვლობე მეჩხერ მესრებით,  
ახლა იქ ქარი დახეტილობს...  
უფალო, შენი სცენარების წმინდა მარცვალი  
ვერ ჩავუმაგრე კლდეთა ფრიალოს.  
ხან სატრფო ვიყავ, ხანაც ვითომ ერთგული დედა,  
ხან ვმეტყველებდი ცოლის ენაზე,  
ხელებს ვიმტვრევდი, ვქვითინებდი, მაგრამ ვაი, რომ  
ყალბ ცეცხლს ვანთებდი ავანსცენაზე.  
გამოვიარე ვაიგმირთა ბნელი რიგები,  
ნაოსტატარი რჩეულ ხერხებით,  
მაგრამ დღეს ყველა პროჟექტორი ჩართე, მაესტრო!  
ბოლო სცენაში დიდ პარტნიორს – სიკვდილს შევხვდები!  
ბუტაფორული გრიგალები უკან გარეკეთ!  
ნამდვილ ქარიშხლებს დავედევნები!  
თქვენ, მარეკებო, ბუკის ნაცვლად ზარი დარეკეთ!  
საბარძიმეში ჩამინვეთეთ წმინდა მტევნები!

\* იგულისხმება ნავარჯიშება სასცენო მეტყველების სპეციფიური სავარჯიშოების მიხედვით.

სიტყვავ მართალო, მადლობა, რომ დროზე მომისწარ!  
გზა მოგასწავლა ჩემმა მთიებმა?!  
შენ მომანოდე რეპლიკები დიად სცენარის,  
სიყალბე აღარ მეპატიება!  
ჩემო მართალო სიყვარულო, დამარცხებულო,  
ახლა ყველაზე მეტად მჭირდები!  
რა საოცარმა ყვავილებმა გამოგიმტვრიეს  
სულშეგუბებულ მკერდზე კვირტები!  
ჯვრების უღრანი მეხატება შიშველ სხეულზე,  
ლოცვა მწყურდება სკვნილზე ჩამარცვლით,  
უკვე მზადა ვარ, ასტრალები მოვითარეშო,  
ვარსკვლავისფერი კაბა ჩამაცვით!  
თვლების მწვანე გადალეკა სამყაროს ფერმა,  
უკვე აღმართეს ჯვარი დამსხნელი,  
რაღაც ინთება სულის თხემზე... რაღაცა ქრება...  
უკვე მზადა ვარ, მარეკებო,  
ფარდა გახსენით!!!

28.10.2013

## ბაბუანვერას ველების გლოვა

აჩქარებული გულისცემა მშფოთვარ მინდვრების ბაბუანვერებს შევალენე და ის საბრალონი ქარის ველზე სასიკვდილო რხევით აცეკვდნენ.

პიტალო კლდეებს შევამსხვრიე ოცნებების და იმედების კორიანტელი, ზურგს უკან მათი აუხდენლობის კვნესა მესმოდა.

ნივილ-კივილით ეშვებოდნენ ვარსკვლავები ჩემი ზეციდან. თითო ნაბიჯით ვასწრებდი მხოლოდ იმ ვარსკვლავცვენას, მიწაზე ყოფნის ბოლო წუთს რომ ანადგურებდა.

მესმოდა ფრთების ლანალუნი დაშლილ მხრებიდან. დამშეულ მიწას ჩემი სამოსის ბოლო ნაფლეთებს – კუთვნილ ლუკმებს უხვად ვუყრიდი, თვითონ გავრბოდი.

გონს რომ მოვედი, სიცივისაგან გალურჯებულ ჩემს სიშიშვლეს თავი ერთგულ კალთაზე ედო. უკვე შორიდან მომესმოდა წყევლა-კრულვა ჩემი მდევრების და მომაკვდავი ბაბუანვერას ველების გლოვა. მეხსიერება გაჭირვებით აგროვებდა ბოლო წუთებს დიდი რბოლისას:

...მე გამოვრბოდი, ისინი კი მომდევდნენ უკან. სახეშემლილი გამალებით მორბოდნენ ჩემკენ, აფრიალებდნენ მთლად ჩემეულ კალთებს კაბისას და ყოველ მათგანს ჩემი ჰქონდა ხმა და იერი, სახეც ჩემივე, ოღონდ ძლიერ გამკრთალებული.

ერთი კიოდა, მკვლელი ხარო, ცივისსხლიანი!

მე ის ვიცანი. სულ ერთი წუთით დაიბრუნა საკუთარი ხმა და იერი და შემახსენა სადედოფლო ტახტი, რომელზეც ჩემი პირველი სიყვარული მორჭმულად იჯდა. ის კი მოიჭრა, ჩემი ფერადი გულისტქმანი ჩამომაბერტყა, ამოალაგა მერე თავისი, ზოგი თვალეში ჩაიღვარა, ზოგიც ამაყად მოისხა მხრებზე, დაჯდა ჩემს ტახტზე, ყური მიაპყრო ჩემი მეფის ნაბიჯების ხმას, რომელიც უკვე მისკენ, მხოლოდ მისკენ ეშურებოდა. ტახტის დედოფალს ძველისძველი ვაისახელი – მეტოქე ერქვა!

...და მაშინ იყო, გავუგზავნე სასიკვდილო სურვილების დიდი ულუფა. ჩემივე ხელით დავუხუჭე ლურჯი თვალეები,



საკუთარ ხელით გავუთხარე ვინრო სამარე და წამოვმართე მომალლო ბორცვი საკუთარი მცირე სამყაროს ერთ უდაბურ სასაფლაოზე, რომლის გზები მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ვიცოდი.

როდის და როგორ აღდგა მკვდრეთით იმ სამყაროში?!

როგორ მიიღო ჩემი სახე?!

როგორ შემერწყა?!

როგორ განტოტდა ჩემს სხეულში, ძვალში და რბილში ისე, თავი რომ არ უმჟღავნებია დიად საზღვრამდე, მერე კი როგორ მომახალა მკვლელის სახელი! შეძრწუნებულმა მივიხედე და... ის მე ვიყავი! სასაფლაო კი – ჩემი სამყაროს მომალლო ბორცვი, შენუხებული, ნირნამხდარი ილიმებოდა.

ერთგული კალთის თბილი სილბილე შეირხა წამით. თავი ავნიე. იმ კალთაზე მიმოყრილიყო ფერადოვანი თაიგულის უცხო სიუხვე.

ისიც ვიცანი... ის თაიგული... ის ქრიზანტემა, ერთგულმა ხელმა რომ მომანოდა, ვიდრე მეტოქეს სიკვდილის სურვილს გავუგზავნიდი. ყურს ჩამჩურჩულა, ეს ყვავილი მიანოდეო. თან დაამატა: სიყვარული ჰქვია სახელად! მერწმუნა მისი, მე არ ვიცი, დასრულდებოდა რით ეს ამბავი, მაგრამ ვერ შევძელ, ვერ ვუძღვენი ჩემს მეტოქეს წმინდა სითეთრე. სამაგიეროდ, შევისახლე ცივისსხლა მკვლელი...

ჩემი სიშიშვლე, უფრო სწორად, გაოგნებული მარტოდენსული, ერთგულის სარკმლებს მიაჩერდა – ყოვლისმხედ თვალს, საიდანაც კარგად მოჩანდა მშვენიერება და სიმშვიდე ბრძენთაბრძენი გალაქტიკების. მივხვდი, ყველაზე დიდი ქაოსი მიწაზე იყო (არა ისეთი – პირვანდელი, საიდანაც იწყებოდა სუყველაფერი). ქაოსის კედლებს აწყდებოდნენ ჩემი „მე“-ები, ა, ის ქალები, ჩემს სახეზე ჩემს თვალს რომ მიბრიალებდნენ ბაბუანვერას ველზე რბოლისას.

მკვლელი „მე“-სათვის მტრობა „მე“-ს რომ ჩაევლო ხელი, მე დედა ვარო შენი, მშობელი, ჩასჩინებდა, თავად მე კი შურმა მშობაო, ძვირფასმა დედამ.

შურიც ვიცანი... ისიც მეტოქემ გამოძებნა შორს დარჩე-

ნილ, უგუნურ დროში თავისი თეთრი ატლასის კანით, თხელი მკლავებით, თბილი სხივებით, რომელიც უხვად იღვრებოდა მის თვალებში შეყვარებული მამაკაცის წრფელი მზერიდან. ღრმად შეყუჟული და ჩაკარგული ჩემს ათას „მე“-ში, კაბის კალთაზე გამოიბა, დღის სინათლეზე გამოიყვანა უბნელესი ლაბირინთიდან, ამპარტავნებას გამოგლიჯა ნაზი მკლავებით.

ხოლო თვით ის კი, ამპარტავნება, ამოეფარა ათას სუნთქვას, ათას გამოთქმას, არ აჩინა თავისი თავი და ჩემთან ერთად გააგრძელა სახლის ლაგება, ჭურჭლის რეცხვა, ლექსების თხზვა და კობტაობა დიდი სარკის წინ. მხოლოდ ბოლო დროს გამომიჩნდა, მხოლოდ ისეთ დროს, ველარაფერს რომ ვერ შევცვლიდი, კისრისტეხით რომ გამოვრბოდი გულგახეთქილი ბაბუანვერას როკვის ველიდან. წამსვე ვიცანი. უკვე აღარ ინიღბებოდა, მაგრამ იქ უკვე ბევრნი იყვნენ – ჩემი „ძვირფასი“ ტყუპისცალები და მათ თვალებში ჩემეული და ჩემ მიმართ ზიზღი ელავდა, ჩემსავე მუშტებს მიღერებდნენ, მემუქრებოდნენ. ვიცი, გადაიქცნენ ბალახების ბოროტ გულისთქმად და ჩამისაფრდნენ უახლოესი მწვერვალის ძირში, რომ ფეხისგულზე ამენებონ, როგორც კი ჩავალ და შევუყვები დედამინის მტვრიან გზაშარას ისევ თავიდან. არადა, სჯობდა, სივრცეებში განოვილიყვნენ და აღარასდროს მოეძებნათ ჩემი ქალაქის უწვრილესი ქუჩაბანდები თავშესაფარად. ერთგული ხელი სულ მანვდიდა ღერ-ღერ ყვავილებს სიყვარულის თაიგულიდან. ვერც კი ვამჩნევდი. იქ არ მახსოვდა, ხელდამშვენებით რომ დახუნძლა ბოლოსწინა სტუმრობა ჩემი, როგორ სათუთად ჩამიმაგრა ჭრელ თავშალში წვრილ-წვრილ მარცვლებად... და ცოტა გვიან იმ თავშალში შეფუთული თბილი მუხლები და ფაფუკი ფეხისგულები რა სიხარულით მიტყაპუნებდნენ გაცისკროვნებულ, ამაყ ღიმილზე – მე ხომ ისინი, ლალი კვირტები, დიდი ტკივილით ამოვფეთქე ჩემი მუცლიდან. მაგრამ სულ მალე ის ტყაპუნი წიხლებად მექცა და ჩამიღენა აღმოდებული ყვრამალები, ადრე თავებს რომ იწონებდნენ კიდევე უფრო ამაყ სარკიდან. მაგრამ ვუნყოფი, ის სიტყვები ქცეულიყვნენ გულქვა წიხლებად, დიდი ხნის წინათ დედაჩემის უბრალო სახეს რომ გავანანი. ამპატავნება კი ზვაობდა: „როგორ მაკადრა!“

არ დაგიდევდა, რომ ახალი ფანტომი გაჩნდა ჩემი სახით, ჩემი სამოსით. მას „მრისხანება“ ესახსოვრა უმსგავს სახელად და შეუერთდა ჩემი „მე“-ების ათასეულებს. „ლეგიონია ჩემი სახელი“ – მიიმღეროდნენ ის ათასები, ამოეზიდათ ეს ვერაგნი ჩემ წიაღიდან ზოგი მეგობრებს, შვილებს, მშობლებს, ზოგნიც კოლეგებს, ბორიალობდნენ ახალ-ახალი უფსკრულების მოთარეშებით, ხან ბალახებში იფანტებოდნენ ცოფის მარცვლებად, აფრიალებდნენ ნაცრისფერ ფურცლებს – თითო მათგანი თითო თავს წერდა ბედისწერის დიდი წიგნისას. ჩემი სამოთხის ხეებს მათი ფოთლები ესხა.

ახლა ვიცოდი, ყველაფერი ვიცოდი უკვე. ახელილიყო თვალი მესამე, მეხუთსავე, ათასმეერთე... მსგავსებას ვჭვრეტდი და ვხვდებოდი, ძლიერ დავშორდი. მასთან მინდოდა!.. მეფერებოდა ერთგული ხელიც, მეუბნებოდა: „რა გემართებათ?! სულ ცოტა ხნის წინ ამ კალთაზე სხვა თავი იდო. ისიც ასევე წუნუნებდა, შურით და მტრობით დავილაღეო. საბრალობელი, სულ ვერ გრძნობდა გაათასებას თავისთავისას.“

...და მე ვტიროდი: „რა მემართება?! იქ ვერ ვხედავდი, ახლა ვხედავ უამრავ თვალთ და ისიც ვიცი, მალე ყველა დამეხუჭება, როგორც კი ორში ამერეკლება საბრალობელი ბაბუანვერას მწვანე ველები“.

ჩემი სიშიშველე, კიდევ უფრო გალურჯებული, როგორ ათრთოლდა, როცა ჩაესმა ერთგული ხმა: „უნდა ნახვიდე! ჩაიბარე ახალი ტოტი, დახუნძლული ახალ-ახალ სიყვარულებით!“ გაფითრებული ბაგეებით როგორ იკივლა: „არსად წავალ, მსგავსება მინდა, მე კი ვხედავ, როგორ დავშორდი, დავიშალე ათიათას ბოროტ ნაწილად!“

„ჰოდა, იარე!“ – სულ დაღბილდა ჩემი ერთგული, ხოლო სარკმლები, ცის ფერები, მწვანეს ირევდნენ...

მე მოვთქვამდი: „შიშველი ვარ! ვერსად წავალ! შენც ხედავ, მიწის ხავერდები ეკლებად იქცნენ. მელოდებიან მსუსხავ ფოთლებით ბედისწერის ავი ნიშნებით აჭრელებული სამოთხის ხენიც“.

„ნუ სწუხარ, მალე შეიმოსები! ამ ქალს შეხედე!“

ქალს სიყვარული უელავდა მწვანე თვალეში და მისი კალთა თბილი იყო, როგორც ერთგულის.

„ნახე, გიორგი, ისეთია... სწორედ ისეთი, სიზმრად რომ ვნახე! გახსოვს, გიამბე ის სიზმარი ჯვრისწერის მერე?!“

ბედნიერები! მათ ახსოვდათ, კარგად ახსოვდათ, მე კი უკვე – არაფერი... სულ არაფერი!..

ჩემი გონება – ვარდისფერი სი-ცა-რი-ე-ლე...

...და დედაჩემის ორად ორ თვალში იღვრებოდა მწვანე სილბილე – ღეროზე ოდნავ მოქანავე, ჰაეროვანი ბაბუანვერას მინდორ-ველები...

დეკემბერი. 2013

\* \* \*

კალთაში მიდევს დედამინის  
შეჭყლეტილი  
ამო სიმრგვალე  
და ვეფერები ქარებისგან დამსკდარ ხელებით...  
ველარ ვასნორებ ამ შეჭყეყილ  
მერიდიანებს,  
ველარ ვაფხიზლებ  
მთვლემარ ძარღვების მოთენთილობას  
შედედებული ლავის ბელტებით.  
გამწარებული ვინყებ კემსვას  
ამოჭმული ცხაურპერანგის, –  
ეგებ ცოტა ხანს კიდევ გაუძლოს  
სიბილნისა და ბოროტების ბორგვა-ბრუნვას  
სამყაროს უსაზღვრობაში...

13.07.2013

## ბრავო, მაესტრო!

ჩემი სიმშვიდის კარიბჭეთა საბრალო თრთოლვა  
ეს მერამდენედ შემოლენეს  
ხმაურიანმა, უსულგულო კარნავალებმა  
და ავადმყოფი ქუჩაბანდები – განვრილებული სისხლძარღვები  
მათ ყიჟინას ველარ უძლებენ  
და მომაკვდავი ჩემი სიმშვიდე,  
ვხედავ, დღითიდღე იფარება  
განზილებული ყაყაჩოების შხამიანი ტატუირებით...

შესდექ, მაესტრო!

ეგ სცენარი  
სამყაროს მზისფერ სამოთხეებს გადააშავებს  
და დედამინის ზურმუხტები – მინდორ-ყანები  
ერთიანად ჩანაცრდებიან.  
გოგირდის სუნი მოიყოლეს იმ ნიღბებმა,  
შენ რომ არიგებ!  
გველისტყაოსნებს აუვსიათ გზაჯვარედინი,  
თითოს რამდენი ნიღაბი მიაქვს,  
ზოგი ახლავე მოსარგები,  
ზოგიც კიდევ – სათადარიგო!  
რიგში ჩამდგარან წარმართებიც ჯვრიან ტაძრიდან,  
წმინდა ბარძიმთა სიტკბოებით დანაყრებულნი,  
იმ ხეთა ჩრდილებს შეფარებულნი,  
რომელთაც გმირმა მოწამებმა  
უკანასკნელი ამოსუნთქვები ჩამოურიგეს.

... და მებრალები, ჩემო მაისო,  
უნამდვილესი შროშანების გადათეთრებით,  
დედოფალ ვარდთა ალისფერი თავსაკრავებით...  
და მებრალები, თავისუფლების დიადო ჰიმნო,  
მარადმონების მიწისფერი ბაგით ნამღერო!..

ჩემო ძვირფასო სიყვარულო, სად დამეკარგე?!  
ვხედავ, შენც ნიღბად გადაქცეულხარ  
და ყალბი მეტრფე დაშაქრული იამბიკოთი  
შენს საჩრდილობელს შემოჰფარვია.

ო, ბატონებო!  
კულისების აქტიურო აქტიორებო!  
როგორ თამამად გამოსულხართ გზაჯვარედნებზე  
და ნიჭიერი დიდი მანესტრო  
დროულად განვლით  
სათნო ნილაბთა უსასრულო მრავალფერობას!

ჯოჯოხეთური ორკესტრების ორკესტრანტებო!  
დაჰკარით დოლებს!  
ბილნი სუნთქვით გააცოცხლეთ საყვირთა ხმები!

არლეკინებო!  
თქვენმა ხარხარმა ჩაანაცვლა ხმა ინტელექტის  
და ბრძენთა ხმები ჩაიძირა ამ ღრიანცელში...  
მალაყების სიმაღლე ზომით ყიჟინისცემით!  
ჩემი ქალაქის მოედნები ეშმას რიტმებით ააცეკვით!  
ჩემს გმირ მოედნებს თავზე დაამხეთ  
ბილნი ნილბების კორიანტელი  
და შეასწავლეთ ლალი ცხოვრება  
სულგაყიდულთა კეთილდღეობით!  
ხვატს მიუყარეთ  
ჩემი და ჩემი შთამომავლების სიმშვიდეები ჩეროებიდან,  
ის საბრალონი ცის ფერსაც ველარ შეეფარვიან,  
რადგან ცის ფერი,  
დიდი ხანია,  
სალანძღავ სიტყვად გადალებეს  
წარმატებულმა ნილბოსნებმა  
განვითარებულ ავხორცობის აპოლოგიით.

ბრავო, მანესტრო!  
ლუციფერის ეს დავალება  
თქვენ წარმატებით შეასრულეთ  
და ჩემს ქვეყანას  
ჯოჯოხეთის კარიბჭენი  
არნახულად ფართოდ გაულეთ!

ძრწოდე, მანესტრო!  
გაცილებით დიდი მანესტრო  
დაგყურებს ციდან!

31.05.2013

## მიშველე, ქილონ! \*

უფალო ჩემო,  
აგერ, ჩემამდე მოაღწია იმ ერთმა სუნთქვამ,  
რომლითაც ერთ დროს გააცოცხლე  
ქანდაკება შენი ადამის,  
იმან კი, უხვმა და უშურველმა,  
ის სუნთქვა თავის შთამომავლებს ჩამოგვირიგა,  
დღეს ჩემი ფილტვი იმ დიადი სუნთქვითა სუნთქავს...  
მთელი სამყარო,  
უსანყისო და უსასრულო,  
შენს ბაგეთაგან გამოტყორცნილი,  
ჩემს თიხის ჭურჭელს ჩამოაცვი  
საუცხოო კაბის კალთებად  
და იმ კალთებზე მიქარგ-მოქარგე  
ნატვრისფერი სამოთხეებიც  
და ოხშივრებიც მოთუხთუხე კუპრის ქვაბების.

... და დავატარებ დიად სამყაროს,  
ჯადოსნურ ფუნჯით მიმოხატულს,  
კაბის კალთებით,  
გაოგნებული, ნაოჭების სიმრავლეს ვითვლი,  
თვალს ვერ ვუსწორებ  
ქარაგმების უსაშველო აბურდულობას.  
დროდადრო ფერხთით ჩამოგიჯდები,  
მუხლებზე ფრთხილად გადავიჭიმავ  
ხან ერთ კალთას, ხან კი მეორეს, –  
ეგებ ამოვხსნა ჩემი სულის ბრმა ხვეულები...  
და ვგრძნობ, მე თვითონ ამოუხსნელ სამყაროდ ვიქეც.

როგორ გავწამდი!

ავიბლანდე ლაბირინთთა უგზოობაში,  
ვკრთი და ვცახცახებ,  
ყოველ დერეფნის უკუნეთის უსაზღვრობაში  
შეუბრალებელ მინოტავრის თვალი ბრიალებს...

---

\* ავტორი პოსტულატისა – შეიცან თავი შენი და შეიცნობ სამყაროს, შეიცნობ ღმერთს.



დროდადრო ვხედავ,  
თვალდათვალ ვხედავ,  
ჩემი სამყაროს შფოთიან კალთებს  
სხვისი სამყარო ნამოებლანდა  
ბნელი კალთებით  
და გამიფანტა უსაშველოდ სუსტი ნათება,  
ციცინათელას უმწეო ფრთებით ძლივს ნაგროვები  
და წამსვე  
სახე უმუქდებათ კალთის ქარაგმებს,  
წელან რომ წუთით გამოიხედეს კუბრ ღრუბლებიდან  
და შვების ნამი ნამოკრიფეს ჩემი თვალების.

სასონარკვეთილ შეკივლებაზე  
სხვა სამყარონიც მოფრიალებენ  
უკიდევანო შავი კალთებით.  
ასე იციან, გლოვის ხმაზე იკრიბებიან,  
მზიან ამინდებს გაურბიან,  
ბედნიერება ჩემი აქარწყლებს და ამწუხრებს  
მათი ცისკრების სხივთა აღმასებს.

უფალო ჩემო,  
ვერ ამოვხსენი ერთი ქარაგმაც,  
ერთი მარტივი დავალებაც ვერ შევასრულე  
და ვიცრემლები განზილებულ მონაფესავით.

მიშველე, ქილონ!  
როგორ შევიცნო თავი ჩემი,  
როს ჩემს სამყაროს  
სხვა სამყაროთა უკუნეთი გადაეფარა!

ქილონი:  
– დამშვიდდი, ევა,  
ეგ სამყარონი...  
მხოლოდ ეგენი შეგენწევინ  
შენი თავის ამოცნობაში!

7.06.2013

\* \* \*

გულკეთილ ფიჭვებს გამოვთხოვდი  
საკმევლის სურნელს,  
მერე ზეცისკენ მფრინავ ბილიკს  
უხვად ვაკმევდი,  
თვალი კვირვობდა განბილების  
ფეიერვერკებს,  
ვხედავდი, როგორ ფეთქდებოდნენ  
მზეზე კარმები.  
ვერ ვახერხებდი საოცნებო  
ხელახალ შობას,  
გამოფიტული, უსულდგმულო  
შენი ნეკნიდან  
და ბედნიერი ევას კაბის  
ცისფერი ქობა  
ჩემი ტირიფის ჩამოძონძილ  
ტოტზე ეკიდა...

15.01.2013

მერე...

...მერე ზათქებით ჩამოშვავდნენ ჩემი ზვავები,  
ჩამოშლილი მზე ჩემს ცარგვალზე ველარ აბრძანდა,  
მევალები ჩამორიგდნენ სეფენულებად,  
მე გზაარეულს დამალამდა დიად ნაკრძალთან.

...მერე ჩარიგდა სხვა „მერეთა“ უგრძესი რიგი...  
სხვა გვირგვინებთან იწერდა ჯვარს ჩემი გვირგვინი...  
ტიროდნენ ქვრივი გვირგვინების უშენო დღენი  
შენი ნაკრძალის უქათქათეს, ნელწვილ გვირილებს...

...მერე ტკივილის ბოღჩებს ვკრავდი უცნობი გზისთვის,  
უმნიშვნელოებს გრძელ ღამეთა ბნელში ვმალავდი,  
ვარსკვლავთა შორის დაგეძებდი ნამდვილ მენყვილეს,  
ვიზებირებდი გზების ნიშნებს შენს ნაკრძალამდის...

...მერე თავიდან იწყებოდა სუყველაფერი –  
ჩამოშლილი მზე... ზვავის ზათქი... მომცრო ველები...  
ვერმიუგნები ნაკრძალები... მირაჟთა სევდა...  
და გვირილები – გაცრეცილი მომლოცველები...

მერე სიზმარი გამომთხოვდა ცის და მზის ფერებს,  
მაგრამ რა იყო ამ „მერემდე“, ველარ ვისხენებ!

29.01.2014

# ანტითემა

პირველად იყო სიტყვა და  
სიტყვა იყო ღმერთთან და  
სიტყვა იყო ღმერთი.  
**იოანე 1.1**

ეს მაშინ იყო,  
მხოლოდ მაშინ,  
როცა არავინ არსებობდა სხვა, უფლის გარდა  
და ანგელოსთა მოხაზული სამყაროები  
უფლის ნებას იმეორებდნენ  
და არაფერი, სულ არაფერი ეურჩებოდა მის მეუფებას...

მაგრამ დაცემულ ანგელოსის ტრაექტორიამ  
აკვილებული სიტყვათ რიგიც გაიყოლია.  
... და გახედნილი სიტყვა ეშმას მათრახების ქვეშ,  
როგორ იქნება სიტყვა – ღმერთი უპირველესი?!

მოინანწალეს უდაბნონი მათმა რემებმა,  
ცრუ ნათლისღება იზეიმეს კათაკმევლებმა,  
ზოგი მათგანი აენება ლოცვის თარიღებს,  
ცრუ ბაგეებმაც ყალბ ნირვებში ჩამოარიგეს,  
ან პრემირებულ კრებულებად გამოფინეს  
ნიგნის თაროზე  
(ეშმა იფქლს როდის აგროვებდა უფლის კალოზე).

...და სიტყვა „ღმერთი“ ჯოჯოხეთურ ფარად იფარეს,  
მრუდე სათვალე მიახატეს ჩვენს დიდ სიბრმავეს  
და იმ სიბრმავეთ დაარწყულეს უამრავი უღვთო ქარტია,  
ვიდრე დარგავდნენ უზნეოთა დემოკრატიას.

ჩემო ქვეყანავ,  
ნეტავ სიტყვა – ღმერთი გმართავდეს,  
არ მოიღალა ყბედი სიტყვა – ეშმა აქამდე.

საოცარია! ათავთავებს ისევ მინა პურს,  
თუმცა ერთგული სისხლი სტკივა წითელ წინამურს.

ხორცს ყურს არ უგდებს, სული ისევ ზეცას შენატრის,  
იქნება სადმე გადაგორჩა  
ერთი ტყვია ბებერ „ბერდანკის“!

08.07.2013

## მე დედა ვარ და ვარ დედამინა

მე დედა ვარ და ვარ დედამინა...  
ჩემი ბელტისგან ააგუნდავა მძლე ხელებმა დიადი გუნდა,  
მერე გულდაგულ აქანდაკა შენი სხეული!  
რძით დავიმძიმე მტევნები უხვი,  
ხასხასა ტყეთა ამონასუნთქ ნისლში გაგხვიე  
და მკერდზე ფრთხილად აგიხუტე პატარა ღმერთი –  
დიდი ღმერთის სახე და ხატი.

რა სიხარულით მოგისაზღვრე ედემბალის ნაირფერობა!  
შენს საპატარძლოს გვირილების კდემა ვუძღვენ  
უჭკნობ გვირგვინად,  
შენკენ დავძარი ირემთა არვე, კრავთა ფარები...  
გადავიხსენი გულისფიცარი,  
ფეხებთან უხვად დაგიყარე ოქრო და ვერცხლი,  
აციმციმებულ აღმასთა მთები...

მე დედა ვარ და ვარ დედამინა...  
მზე და მთოვარე დავიმეგობრე შენს საამებლად,  
მათი სხივები დღის და ღამის ჯილად დაგხურე,  
წვიმებსა ვხმობდი დასანამად შენი მინდვრების,  
ქარებს დაჩოქვით ვევედრებოდი  
შენს ნისქვილთა ამოძრავებას,  
დღესაც საშენოდ ვატრიალებ დიად კარუსელს  
და დაგაქროლებ გალაქტიკის უსაზღვრობაში...

მე დედა ვარ და ვარ დედამინა  
და მინდა, შენი თბილი ხელი ვიგრძნო ფერდებზე,  
მინდა, შენს თვალში აირეკლოს ზეცის გუმბათი,  
სმენა დავიტკბო ქერუბიმებთან შენი შვილების  
გალობათა უნისონებით...  
მაგრამ ქარები, შენ რომ აღძარი,  
მიხრიოკებენ ოაზისთა მშვენიერებას  
და მალე სუნთქვას ველარ გაგინედლებს  
ჩემი ფილტვების უგრილესი ამონასუნთქი!

დედა ვარ შენი... და დედამინა...  
შენი რიტმები აგიჟებენ ჩემი ორღანის კლავიატურას  
გადარეული ალეგროებით,  
თითქოს მათრახით მომდგომოდეს  
დაცემული ანგელოსის შთამომავლობა  
და იკლაკნება ჩემი სხეული,  
ხან სად, ხან კიდევ სად მიჩნდება  
მკაცრი ბზარები –  
ჩემი შვილების ჩაკარგული სასაფლაონი...

მე დედა ვარ და ვარ დედამინა...  
ვერ მოვიშუშე ნახანძრალი შენი ომების,  
ძმათა საფლავებს ნაპრალს იქით  
ჩემი ერთი შვილი დასტირის,  
ხოლო მეორე  
ნაპრალს აქეთ  
ასეთსავე სასაფლაოებს არქმევს თავისას,  
ჩემი გული კი დაიღალა დატირების ერთნაირობით...  
რით ვერ გაიგეთ, რომ ძმები ხართ,  
მე კი დედა ვარ და დედამინა  
და როცა გული გამისკდება  
უკანასკნელი ნაშიერის პანაშვიდებით,  
იქვე სამყარო ჩემს პანაშვიდს მოიახლოებს...

– შენ დედა ხარ და ხარ დედამინა, –  
ჩამჩურჩულა უფლის ბაგემ,  
დიდი შესაქმის მწუხრში აღძრულმა.  
შეხედე, დღესაც როგორ მშვიდად  
ილუკმებიან შენი შვილები  
ცნობადი ხის ტაბუნაყოფით  
შენი პირველი გაკვეთილით გალაღებულნი,  
ვერც კი ამჩნევენ სინანულის ხეს,  
რომელიც დიდი, დიდი ხნის წინ  
იქვე, მახლობლად მე ამოვფოთლე.

ხედავ?!  
მოვარდა უკვე ჟამი აქოშინებით,  
ჟამი საშინი... ჟამი უღვთო... ჟამი უგვანი...  
ხელებით მაგრად ჩაეჭიდე  
ერთგულ კალთებს ჩემი კაბისას,  
ეგებ გადარჩე...  
გადარჩე...  
და გადამარჩინო,  
მე ხომ დედა ვარ...  
და დედამინა!..

02.06.2013



## ლილიტი

ებრაული მითოლოგიის თანახმად,  
უფალმა ევამდე ლილიტი შექმნა,  
რომელიც მალევე საშინელი დაცემით  
დაეცა.

ვგრძნობ, ცაზე უკვე იშმუშნება შავი მთვარე და  
სხივებს მოძღვრავს, სანამ მიწაზე გამოგზავნიდეს,  
იდუმალ და შენიღბულ სხივებს,  
ავი თათბირით...

იყურე, ლილიტი,

ავბედითი გამოღვიძება

ხანდაზმულ ევას გადამაქცევს შავი ლახვრის ვნებიან დამად  
და თვინიერი ჩემი თვალები –

ზეცის სასახლის გამჭვირვალე, მშვიდი სარკმლები  
ვულკანებად გადაქცევიან!

საბედისწერო ქალს დამარქმევს მერე მარიხი,  
ახლა თბილად რომ მილიმის ციდან.

ბალანს აშლიან ავი ძაღლები ჩემს დანახვისას.

ადამის ყველა სათნოება დაიფერფლება,

თუ რამ შთაიცვა დიდ განდევნის ალიონს მერე.

შესაქმის ძალის ყოვლისშემძლე უსაზღვროებამ,  
შენით დამფრთხალმა,

ნეკნის სიმშრალე მომისაჯა თავშესაფარად

და ამ სიმშრალით გამწყდარ სუნთქვაში

მახრჩობელა ნისლი იჭრება,

ლამით რომ ფარავს ურნმუნოთა სასაფლაოებს...

მომეშვი, ლილიტი!

ძლიევს დავანყნარე გამჭოლ ქარებით არეული

ფიქრები ჩემი,

დავიმეგობრე მთვარის სითეთრე

და აღარ მაკრთობს მეცხრე ტალღის უსაშველობა.

ხომ არ გგონია,  
როს უხორცობით თავისუფალნი ცაში დავქროდით,  
ისევ ისა ვარ?!  
ვარსკვლავითში სანავარდო კაბა გამიცვდა,  
ქოშებიც წამძვრა ტერფებიდან,  
თეთრი მთვარე რომ გვიკერავდა ერთ დროს მე და შენ,  
ხოლო შენები,  
ან უკვე შავი მარგალიტით გამვენებულნი,  
სულ სხვა შარაზე დაბაკუნობენ  
და ბედისწერის ხმას გამოსცემენ...

გაიგე, ლილიტ!  
გადაუხვია ჩემმა ბილიკმა სულ სხვა მთებისკენ,  
სულ სხვა ფერებად დაიღვარა სიმღერა ჩემი...  
ნუ ცდილობ, სული ამომივსო ავხორც ქარებით,  
უდაბნონი რომ მოითარეშეს  
და მამრ ავაზებს აპურებენ მდედრის სიუხვით.

გამშორდი, ლილიტ!  
ერთი ჭურჭელი ორს აღარ გვყოფნის  
და ჩემი მაჯა ველარ ითვლის შენს გულის ძვერას.  
დამღალა მწუხრის მოლოდინის გაურკვეველობამ –  
მთვარე რა ფერის მარაოს გაშლის,  
შავს თუ თოვლისფერს,  
ლილიტის სუნთქვა გახელდება თუ მინავლდება,  
ვნება დაამსხვრევს არტერიებს  
თუ დაიმდოვრებს  
დაღლილი ექოს ვნებიანი ამონასუნთქი...

მაგრამ ჩუ! აი, იმმუშნება მოშავო მთვარე,  
ამალამ ლილიტ შემომამტვრევს  
ევას სულის ბჭეკარს  
უთუოდ!..

13.05.2013

## მეამბოხე მისტიკრიები

ნათელღებული ამოვედი იორდანედან,  
ამოყოლილი მზე ნურნურით ჩამომდიოდა,  
გაოცებული დავცქეროდი ღრუბელთგაკრეფას  
ბედისწერისფრად მოხატული მინის ტილოდან.  
სივრცეს ავსებდა შეყოვლება\*– უცხო სიმთ ჟღერა,  
მზის პუანტებზე შემდგარიყო ჩემი სიმღერა:

თითქოს უხილავმა ხელებმა  
საყურედ დამკიდეს ვარსკვლავი,  
დამხსნეს შფოთვასა და ყვედრებას,  
მაჯას გაუბრწყინეს სამსჭვალი,  
სილბო შემოაცვეს სიმკაცრეს,  
ბაგე დაუდუმეს სამღურავს,  
თვალების სარკეთა სიმწვანეს  
კვამლი ველარასდროს დაბურავს.  
მინის არტახებით გატანჯულს  
ზეცა მფრინავ ეტლებს მპირდება,  
ამურის ბალებში მმუსრავი  
ისრები დაუშვეს მშვილდებმა.

... მაგრამ როგორც კი აელვარდა ცაზე მთიები,  
შემომეჯარნენ მეამბოხე მისტიკრიები.  
ფერიცვალებას შემურვოდა ტანისამოსი,  
მირქმას აკრთობდა მინის მკაცრი, ავი ტაროსი,  
ჯვარცმა გოდებდა: – სისხლისფერად მოიქცა მინა,  
სად ცოტა ხნის წინ მოლისფერი ოცნება იწვა!  
აღდგომა ველარ ჩურჩულებდა მეგობარ მზესთან,  
წვიმისფერ დილებს მპირდებოდნენ სივრცენი ზესთა,  
ვილაცის ხელი სულში მხრჩოლავ საკმევს აკმევდა,  
ხსოვნას სტანჯავდა მარტოობა კვირიაკეთა,

.....  
\* (ძვ. ქართ.) ბგერათა, სახეთა და სიტყვათა ჰარმონიული თანაარსებობა. მაგრამ მხოლოდ ეს გააზრება ტერმინის დამცრობა იქნებოდა, ამ სიტყვაში ისეთი მისტიკრიული ერთობაც რომ არ იგულისხმებოდეს, როგორც მამის, ძისა და სულიწმიდის ერთიანობაა.

დედოფლის მკერდზე ქვითინებდნენ სიზმრის იები,  
ზეცას ტორავდნენ მემამბოხე მისტერიები...

ჩემი ადამის მოვინატრე ფერმკრთალი ლანდი,  
მომწყურდა ის დრო, მტვრიან ფეხებს თმებით რომ ვბანდი,  
სევდა კიოდა ჩამქრალ მზერის შავი ლამიდან,  
ეს ყველაფერი იწყებოდა იორდანედან...

მივხვდი, შავი მთვარე ჩემი მზის მტერია  
და ჩემში ატირდა ქალი – მისტერია...

20.10.2013

\*\*\*

ჩემი საბრალო ჩიტბატონა  
რახანია, უსულოდ გდია.  
ვერ დამიმარხავს,  
რადგანაც ვხედავ, ცრემლი ჩამოსდის  
მკვდარ თვალებიდან.  
ჩემო ნამდვილო სიყვარულო,  
შენ გელოდები!  
რამდენიმე დღე კიდევ დამრჩა,  
ყოველდღე გულში ვიმეორებ  
სამ გრძნეულ სიტყვას – „მე შენ მიყვარხარ!“  
მეშინია, არ დამავინყდეს!  
გადავიხადე ყველა ვალი ბოლო გროშამდე  
სულის გრძელ გზაზე,  
სითბოს და ზრუნვის უხვი ფუთებით  
გავისტუმრე თვითმარქვია უფლისწულები,  
მათ უკვე შეძლეს ამ სიტყვებით  
თვალცრემლიან პანაშვიდებზე  
მკვდარი ჩიტების ხელახალი აფრთხილება,  
გაიქალღმერთეს სხვა დედოფლები  
ახალთახალ სამყაროებში,  
ჩემი საბრალო ჩიტბატონა კი  
უსულოდ გდია...  
და ცრემლი დასდის  
მკვდარ თვალებიდან...

18.02.2014

## ათასმეერთე

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,  
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,  
ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მოვლით ქშენანი.

ვაჟა

ვიცი, გიყვარვარ,  
რაც დაგშორდი, იმ დღის შემდეგ  
თვალს არ მაშორებ.  
შეხედე,  
ზურგზე ყაყაჩოები დამახატეს  
შენი თვალების ბასრმა ისრებმა  
და კუნაპეტმა,  
შენ რომ დააკლდი,  
ჩემი თვალების ლაჟვარდ სამზერებს  
ათასნაკეცა საფარდულნი ჩამოაფარა.  
მეც ათას სხივად დავანანილე არსება ჩემი  
გზააბნეული სულის ზღაპრებად  
და ათასივე გამოვგზავნე  
შენს საძებნელად.  
ის საბრალონი  
საცოდავად დანანნალებდნენ,  
ზეცის ბილიკებს დაეძებდნენ,  
აქაფებული ღვარცოფების ხიდზე დიოდნენ  
და რომ ეგონათ, გააღწიეს,  
ფეხქვეშ ბენვის ხიდი წყდებოდა  
და სულგამოცლილ სხეულებით  
კუპრის მორევს უერთდებოდნენ...

ათასი ღამე შეისრუტა ათასმეერთემ.  
მხოლოდ ერთი „მე“ გადამირჩა ხელშეუხები –  
მარადისობის ნანილი ციცქნა  
და მსურს,  
შენს ნალკოტს შევუერთო  
თეთრი ვარდის ჩუმ ერთგულებით.

მაღე ცისკარი გააფითრებს ღამის კუნაპეტს,  
ზეცის კალთაში დაიბუდებენ ნვრილვარსკვლავები,  
სპეტაკი ვარდი გაშმაგებული ალისფერით შეიმოსება  
და იმ ალისფრით გადავრეცხავ  
გზებზე დაბნეულ  
სხვა ვარდების მილეულ კვნესას.  
ბედნიერი ვარ!  
ჩემმა ერთმა „მე“-მ მოიპოვა  
ათასი „მე“-ს ვერნაპოვნი სამოთხეები.  
ამურს სასთუმლად დავუფინე  
ათასმეერთე ღამის სითეთრე  
და მის სავარდეს დავანვიმე  
სიყვარულის თბილი წვიმები...

და როცა ზეცამ ჩამორეკა:  
– ემბაზი მზად არს!  
ბოლო ზღაპარი აუტირდა  
შეჭერეზადას.

ზეცა ღვთის სიტყვებს ურიგებდა  
კეთილ ავტორებს  
და მზეს ასმევდა ბეთლემსა და  
ულანბატორებს...

13.07.2013

\* \* \*

როგორ მოვექროდი!  
ხსოვნა იმ რბოლის,  
თავბრუდამსხმელის,  
სივრცეებმა გაინაპირეს  
და თან წაიღეს ვარსკვლავების მწველი ალმური, –  
მზრუნველ ზეცის უხვი მზითევი.

ვხედავდი,  
შლეგი კისრისტეხით გამორბოდნენ ჩემ შესახვედრად  
მარადმწვანე ზურმუხტ ტყეთა კენწეროები,  
ზღვებმა კი ნანატრ პაემანის დასაჩქარებლად  
მეცხრე ტალღა გამოიგონეს.

მე არ მიგრძენია,  
ჩემი მიწასთან შეჯახება მარტოოდენ დედას ეტკინა.  
მაგრამ რა მექნა?!

მოუსვლელია არ ივარგებდა,  
აქ შენ მელოდი!

უფრო სწორად, ტკივილების მთები მელოდნენ –  
მინის შვილები.

ჩემმა თვალებმა – ცისფერ სივრცეთა სარკეებმა  
სრული სისავსით აირეკლეს  
მინის მწვანე სამოთხეები.

ჩვენი შეხვედრა ცხოვრების ხის ჩრდილის ქვეშ შედგა.  
იქ ავიხადე ზეციური ქათქათა რიდე,  
მინის გრიგალებს მივანებე ჩემი სხეული,  
ჩემმა მზეებმა შენი უდაბნოს ხორშაკები გაიალმურეს...

ხეებმა ხელად დაიყვავილეს ათასი წელი, ვითარ ერთი დღე!  
შენი ქარები ჩემს სისხლძარღვებს  
ჯერ ჟრუანტელ სიოდ უვლიდნენ,  
ხოლო მერე კი  
ჩემს სისალუქეს გამოებურცნენ სევდის მტევნებად.



მადლობა უფალს,  
მოვიმუშაკე მიწის მწარე გარდუვალობა –  
უძვირფასესი ტკივილებით სავსე სხეული  
და ჩემი სევდამსხმოიარე,  
მძიმე ნაბიჯი  
ყოფნა-არყოფნის ამოუცნობ სამანთან შედგა.

გარემო მეცნო...  
მეხსიერებამ ძლივს გაიმეტა მიტაცებული დიდი ხსოვნის  
მცირე ნაწილი.

მითხარი, რა ვქნა? ზეცა მიმელის,  
ასეთ ტვირთით კი ვერ აპობენ სივრცეს სულები,  
არც მემეტება,  
უცხო სახლების ზღურბლებზე რომ ჩამოვარიგო...

ჩემი მკლავები – სუროები შენი ვაზების,  
ჩემი ნვივები – შენი მინდვრების შველ-ირმების  
გადაქროლება,  
ჩემი მუცელი – ტკივილ-ბორცვი შენი ნაყოფის  
და ჩემი მკერდი – შენი ქარიშხლებით ატორტმანება,  
მწველ მოლოდინში განაბულან გაფითრებულნი  
და მორჩილებით მოელიან ურყევ განაჩენს...  
როგორ მიყვარან! დამამწუხრებს უიმათობა,  
არ ვარ პირველი, არც ვაპირებ ბოლოსკნელობას,  
უძველეს ფირებს მოვუძებნი  
ნაცად ფინალებს –  
სუროებს, მინდვრებს, ტკივილ-ბორცვებს  
მიწას მივუგდებ,  
პირდაფჩენილს სამარის ხახით...  
მხოლოდ შენს სახეს გავიყოლებ,  
საგულდაგულოდ გამოხვეულს ხსოვნის კალთაში,  
ცისფერ პლანეტის სიზმარიან მოსაგონებლად...

13.10.2013

## ლოდნი დანუნებულნი

მინის მინდვრები – სასაფლაონი  
დანუნებულ მზისფერ ლოდების,  
სამაროვანთა ნიშნებს –  
ჯვრის ფრთებს ისაკლისებენ  
და მგლოვიარე ექსცესებად იღვრებიან მხოლოდ წვიმები...  
იტირეთ, დებო,  
ალასრულეთ ვალი ნაკისრი,  
ვიდრე აისის ზეიმს მოსდევს  
გლოვა დაისის,  
ვიდრე მოსულა თავკიდეთა ლოდი, ზეცით  
ქადაგ-მწირველი.

მეც ვემზადები,  
მეც ვისუდრავ სხეულს ძაძებით.  
მინდა, თქვენსავით, შაოსანმა ჭირისუფალმა,  
ამაყ ლოდებს შემოვუარო,  
მტვერი შევწმინდო ზამბახებით –  
გალურჯებულ ხელის მტევნებით.  
ოლონდ მადროვეთ, დავიფარო სახე ვუალით,  
როგორც სიზმარში დამარიგეს სერაფიმებმა,  
ვგრძნობ, ამ საღამოს  
უსასტიკეს ჯვარზე ვევენები...

ოჩოფეხებზე შეწონილან გამხმარი წლები,  
ჩამქრალი მზერით შესცქერიან ბალაგნების უწმანურობებს.  
ათასწლეულებს ჩაუქინდრავთ ჭალარა თავი,  
მათი ნაშენი ქალაქების გოდოლ-ბურჯები  
ცვედან წლებს უღვთოდ დაუღუნავთ ხელებით ავით,  
მინის მინდვრებზე დაუყრიათ მდუმარ ლოდებად,  
დრო კი ილიმის და რითმებით თამაშს უნდება:  
– დიდი პოეტი გაეტირა  
მჭვირვალე ბლონდებს,  
როცა ჭაშნიკთა უიმედო მოწყენილობით

სევდის სიმნარე გაუსინჯა  
ნაცრისფერ ლოდებს...

ბრძენი სიტყვები – სამყაროთა მოდრეიფე აისბერგები,  
თიხის ფილებს რომ შეეფარნენ,  
მერე ხბოს ტყავებს,  
გამოიარეს პალიმფსესტთა გრძელი რიგები  
და ბოლოს  
ხეთა მოშრიალე აბრეშუმებში დაიდეს ბინა,  
ახლა ლოდებად გადაქცეულან  
და სიკვდილისფერ გარინდებით  
მინდვრებზე სძინავთ.

ო, ეს ყველაზე დიდი ლოდი – ქრისტეს სხეული,  
წმინდა სისხლისგან დაცლილი და გალურჯებული,  
ისიც აქ არის,  
თუმც უბადრუკ ბუტაფორიებს  
დაუპყრიათ უამრავი გზაჯვარედინი.  
შიდა ბზარებმა დაუნყლულეს მკვრივი სხეული,  
მაგრამ შვილებმა,  
განზილებული შვილობილების ტლუ გაავებით,  
კი არ უნამლეს,  
დაუშინეს უხვი ქვა-ლორღი  
განვრთნილ ხელებით,  
სულ ცოტა ხნის წინ  
შეკრულ მჯილებად რომ ბაგუნობდნენ  
ვერაგ მკერდებზე  
ყველაზე ერთგულ სიყვარულის  
გამოსახატად.  
ბარბაცით ძლივს-ძლივს მოაღწია  
გაქვავებულ სამაროვნამდე...  
ჩემი საბრალო სიყვარული მის გვერდით გდია,  
დიად სიფითრით გადაფარვია მონყენილ იას...

დანუნებულო დიდო ლოდებო,  
ჩემი ტკივილის დებმა – წვიმებმა

თქვენს სიმძიმეებს  
პოეტის სულის მჭვირვალ ბლონდებად  
შემოაქსოვეს  
სიმთა წუხილი სევდიანი სერაფიმების.  
დროს ბრძენი მზერა გაუქვავდა,  
აღარ ძალუძს, წამნამებს ხრიდეს,  
ვერ აუხსნია,  
ლოდთა წუხილი  
მისი თვალების ნისლია თუ  
იზიდას რიდე...

ლოდებს დაადნა გადამტვრეული ზამბახები –  
ხელის მტევნები,  
ვგრძნობ, ამ საღამოს უსასტიკეს ჯვარზე ვეგნები!

„ლოდი, რომელ შეურაცხვეს მაშენებელთა,  
ესე იქმნა თავკიდეთა.  
უფლისა მიერ იყო ესე  
და არს“ უნათლეს მირიად მზეზე.

16.10.2013

# იმპროვიზაცია

## დღეი მეექვსე

*„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძაღვლოვანი,  
ბოლოდ შეყარნეს მინამან ერთგან მოყმე და მსცოვანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“...*

გრაგნილზე დინჯად გამოჰყავდა ასომთავრული, დიად „შესაქმეს“ უფლის ხელი ასე იწყებდა, მის კარიბჭეზე ასხლტებოდა „ირმის ნახტომი“, დასრულდებოდა ქანაანის მზიან მიწებთან. სულ ფურცელ-ფურცელ ალაგებდა მაღალ ჩანაფიქრს, ყველა ქარაგმას დაუსაზღვრა დრო და ადგილი, ყველა პლანეტა ჩაიმაგრა ცისფერ კალთაზე, უბოძა გული, სიყვარულის სხივზე დამყნილი. (პირველადამმა იმ ფურცლებზე დაიწყო სუნთქვა, სინათლე ევას შორიახლო ციმციმ დაჰქონდა), ზღვების სიმღერას მთვარის სხივზე აქორწინებდა, აბინავებდა ამბოხებებს ზოდიაქოთა... ცაში ანთებდა ვარსკვლავების ახალ სახელებს – სიყვარულს, რწმენას, სასოებას და ერთგულებას, მძებნელთ ჩუქნიდა შენაპირებ ნანატრ გამხელებს, ცათა ბჭეების გასალებით აჯილდოებდა. ტოტებს უმკობდა ბაობაბს და სათუთ გვირილას, პირჯვარს სახავდა ყველა თამამ მგზავრს და ნაოსანს, მერე ყველაზე თბილი ღიმით ჩაიღიმებდა, ყდაზე დაწერდა ვიდრე თითით „ვეფხისტყაოსანს“. სამყაროს ფერში ამოავლო მარადი სუნთქვა, სახედ და ხატად შექმნას უკვე იყო ჩვეული, რაღაც დიადი იწყებოდა, ნათელს იკრებდა მირიად სულთა შორის სრულ და გამორჩეული...

დედამინის გზას დასცქეროდა მესხი მელექსე...  
ინურებოდა „დაბადების“ დღეი მეექვსე!

5.04.2013

# სულის მოლოდინი

ვაჟა ფშაველას უკანასკნელი დღე

ტაძარი... სიბრძნის.  
სენაკი... მომავალი წმინდანის.  
თვალეები... დახუჭული.  
სხეული... უმოძრაო.  
ბაგეებზე სიკვდილის ფერი...

ღმერთო! მიფრინავს... სულ ზევით და ზევით იწევს... და უკვირს, ძალიან უკვირს... წარმოუდგენლად მიაჩნდა ფრენა. ფრენა კი არა, ორ გოჯზეც ვერ გადაადგილდებოდა. არც უოცნებია. ისე მყარად იდგა მიწაზე, რომ გაფრენაზე ოცნება თავშიც არ მოსვლია. თავში? თავში თუ გულში? ალბათ გულში... ყველაფერი შიგნით, გულში დაიწყო... იქ დაიწყო და იქვე დამთავრდა. დამთავრდა? თუ დამთავრდა, ეს ფრენა რაღაა?! პირველად იქ, სიღრმეში იგრძნო ტკივილი, როცა თვალში დარღჩამდგარი პატარა ბიჭი დაინახა. საცაა თოვლს ჩამოყრიდა, ის კი, ფეხშიშველი, გამხდარი და ჩამოძონძილი, ზურგზე ფიჩხმოკიდებული, ტყიდან სოფლისაკენ მიდიოდა. მაშინ შეირხა შიგნით რაღაც... არა, პატარა ბიჭებს ადრეც გრძნობდა, როცა გულგახეთქილი შველი ჩაურბენდა, ან როცა მის ძირში ამოსულ იას რომელიმე მოუხეშავი და ტლუ ფეხი გადათელავდა, მაგრამ ამ ბიჭებს ყურადღებას არ აქცევდა, იმ ტკივილებზე ფიქრობდა... იმ ტკივილების პატრონებზე. მაგრამ ბავშვის ცრემლებზე თითქოს რაღაც განყდა შიგნით და ტკივილი იგრძნო, ძლიერი ტკივილი. მერე მიყურადებაც ისწავლა, ტკივილისა და კვნესის ხმებზე მიყურადება. გაბრაზებაც ისწავლა, მათზე გაბრაზება, ვინც ამ ტკივილსა და კვნესას თესავდა. მერე, მრისხანებამ რომ მოიმატა შიგნით, მისმა სხეულმა გაბზარვა დაიწყო.

როგორ ეხვენებოდა ის კაცი, წამოდი, ყველას გააგებინეო ეგ სიტყვა. თითქოს პირველად მოისმინა... ეტყობა, აღარ ასწავლიან ამ სიტყვას. თვითონაც მოუნდა, ეყვირა: – გიყვარდეს, გიყვარდეს! მაგრამ ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო. ახლა კი, საოცარია! მიფრინავს! შიგნით არაფერი შეცვლილა მასში, მხოლოდ ყრუ გრიალი ავსებს სმენას. ეს გრიალი იმ

ძლიერ აფეთქებას მოჰყვა, ტკივილით რომ დაიწყო, რალაც რომ გასკდა შიგნით. გასკდებოდა, აბა რა იქნებოდა! როგორ გარბოდნენ! ზოგს აკვანი მოეკიდებინა ზურგზე ატირებული ჩვილით, ზოგს მოხუცი დედა აეტატებინა და ისე გარბოდნენ. მთებისკენ, მთებისკენო! – ერთმანეთს გასძახოდნენ. სოფელი კი იწვოდა და კივილის ხმა ისმოდა.

ისევ მიფრინავს!.. აი, რალაც ზოლი გამოჩნდა. მისი ფერი, ჩალისფერი ილევა და საზღვარივით ზოლი ჩანს. იმ ზოლს იქით სივრცე იისფერს აუვსია. არა! კი არ დაღლილა, იმ იისფერში უნდა გახვევა. ცოტაც, ცოტაც და... კლდედყოფილი იისფერმა ბურუსმა შთანთქა.

დიდი ნეტარება მოვიდა! ყველა ტკივილი გაქრა, ყველა შეგრძნება, ყველა მოგონება... უკანასკნელად დაიქნია ფრთები, თუ ფრთებისმაგვარი რალაც... და...

...და იგრძნო, ფრთები კი არა, ეს ფოთლებია! იისფერი კი თვითონ არის, უფრო სწორად, იაა... ულამაზესი და უნაზესი! ...და უხარია, რალაც უხარია! ის უხარია, რომ უყვარს... მზე უყვარს, ჰაერი უყვარს და მინა, მინა უყვარს! ეს მინა საიდანლა გაჩნდა! თუმცა რა „გაჩნდა“! იქიდან არ ამოვიდა?!

მიმოიხედა, მეზობლები შეათვალიერა. ყველა აღტაცებით შესცქერის, განსაკუთრებით კუნძი... ბებერი კუნძი... მაგრამ დაკორძილი კანის ღრმულეებში რამხელა ნალველი ჩაგუბებია! საიდუმლონარევი ნალველი! რამდენიმე დღის შემდეგ მიხვდება ია ამ ნალვლის მიზეზს. კუნძი მასზე დარდობს! მან, ბრძენმა, გამოცდილმა, კარგად იცის იის ხანმოკლე სიცოცხლის ამბავი... წინასწარ წუხს, მაგრამ ია ამას ჯერ ვერ ხვდება, ის ჯერ ბედნიერად გრძნობს თავს, უხარია და უყვარს! სხვა რალა უნდა! ისეთი სურნელი დააფრქვია, თავბრუ დაეხვათ ბალახებს. იქვე, მისი დედობილი ბუჩქის ტოტზე რომ პატარა ნიფლისჩიტა იჯდა, სიხარულით გადაირია, მის გარშემო ფრენა დაიწყო და ისეთი ჭიკჭიკი ატეხა, იას ცვარი მოადგა ყვითელ გულზე. რამდენიმე დღემ ასეთ სიხარულში გაიარა.

ტკივილი უეცრად მოიჭრა და შეაძრწუნა ია. ეს ტკივილი მაშინ დაიძრა მიწიდან და ზემოთ, გულამდე ამოვიდა, როცა ტყვიით გულგანგმირული ქედანი დაეცა მის ახლოს. ნისკარტი სწორედ მის ღეროს მიაბჯინა და იას წითელი წინწკლებით დაეფარა კაბა. მერე სურვილი მოვარდა მასთან, ფრინველის



დახმარების სურვილი, ეგებ მოვასულიეროო. რაღაც დიდი შინაგანი ძალა იგრძნო, უზარმაზარი ძალა, იისფერი ფურცლებისა და ფოთლების სასიცოცხლო ძალა! უკანასკნელ წვეთამდე ჩაინურა და ნაჟურად დაენწვთა ქედანს ნისკარტზე და მერე... ქროლვა! ქროლვა იისფერ სივრცეში... რაღაც ნაცნობი და მშობლიური... მაგრამ ია ამაზე არ ფიქრობს. ლომისფერი სივრცე გამოჩნდა იქ, სადაც იისფერი იღვევა და იაც იქით მიისწრაფვის. ერთი ამოსუნთქვა და...

...მდებლობე მიფრინავს... წვრილი, ღონიერი ფეხები მიაფრენს. სილაღე, სიმსუბუქე და რაღაც თბილი, ღბილი ტალღები სხეულში! როგორ მიაქროლებენ მარდი ფეხები! მას ფეხები აქვს, ფეხები! გვერდით კი მისი მსგავსი პატარა არსება მიჰყვება. რა საყვარლად დანიწკვლია ლომისფერი სხეული! ჩერდებიან. სხეულზე ეხუტება ის პატარა და მისი გულისძგერა ესმის. ღმერთო, რა ლამაზი თვალები აქვს! ...და გულში, ნამდვილ გულში, ტკივილნარევი სიყვარული კივის! შვილი! მისი შვილი! ნუკრი!.. ის დედაა! შვილი ჰყავს! რამდენი რამე უნდა ასწავლოს: საზრდოს მოპოვება, უსაფრთხო ბინის შერჩევა, მტაცებელი ნადირისა და მონადირისაგან გაქცევა და ყველაზე მთავარი – სიყვარული, სიყვარული უნდა ასწავლოს! დაჰყავს... უხსნის... ჩქარობს... რაც შეიძლება, მეტი უნდა მოასწროს! გრძნობს, რაღაც მეორდება... მინდვრები... ყვავილები... ჩიტები... მაგრამ რა დროს ეგაა... შვილი... ნუკრი...

ძაღლების ყეფა ისმის... მონადირეთა ყიჟინაც... ეტყობა, ძაღლებმა სუნი აიღეს! უნდა გაიტყუოს, იქნებ ასე გადაარჩინოს შვილი! ნუკრს ბოლო დარიგებას აძლევს და ძაღლებს ცხვირწინ აუფრენს წინწკლებიან ტანს... ქარი გამოისხა ფრთებად. მიჰქრის და... გრძნობს წამოწეული ტყვიით ტკივილს... მიჰქრის... მაგრამ ახლა უკვე სხვა სივრცეში. ზევით... ზევით... უკანასკნელი კამარა და...

...ტაძარი... სიბრძნის. სენაკი... მომავალი წმინდანის. თვალები... დახუჭული. სხეული... უმოძრაო. ბაგეებზე სიკვდილის ფერი... არავითარი შფოთვა... არავითარი დრტყინვა... მშვიდი მოლოდინი... სულის მოლოდინი...

## დიალოგი მზესთან – სულის გამოცდა

მზე: – ყველაზე მძლავრი ფრთები...

ხმა მიწიდან: – სიყვარული!

მზე: – ყველაზე დიდი ბედნიერება...

ხმა მიწიდან: – ადამიანად ყოფნა!

მზე: – არსებობის ყველაზე მაღალი ნიშანი...

ხმა მიწიდან: – აზროვნება!

მზე: – სულის ზრდის უცილობელი საშუალება...

ხმა მიწიდან: – სხეული!

მზე: – ყველაზე დიდი ქონება...

ხმა მიწიდან: – ქმნადობის უნარი!

მზე: – ყველაზე მწველი სურვილი...

ხმა მიწიდან: – ნათელთან შეერთება!

მზე: – აქსიოს!

...და მიწის ერთმა სხივმა მიწისკენ აიღო გეზი საოცარი მისიით.

დაიღალა სხეული... სხეული – კლდე, სხეული – ია, სხეული – შველი, სხეული – თვითონ ის!

მოლოდინი... მშვიდი მოლოდინი... კლდეგამოვლილი... იაგამოვლილი... შველგამოვლილი... მინდია სულის მოლოდინი...

წვიმა მოვიდა – არ გაჰყვა...

ქარი მოვიდა – არ გაჰყვა...

ღრუბლები მოვიდნენ – არ გაჰყვა...

ნისლი მოვიდა – არ მიჰყვება...

ელოდება... მას ელოდება... ის გზაშია... მზემ გამოგზავნა!

...და ნისლის ფარდას ის საოცარი მისია-სხივი კვეთს, დახუჭულ თვალებს დიდი, დიდი სინათლე ავსებს. ბაგეთა ზემოთ: – ამას ველოდი!

სხივმა ისევ მზისაკენ აიღო გეზი. მას გვერდით მინდია-სხივი მიჰყვებოდა.

...და მზე ვერ მიხვდა, რომელი უფრო იყო სხივი...

დეკემბერი, 2012

# ამ სინათლეს აჰყევი!

ექვთიმე ღვთისკაცს

ძნელი გზასავალის ნარი და ეკალი  
რადგან ზეცაშიაც ებევრათ,  
ინებე ნაღვანი ახალი სახელი,  
დღეიდან ღვთისკაცი გერქმევა!  
ძვირფასო მოხუცო, გელიან, მზადა ხარ?  
აი, ამ სინათლეს აჰყევი!  
მალე ყურთასმენას მოესალბუნება  
ჰანგი, ანგელოსთა ნამღერი.  
ეცადე, გეთაყვა, თვალი შეაჩვიო,  
ცაზე ნათელი რომ ბრწყინდება –  
ამ დილით სხივები შენთვის გადმოფინა  
ხატმა „საქართველოს დიდებამ“.  
იქ დაიბინადრე, მართალის მახლობლად,  
მინაზე რომ ერქვა ილია.  
დამშვიდდი, ნატყვიარ შუბლს აღარ იტკიებს,  
იქ ყველა ტკივილის შვილია!  
იქ სულ სხვა კანონი უფლობს და კანონობს,  
იქ ვარდებს ისხამენ ეკლები,  
იქ გვირგვინს ტკივილის და თმენის თვლები აქვს,  
იქ ფრენენ მინაზე დაღლილი ეტლები!  
ინებე გრაგნილი, ახლა მას ესაგზლე,  
იმ დიდი ხატის წინ გაშალე,  
ეგებ მოგვაშველოს მაღალი ლაშქარი  
სულ სხვათა ომებში მაშვრალებს.  
უთხარი, სხვა ფერის ხალხი მოგვეძალა,  
ჩვენს ნაფუძვრებისკენ ისწრაფვის,  
მამული გვიქრება თვალსა და ხელს შუა  
თვალის უსწრაფესი სისწრაფით.  
ახლა სხვა ურჩხულიც გვისანსლავს ქალ-ვაჟებს,  
ვაი, გაგვწყრომია ღმერთი და  
თავს თუ გავუჩქევავთ რის ვაივავლახით,  
ცხრა თავი ამოდის ერთიდან.

ის ასიათასი ძალიან გვეჭირდება,  
ჩვენ შვილნი ჯოჯოხეთს ვაშვილეთ,  
სადღა შეგვიძლია დამოდღვრა-დაგეშვა  
სხვადასხვა გზანვრილად დაშლილებს.  
ერთგული მახვილი ჟანგს შევაჭამეთ და  
მკლავი მოვიღალეთ წყლის ნაყვით,  
ღალატმა ნაგვლეკა, რენეგატს ვინ ჩივის,  
მეფეც გაორგულდა სიხარბით.  
უთხარი: გავწყალდით, გავწყედით, დავილიეთ,  
ვეღარვის ვთავდებობთ თავდებით,  
უაზროდ ვლოცულობთ, უაზროდ ვმარხულობთ,  
უაზროდ ვცვდებით და უაზროდ ვთავდებით.  
წყალი შესდგომია ნაფერებ წმინდა ზვრებს,  
ჩხრიალებს იუდას ვერცხლი და  
ვედრით, ჩვენი მიწის სეხნია, გიორგი,  
ერთხელაც დაეშვას ზეციდან!  
აბა, ღვთით, ღვთისკაცო, ნეტარო ექვთიმე,  
აი, ამ სინათლეს აჰყევი!  
მალე ყურთასმენას მოესალბუნება  
ჰანგი, ანგელოსთა ნამღერი.

მშვიდობით, მზემაღალო, ჭვრეტაუზუსტესო,  
უმძიმეს დროჟამის მეჭურჭლეთუხუცესო!

11.06.2013

## ევრიდიკეს ლამე

### საუკეთესო ევრიდიკეს – მარი ჯანაშიას

ჰადესმა ორფეოსს მიწისქვეშა სამეფოდან ევრიდიკეს გაყვანის ნება მხოლოდ იმ პირობით დართო, თუ იგი ისე გაიყვანდა სატრფო-მეუღლეს, რომ უკან არ მიიხედავდა, მაგრამ ორფეოსმა ვერ გაუძლო მონატრებას და ... მიიხედა.

ლამე გაქვავდა, ქარი შედგა დანაოტები,  
შენი თითების მუსიკობით ნათილისმარი,  
არ მოიხედო, სიყვარულო, უკან მოგყვები,  
ბოლოს ხომ მაინც გამოამტკრევს ლამეს ცისკარი.

ჰანგებით მთვრალი მოთვალთვალე უკან მოგყვება,  
ძალღვიც კი არ ჰყევს, მიწისქვეშა სამეფოს მცველი,  
ავი ყაშყაში აიკვეთეს ბედის ყორნებმა,  
ლამემ წყვიადი იფერმკრთალა, სულისდამცლელი.

როგორ მომაგენ?! და-ცა-ლენე სკნელი რამდენი!  
მაჯა ითვლიდა უშენობის დღეთა თარიღებს,  
არ მოიხედო, თორემ ნისლის ფერში გავდნები  
და დავიწყების მდინარეთა ტალღა წამიღებს.

ქნარის ალერსი გაიტაცეს ავმა ბინდებმა,  
მხრების ცახცახი მონატრების სიმწვავეს მიმხელს,  
ექოს ვატანდი საპასუხო გადაფითრებას,  
სასონარკვეთის მინდვრებში რომ მოენედ ვიხმე.

ცოტაც და... ლამეს დაუსხლტება ჩვენი ცისკარი,  
ცა მენატრება, მდელიოები თეთრი თიკნებით,  
არ მოიხედო! ამიხდება ავი სიზმარი –  
დამუნჯდებიან ექოების ევრიდიკები.

ერთი მოხედვაც უკუნეთის ზღვებში ჩამძირავს,  
იმ გაუთენარ ცაზე მხოლოდ ოცნება იწვის,  
ლამეს უპყრია ჩვენი ხსნაც და ჩვენი განირვაც,  
ლამე კი არა, უწვრილესი ხიღია ბენვის!

არა! ო, არა! გევედრები, ცოტაც გაუძელ!  
ცოტაც და... გვირისტს გაიბაცებს ღამის გზანვრილი,  
ცოტაც და... სიოჟრუანტელი ძარღვებს დაურბენს,  
წყვიდადს სიშავეს შემოაფხრენს შლეგი აპრილი.

ორფეოს!!! რა ჰქენ!.. ცისკარი ხომ ცერზე დგებოდა!  
მიწისქვეშეთის გასაღები ნეკზე გეკიდა!  
ღმერთები ჰანგებს იგროვებდნენ დამთბარ თვალეებში  
სიყვარულის ხმით მორაკრაკე გრძნეულ მერქნიდან.

უკვე სხეულს მწვავს მარტოობის მკაცრი თარგები,  
წინ მხოლოდ შავი უშენობის უფსკრული მოჩანს,  
ბნელ ლაბირინთის ხვეულებში ჩავიკარგები,  
საბრალო ნიმფად ავანყდები ულმოზელ დრო-ჟამს...

დამდნარ პეშვებით უსივრცობის ფერს და სვეს შევსვამ,  
თვალთა სილურჯეს გავიშავებ ღამის ფარდებით,  
თმენას ვიხმობ და ფრთებდამსხრეულ მხრებზე შევისვამ,  
მარადი მითის უგზობაში დაგემგზავრები...

მხოლოდ მითის ცა შემოირევს ფერებს მომზეოს,  
მითის მოხმობას დაველოდოთ, ჩემო ორფეოს!

7.09.2012

## რა ამინდია...

„აიდას“ მოსმენის შემდეგ

ამ ღამის მერე დილა უკვე  
ალარ თენდება.  
მკაცრი გრიალით ჩაიქროლეს  
შლეგმა ეტლებმა.  
სარკოფაგების დაიბურნენ  
შავი კარები  
და წამნამებიც დაიბურნენ  
ჩამოლამებით...  
ტრფობამ სიკვდილზე იქორწინა,  
ზეიმს იხდიან!  
რა ამინდია, ო, რაღამეს,  
რა ამინდია!..  
ორი აბსტრაქტი!  
ორი ოხვრა!  
ძრწოლა სულს იტანს...  
მესამე როგორ დამავინცდა –  
ვერდის მუსიკა!

10.04.2013

# ნაშლილ თვალებით

იდა თვარაძეს

მინას ანამებს დაჭრილ  
მოგონებათა რიგი,  
ჩამქრალ სანთლების სევდით  
რომ მოჯარვია ირგვლივ.  
შესხვაფერებულ დედნებს  
ყალბი სითეთრე ათოვს.  
ზღაპრის ბოლოში ფქვილი  
გაუხვეტია ქატოს.  
გაბერნებულმა მადლმა  
ველარ გამოჭრა კვირტი,  
მინის სნეული სული  
გამჭოლ ჭრილობებს ითვლის.  
ჩამოყამებულ ბინდში  
ამაოდ უხმობს მზისფერს,  
სიმართლის ანგელოსი  
ნაშლილ თვალებით მიმზერს...

15.11.2013



# დევის ცოლის დატირება

ლია ლიქოკელს

მარადისობა დაიფანტა წვრილ-წვრილ წამებად,  
როცა შეხედა თვალებს, ქცეულს ნათვალეზარად,  
როცა სწეული მთვარის პირმშო კვირბალები  
მარადიულ მზეს შავ სკნელებად გადაეფარა...

იმ მშფოთვარ ღამით აირივნენ ჩემი სიზმრებიც,  
თავსაფრის ყურით მიზიდულნი ქადაგ-მისნებთან  
და სასთუმალთან დახვავებულ მათ სიგიჟეებს  
სისხამზე ძრწოლაატანილი წყარო ისმენდა.

ვნახე: სიკვდილმა წინ გაიგდო შენი სიცილი,  
გაოგნებული ნანახისგან, დაღამდა დილა,  
ქობთან კი დევის ბოლო სუნთქვით გაცოცხლებულმა  
ღვთის შველმა ხეთა კენწეროებს გადაუფრინა.

მდევის ყიჟინა ხმლით კუნავდა საღვთო სიმშვიდეს,  
უკვდავების ფერს მკაცრი ღამე შავად დღაბნიდა,  
თეთრი ენძელა – დევის სული ცის ფერს ეძებდა,  
აფრენილიყო დედამინის მწვანე ზღაპრიდან.

მხედრებს ნადავლად ჩაებლუჯათ შენი კივილი,  
პატარა დევთა საფლავები სჩანდა აღარა,  
ცხენის ჭიხვინმა აისხლიტა შენი სხეული –  
მარადისობადაკარგული მზეი თაკარა.

დევის ნაჭედი ვარსკვლავები ციდან ცვიოდნენ,  
მდევარი ზუსტად ასრულებდა ეშმას ბრძანებას  
და ციდან ძრწოლით დასცქეროდა მამაუფალი  
ყველაზე დიდი სიყვარულის გარდაცვალებას...

რით დაგამშვიდო? ღამეები სევდის ტბებს სვამენ –  
ჩემმა სიზმრებმა ვერ იშვილეს შენი დევები,

ის დალოცვილნი სიყვარულის ქვევრებსა ნთქავდნენ,  
ჩემი ძილი კი დაავადდა გადამტერებით.

სათუთ პატარძალს ერთგულებით განებივრებდით,  
შენს ბედს ერდოზე მოვუხმობდით მზისფერ ნატვრებით  
და თბილ ხელებზე მეოცნებე სოფლის ქალები  
დევის სიყვარულს გულში მალვით დავატარებდით.

მწვანე მინდვრები ყაყაჩოთა ყიჟინას ტეხდნენ,  
განა მარტო ჩვენ, დაგნატროდნენ სასძლო იფნები,  
როცა ჩვენს სოფელს ნისლისფერი კაბის ფრიალით  
ცისარტყელაზე მოქანავე გადაუფრენდი.

ათასწლეულებს წლებზე ებათ შენი სიცილი,  
ბედნიერება უბედობას ძვლამდე ატანდა  
და დღეს, საბრალო, მაგ სიცილებს დანატრებული  
ვრცელი სამყარო უსაშველოდ დაპატარავდა.

მეც ბორძიკ-ბორძიკ, ტკივილ-ტკივილ გამოგედევნე,  
სიკვდილნასვამიც, სიყვარულის ერთგული მწე ვარ.  
გთხოვ, მაგ ნაფერები მტევნებით დამხუნძლე,  
მეზობელ საფლავში ვწევარ!

04.05.2013

## უჯანასუნელი აღსარება

... და ჩემი გვირგვინის თვითეულ ნამტვრევს  
სანუთროს ქარებს ვესვრი და ვმატებ.  
**ნაზი კილასონია**

ჩემი მფარველი ანგელოსი, ვიცი, მომკითხავს,  
სად გადავკარგე ძვირფას თვალთა აელვარება –  
თმენა-ტკივილით შემკობილი გვირგვინი ჩემი...

მე, მარტოობის დედოფლობის ტახტზე მჯდომარეს,  
არ ვიცი, ზეცა დამაფარებს თავზე ოლარებს,  
როს ბაგეს დაწვავს აღსარების იდუმალება?!

ისმინე, ცაო, ვიდრე ბოლო სუნთქვა მიწყდება,  
ლექსით სიგიჟე, ტკივილი და თავდავინყება,  
ცხელი ძარღვების ჟრიალი და ორომტრიალი  
ვერ ვანდე ოქროს ფოსოებს და მოვერცხლილ ღარებს,  
ფრთებზე შევაბი შემოსეულ ღამეულ ქარებს!  
თან დავუმატე საყვარელი სიმღერების თრთოლვა-სინაზე,  
მომღერალ ჩიტთა ფრთის ფართხუნი ფანჯრის მინაზე,  
ფერად რითმათა მამხალეების ცაში ასროლა  
და ყოველ ლექსის აფრენაზე გულის გასკდომა!  
ძვირფას გულმკერდზე დასაღვრელი ცრემლებიც კი  
იქცნენ ქარებად,  
ყრუ გმინვა თვითონ გავატანე არმადანებად.

ქარებს შევაბი ფრთებზე ოქროს ზანზალაკებად  
ჩემი შვილების ბაგეების „მამაო ჩვენო“,  
ო, ის გალობა – ზეცის თვალი, როგორ მიჰქონდათ,  
შურნარევი მზერას ირეკლავდნენ მახინჯ ბილბორდთა!

ჭიაკოკონა გააგიჟებს ჭინკებს „არულით“,  
ლექსსაც სხეულში შეეგზნება დარიანული,  
გამოისხამენ იმ სიგიჟეს ფრთებად ქარები,  
ინავარდებენ იმ ალების აფრიალებით...

ქარებს ვუბოძებ სააღდგომო დაკვირვებას,  
ნებაყოფლობით გაგრძელებულ მარხვის თარიღებს  
და ვიხმობ ცასთან ქორწინების ამაყ მაცრებად,  
როცა ცისკარზე საგოლგოთე ლექსი ამყვება.  
ამ უტყვე ფურცლებსაც – უთქმელ ლექსებს, ვერ დავამინებ,  
შემოაფრინონ მიწის ბურთი, ვთხოვ და ვაფიცებ!  
... და მადლიერი ქარი ვაზებს ურხევს ლოკონებს  
და სულს უბერავს ჩემს ჩანავლულ ჭიაკოკონებს,  
თან ტკივილიან სიტყვებს ჰანგზე აბამს „ალილოს“,  
ეგებ უფალთან საუბარი გამიადვილოს!

ქარებს, ო, ქარებს, ყველასაგან მოძულებულებს,  
მჭკნარი რტოების აფეთქებას ნატვრის ხეებად,  
შეეძლოთ, თმენა-ტკივილები ჩაესუნთქათ და  
ამოესუნთქათ მაცოცხლებელ სამოთხეებად!  
ფიცვერცხლნაჭამი გრიგალებთან ჩემი ქარები  
დანავარდობენ იმ ტკივილთა აფრიალებით!

ზეცა მოდრეკილ თავზე მაფენს მზისფერ ოლარებს  
მე, მარტოობის დედოფლობის ტახტზე მჯდომარეს...

03.01.2013

# სეხვა ქარებთან

## აღდგომის ღამე

ნუხელ ფიქრებმა უსასთუმლო ღამე ათიეს,  
თვალეებში ძრწოლა ჩაუსახლეს არიმათიელს.  
პირქუში ლოდი ააგორეს შავმა ხელებმა  
უფლის სამარხის ბნელ მისახვევ-მოსახვევებთან.  
ზეცაში მაცნედ მიმოქროდნენ მკაცრი ეტლები,  
ვილაც მოთქვამდა საოცარი თავგამეტებით,  
სამყაროს დედას ჩაფხრენოდა მზისფერი კალთა,  
ღამე ცოდვილთა უთენებელ იმედებს კლავდა,  
ემუქრებოდა ცა ქვეყანას აღგვით და წაშლით,  
მამლის ყივილის ექოები ბრუნავდნენ ცაში...

უფლის ბჭესთან კი უამრავი უცხო მაშხალით  
შეკრებილიყო ანგელოსთა წმინდა ლაშქარი.  
მამაცი მთავარანგელოსი ჯავშანს იცვამდა,  
მიწას წამლავდა შფოთვა ეშმას ერთგულ მისანთა  
და ზანზარებდნენ ჯოჯოხეთის ბჭენი ვერაგნი,  
მცხეთის გზას უკვე დასდგომოდა ქრისტეს პერანგი,  
სამყარო წერდა უდიადეს ბრძოლის პანოებს,  
იმედის თრთოლვა შესდგომოდათ სასაფლაოებს,  
მენელსაცხებლებს შეყინვოდათ ხელში მირონი,  
კალთებსა შლიდნენ სივრცეები უნაპირონი...

მზე ცერზე ესვა ბოროტების მომწყვლელს და მრეცავს  
და „ქრისტე აღდგას“ გუგუნებდა გახსნილი ზეცა!

ვნების კვირის შაბათი

04.05.2013

## სიდონია ყოველი გარდამოხსნის ჟამს

ზეცა გიმზადებდა ტახტრევანს,  
აქ ყოფნას ცად ყოფნა ჯაბნიდა,  
დიდრონ ბელტს წამოვკარ ფეხი და  
უჩემოდ გარდმოგხსნეს ჯვარიდან.  
ალებასტრს მირონი დაღვროდა,  
უროს ხმა აღწევდა მცხეთამდე,  
ველარც დაგიტირებ და ველარც  
გავბლანდავ ჩაფხრენილ კრეტსაბმელს.  
მაცდურის ბრძანებით მიწაზე  
სიბნელე სიბნელეს მიება,  
სადღაც შორს, დაღლილი ხელები  
მწუხარედ ძერწავდნენ „პიეტას“...  
დაკრუნჩხულ ხელებით შენეულ  
კვართს გამხმარ სხეულში ვიხუტებ,  
სიზმრებში მოსვლის დღეს ვკითხულობ  
სიმწრით გახურებულ მზის გულზე.  
ხილვებით ოცნება დაღალეს  
ჩემი თმის ბრიალა ტევრებმა,  
როს მაგდალინელის თმის ბედი  
შურით ემწარათ და ებევრათ.  
როგორც კი ნიშანი იელვებს,  
მაცრიონს წამოვშლი ერთ წამში,  
გარდმოხსნილს ვერ ჩამოგისწარ და  
ქორწილს აქ გადვიხდი, მცხეთაში!

ნითელი პარასკევი

03.05.2013

\* \* \*

ვაქორწინებდით სიყრუეზე  
ნაცრით სიბრმავეს,  
ქილიკს ვჩუქნიდით ბრძენ წიგნებს და  
თმათეთრ მენტორებს  
და მნიგნობართა ვითომცოდნის  
რიხით ვხვდებოდით  
წარღვნის წყლების და ცეცხლის წვიმის  
არმაგედონებს.

კვლავ ნიშანს ითხოვს ურწმუნო და  
მემრუშე მოდგმა.  
მოსურნეს ყური დაუყრუვდეს,  
თვალი აებას!  
შეხედეთ! თაბორს მაცხოვარის  
სითეთრე მოდგა,  
ზეცა კვლავ ქულა ღრუბლით ხვდება  
ფ ე რ ი ც ვ ა ლ ე ბ ა ს!

19.08.2013



## მაინც ...

გორვით დაღლილი, დაკბეჩილი  
ვაშლის სიმწარე  
თვითმკვლელ სურვილით რომ ჩაშლოდა  
თავქვე ნაძრახ ხევს,  
ღამეთა ავი მუქარებით  
შეძრწუნებული,  
მაინც უსმენდა გადარჩენის  
ხმათა კარნახებს.  
ღრუბლებმა შლეგი ღვარცოფი და  
დეღგმა ამრავლეს,  
ტალღები აღარ იხუტებდნენ  
გულში დაისებს,  
ვნებააშლილი, ატეხილი  
მრუში ქარები  
სპეტაკ სითეთრეს უწუნებდნენ  
ედელვაისებს...  
ხელის მტევნები იგროვებდნენ  
ხეშეშ სიხარბეს,  
სულში ვილაცის შავი ლანდი  
ცხარედ დაობდა,  
მზის ბილიკები შვავდებოდნენ  
დედამინისკენ  
და მაინც, მაინც თენდებოდა  
მ ა რ ი ა მ ო ბ ა !

27.08.2013

# შენ რომ სასახლე წამომართე

ნოდარ მამისაშვილს

ბაგემდუმარედ ჩაუვლიან ბრძენი ფლასები  
ფარჩებს, კეისარ ტოგებსა და უფლისწულ ჩოხებს,  
შენ რომ სასახლე წამომართე საღვთო მინდვრებზე,  
მის კარიბჭესთან ხელაპყრობით ჩამოვიჩოქე...

ოცნებას ნადიმს ვუმართავდი ყოველ ცისმარე,  
მაგრამ მაგ ქროლვას ძილშიაც ვერ მოვიზმანებდი,  
პირველ სიტყვათა, გუმბათთა და საგალობელთა  
დიდ შეყოვლებას\* გუგუნებენ შენი ზარები!\*\*

01.02.2014

.....  
\* იხ. გვ. 26

\*\* საუკუნეების წიაღში ჩარჩენილ ქართული საეკლესიო ზარების შენადნობის საიდუმლოს დიდმა მეცნიერმა და მუსიკოსმა ნოდარ მამისაშვილმა მიაგნო. მასვე ეკუთვნის ცხრა ზარის ჰარმონიული ერთობის ქართული სხეულის ბიორეზონანსთან შესაბამისობაში მოყვანის იდეა და თითოეული ზარის ფუნქციური სახელდება (დედო, მოხმობის, მიმტევებლობის, მონანიების, ლოცვის და ა.შ.). ნოდარ მამისაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოასხეს სამების ტაძრის ზარები გერმანიის ქ. ჰაილბრონში.

## ხმა გალაქტიკიდან

მშვილდსა და კაპარჭს მოვიგდებდი ფართო ბეჭზე და მიწის ტკივილებს ყივილით და რბევით ვიკლებდი, ძარღვში საკუთარ სისხლს ვუსხამდი დაჭრილ ანგელოსს, ვაშოშმინებდი მშფოთვარ სიზმრებს გალაქტიკების.

ეტლების გრიალს მეხის ხმას და ქუხილს ვარქმევდი, სახეს ვჩუქნიდი გადარევის ხმებს და ფანტომებს, ფრთოსან გრიგალებს შავ მტევნების ღვინოს ვასმევდი, მათ კი ქარვისფრით ერთხელაც ვერ დამიმარტოვეს.

ახლაც სასწაულს ვარქმევ სულის დიად ყივილებს – შობას, აღდგომას, მირქმასა და ფერიცვალებას, კალთაში ვუყრი აღმასებს და სალუქ ბივრილებს და მზეებს ვმატებ მათ სახელთა აელვარებას.

უფლის გალობას ჯვრებად რქებში ვუმაგრებ ირმებს, ტკივილს ვკარნახობ დათმენას თუ მოთქმა-გამხელას, თქვენს ცას მე ვნისლავ, მე ვუყენებ მზისფერ ამინდებს, სამყაროს სუნთქვა – სიყვარული მქვია სახელად!

28.04.2013

## ცეკვა ქარებთან

ეს წვიმისფერი ზმანებები ძლიერ გამიცვდნენ,  
ის დროა, ვგონებ, ქარისფერებს გამოვედევნო,  
მერე კი, ალბათ, მიწისფერი შემიყვარდება,  
მანამდე შენ არ დამიღონდე, მიწავ, ბებერო!

წვიმისფერებმა ცეცხლისფერი შეცვალეს ერთ დროს,  
უდაბნო სულში ნისლისფერი სევდა გამეფდა...  
ძლივს გამოვასწარ იმ ზმანებებს დაფერფლილ ფრთებით,  
ნეტავ როგორღა დამთავრდება ცეკვა ქარებთან?!

19.12.2013

## გალაქტიონს

მაშინ გამოგედევნე  
ქარიშხლების თარეშით,  
როცა წმინდა სიგიჟის  
ცრემლი ჩადგა თვალებში.

მაშინ გავესწორფერე  
უნაბისფერ მდელოებს,  
როცა სული ტიროდა  
შემლილ რომანსეროებს.

ვიცი, ჩემი ნახტომიც  
ფრენას დაემგვანება,  
ფრთები თუ არ დაკეცეს  
ატეხილმა ქარებმა.

27.02.2013

## ჩემი ქაოსი

ქარი სიყვარულს ჰპირდებოდა  
ვაშლის ყვავილებს,  
მერე მზის გულზე სასიკვდილო  
როკვას ჩუქნიდა...  
გადავიღეღე გაზაფხულის  
გულისპირი და  
ქაოსს ამოჰყევ მოგუგუნე  
ჩემი უბიდან  
და ჩამორეკა სამრეკლოზე  
ზარმა მზაობის...  
ჭიამაიავ, სად გამაფრენს  
ჩემი ქაოსი?..

14.12.2013

## ავტოპორტრეტი

გუშინ ექიმთან შეილი რომ მიიყვანა თვალეზმეშუპებული და დაფოთლილი, ურჩიეს: – ეტყობა, ალერგია აქვს რალა-ცაზე, სანამ გამოვიკვლევთ, ხშირად გაანიავეთო ბინა.

ახლა საგულდაგულოდ დაჭრილი მწვანელი ნაგვის ყუთში ყრია და ნაცვლად იმისა, რომ აზვირთებული სადილის ტალღებში ბანაობდეს და კვეხნით ქოთქოთებდეს, უჩემოდ მშივრები დაიხოცებოდნენო სახლიკაცები, საყვედურით იკლებენ საბრალო, ცრემლმორეულ ლექსებს, კედელს რომ აჰკვრიან და ერთმანეთს უყურებენ დარცხვენისები, როგორ გამოვტაცეთო ყურადღება ჩვენი ატანილ დიასახლისს.

იქით მამაკაცის ხმა ბუზღუნებს, წინდები კია გარეცხილი, მაგრამ ლექსები ჩაუტანებიაო შიგ ჩემს დაბნეულ ცოლს და ახლა ფეხებზე მჩხვლეტენო ის ლექსები! წუხელისაც, ჩაი რომ დამისხა, ერთი ლექსი ყელში გამეჩხირა და კინალამ დამახრჩოო!

ოთახი კი ლამის უკუღმა ამოატრიალონ სხვა ლექსებმა. ზოგი ქალს ჩამოჰკიდებია, ზოგი ოთახის ყვავილების ფოთლებზე დახტის ასკინკილა, ზოგიც გაპრიალებულ იატაკზე დასრიალებს. ერთს, საბრალოს, ფეხი აცურებია და გამწარებული იზელს კოჭს, თან განწირული ხმით ჰკივის. მეორე კი იმ ათუხთუხებულ უმწვანილო წვნიანში ჩავარდნილა და ყვირის, მიშველეთ, ვიხრჩობიო!

კიდევ კარგი, მათი ორომტრიალი დიასახლისის გარდა არავის ესმის!

27.02.2013

# ლოდინი დედების ხვედრია

დედას – ნათელა აბუაშვილს

შენი მდელოების სიმწვანე  
ახლა ჩემს თვალეშიც ელავს  
და ჩვენი მინდვრების მსგავსება  
ერთგვარად აკვირვებს ყველას.  
ძველი ფოტოების მზექალმა  
სარკეს უსაჩუქრე სევდა,  
მე კი სინანულის სტრიქონი –  
„ვერ გაქალბატონე, დედა!“  
კვლავ დახლის საკიდარს ამძიმებს  
ჩემგან შენაპირი ქურქი  
და მისი სილბილის სანაცვლოდ  
ხეშემ მოლოდინებს გჩუქნი.  
ალარ ჩაილუკმა ბოლომდე  
ცრუ საზრუნავების ყუა,  
სულ თავისმართლება მიხდება  
სულ დამნაშავეს და მტყუანს.  
ჩემს ბილიკს მხატვარი საღამო  
კვლავ მოლოდინისფრად ხატავს.  
პალიტრას ნაღველი აწამებს  
ბავშვობის დაკარგულ ხმათა.  
ჩემი ტყის ქარებიც გაანჩხლდნენ,  
მწვანეს უწუნებენ წინვებს,  
მე, მათი უსიტყვო მსახური,  
შენთან ნებივრობას ვინყებ.  
ჩემი ხელისგულის ტაფასაც,  
ვხედავ, გასწყრომია ღმერთი,  
ვწვავ, ვწვავ და საშენო ერბოკვერცხს  
ალარ შეებრანა გვერდი!  
შენი ღამეების მერნები  
ჩემი სიზმრის კვიცებს ხედნიან.  
ლოდინს ნუ ემდური, ხომ იცი,  
ლოდინი დედების ხვედრია!

19.04.2013



# დაჯარბულ ჰვიცსავით

მამას – გიორგი ძაგანიშვილს

რომ ვფიქრობ, ძალიან მიკვირს,  
როგორ შეიმოსე ამ ხნით!  
რამდენჯერ გაგისკდა გული  
ნასეტყვი ვენახის ნახვით.  
რამდენჯერ გაგტაცა ღვარმა  
კეთილი მცენარის ნერგი,  
როცა მღვრიე კვლების მიღმა  
დაჭრილ ვაზის ლერწებს კრეფდი.  
შენი გონიერი სიტყვა  
მზითვის ნუსხის თავში მიზის,  
ეს შენ ამიმღერე სულში  
ფერები ცისა და მიწის,  
ეს შენ დამანახე ლექსში  
ქართან მოცეკვავე ხმები,  
მას შემდეგ უღექსოდ ფრთები  
მიუფერულდება და... ვქრები...  
მას შემდეგ უმზეო ცას ჰგავს  
გულის უღექსებო ძგერა,  
მას შემდეგ მოედო ჩემს ტყეც  
შლეგი სტრიქონების რემა.  
ამ ტყეც მეზობლობენ თბილად  
შენი საფერავი ზვრები,  
მუზებთან ჯირითის შემდეგ  
მათი ქარვისფერით ვთვრები.  
სიტყვით ალესილი ცულით  
გლოვა შეუყენე ძეძვებს,  
სიბერეს გაუსხლტი, ის კი  
დაკარგულ კვიცსავით გეძებს!

20.05.2013

## ნუხელ გათოვდა...

ძმას – თამაზ ძაგანიშვილს

რას არ მივცემდი, რომ წლებისგან  
წაშლილ ფერდობზე  
მამის მოზომილ იმ პატარა კვლებში  
გვაშრომა!  
ნუხელ გათოვდა... და ვხედავდი,  
გახარებული,  
ბალის ბოლოში გუნდაობდა  
ჩვენი ბავშვობა...  
დაფარფატებენ ზმანებანი  
ყრმობის სიზმრიდან  
და ზოგჯერ მზეერას იმკაცრებენ  
ბასრი ისრებით,  
მემუქრებიან – იცემები,  
დადექი, გოგო!  
პატარა მუშტებს მიღერებენ  
გაგულისებით.  
სათუთ დედ-მამას ბუხრის გარდა  
თვალებით მითბობ,  
ცას კვამლს უგზავნი ჩვენი ძველი  
სამოსახლოდან,  
შორეთზე ფიქრებს ვეკრძალები,  
ვიდრე შენ მიხმობ:  
– ამათ ძალიან ენატრები,  
როდის ამოხვალ!  
ესაძირკვლები ჩვენი სახლის  
ლაჟვარდ აივანს,  
დაიმახსოვრე, იმედის და  
რწმენის მიჯნა ხარ!  
სათქმელს ყოველთვის მოკლედ ამბობ,  
მეც მოკლედ გეტყვი:  
– რაც წლები გადის, სულ უფრო და  
უფრო მიყვარხარ!

02.02.2014

\* \* \*

მხოლოდ ერთი ღამე მეძინა  
ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ძილით.  
ამ დილით გავიღვიძე და...  
ღმერთო, სად წასულა ცხოვრება!  
– როგორმე უნდა დავეწიო!  
ქუჩაში გამოვვარდი.  
ულამაზეს ჭაბუკებს ჩავუარე და  
ხუთ წამში სამჯერ მაინც მომესმა  
ფალოსის არაზრდილობიანი სინონიმი,  
მე კი, ცხოვრებას ჩამორჩენილმა,  
ყურებზე ხელი ავიფარე და უკანმოუხედავად გავიქეცი.  
თუმცა მალე გონს მოველ,  
შე ჩამორჩენილოო, თავს ვუსაყვედურე  
და შერცხვენილმა ჩამოვიღე ხელი ყურებიდან,  
კიდევ კარგი, არავინ დამინახა!  
ულამაზესი გოგოები მოირხევიან ჩემ პირდაპირ,  
გრძელი ფეხები... მოლივლივე თმები... უნაზესი ხმები...  
მუსიკასავით ჩამესმის: ლაითი... ლავი... პრაიმი...  
მაგრამ მე, უბედურმა ჩამორჩენილმა, ვერაფერი გავიგე!  
ჩემი გონება თითქოს უცხო ბურუსში აირია...  
სასწრაფოდ უნდა გავნათლდე,  
თორემ ჩემს საყვარელ ქართველებს  
მალე ველარაფერს გავუგებ.  
ქუჩა სასონარკვეთილებას მიღრმავებს –  
ულამაზესი ვიტრინები... აბრები... რეკლამები...  
მაგრამ სულ უცხო წარწერები...  
არა! აგერ ქართულიც!  
მაგრამ მაინც ვერაფერს ვიგებ –  
ასოები ქართულია, მაგრამ  
სიტყვების მნიშვნელობა არ მესმის!  
აქეთ-იქით ვიყურები, ვცდილობ, სასწაულით გადარჩენილ  
ნამდვილქართული წარწერის ერთ შვერილს მაინც ჩავებლაუჭო,  
მაგრამ ბურუსი თანდათან სქელდება და საოცარი  
სისწრაფით მბრუნავ

უცხო მორევში ვეშვები...

ბრუნვა უსასრულოდ გრძელდება...

კივილი მიჭერს ყელში და...

ვიხრჩობი...

– მიშველე, ასეთ ყოფას სიკვდილი მიჯობს, ღმერთო!

ღმერთი: – დანყნარდი და კარგად დააკვირდი,

შენ წინ სიკვდილი დგას!

04.03.2013

## პირველი ქვა

რა მიხარია! პირველი ქვა უკვე მესროლეს!  
როდის ინდობდნენ პოეტები თანამედროვეს?!  
ფრთხილად, ბატონო, თქვენ წინ მტრობა-სიძულვილია!  
გირჩევთ, სასწრაფოდ წაიკითხოთ ისევ ილია!  
თბილი ქარები ეწევიან მხოლოდ მზის ეტლებს,  
თქვენ ბოროტებას ერითმებით,  
მე კი სიკეთეს!

10.04.2013

## ალარ მაკვირვებს

ერთგულ ხელების ძებნაში  
დრო მოგაჩეჩებს მსტოვრებს,  
ყველაზე დიდი სისავსეც  
სიცარიელეს ტოვებს,  
ყველაზე მნათი ვარსვლავიც,  
ოდესმე, თურმე, ქრება,  
ამიტომ ალარ მაკვირვებს  
კუდიანების კრება!

## რეტროგრადული ლექსი

ვილაც რომ დიდი გგონია,  
ხელთ ქონდრისკაცი გრჩება!  
დროშები, ერის სინდისი,  
გადუქცევიათ ჩვრებად.  
გატყუებს დიდი, პატარა,  
თან ურცხვად გიმზერს თვალში,  
ჰოი, მირონის მდინარევ,  
რა უმონყალოდ დაშრი!  
კეთილ ნერგს ცულით ჩეხავენ,  
ნაყოფსა თქვლეფენ ჭიანს  
და ტოტს, რომელიც იმაგრებთ,  
საკუთარ ხელით ჭრიან!  
სიბრძნეს ქვას და ღორღს უშენენ,  
ბრიყვებს უდგამენ ძეგლებს,  
სიბნელის ხოტბით სინათლის  
გზებს უბნელებენ მიებნელს.  
ჯვრიანი ტაძრის შვილები  
უზავდებიან ეშმას,  
უფალო, ეგებ ინებო,  
მათ მგელს ბატკანი ეშვას!  
თვითონ ძლებიან ჭამადით,  
ნეშტს უტოვებენ შვილებს,  
მტრის გასახარად ქოლავენ  
მესათოფურე ჭრილებს.  
საჯიშე-სანაშენონი  
სასაკლაოზე მიჰყავთ,  
თვითონ სიბრიყვის მსახურნი  
შენა გასახვენ ბრიყვად.  
ღორებს უყრიან მარგალიტს,  
მზაკვარს უხრიან თავებს,  
გამათხოვრებულ ქალაქებს  
ფერად სანთლებით რთავენ.  
მწვრთნელის სიბრძნეზე, უგნურნი,  
პირიდან ცოფებს ყრიან,

იცინ სიტყვა – „ადრე“ და  
სულ არ იცინ – „გვიან“!  
წარსულით ყელყელობენ,  
მტერს უბრმავებენ თვალებს,  
სისხლით გაპოხილ მინაზე  
ბოროტ ყვავილებს რგავენ.  
ხელები ველარ მოლაღეს  
სხვისთვის ბალღამის ხარშეით,  
ვერაგ „მე“-ების ბრახუნში  
„შენ“ დაჰკარგვიათ ქარში.  
მმართველთა მიეთმოეთში  
დრო უმონყალოდ მიღის,  
ჭკუას არიგებს ბრიყვი და  
სამართალს ადგენს ფლიდი.  
სულის ზეციღან ვარსკვღაღებს  
ღვთისმშობღის კალთით შღიღან,  
„არის ასეთი ქვეყანა,  
მას საქართველო ჰქვია!“

-----

კიღვე კარგი, რომ შენ სხვაგვარად ფიქრობ, უფალო,  
და წარღვნის ნაცვღად კოკისპირულ წვიმებს გვაკმარებ,  
ეტყობა, იცი, გამოვღღწვეთ უგზო-უყვღლო  
უსიერიღან დამშვენებულ ხელთა ნაღავღლით,  
თორემ დასჯიღი იმპერიების ნანგრეღვა შორის  
ჩვენებრ ნამცეღვა ერთიღ კი არ მოიღებნება.  
გვანიშნე, გვითხარ, მოგვინოღდე, კიღვეც შემოგვკარ,  
თორემ ფოსტღლ-კვერცხები დავღღგით მღვრიე ძეღღებღად!



## როგორ გააბრწყინებს?!

**სხვისი** დაოთხილი მოჰქერის,  
**ჩვენი** დაბანგული თვლემს,  
ბაგე ვითომცოდნას ცოხნის,  
დრო გააბრწყინებსო თვლებს!  
ჩვენი უბადრუკი სვალე  
აღმასის აისებს მტრობს,  
ჩვენ თუ გავატანეთ ქარებს,  
როგორ გააბრწყინებს დრო?!

13.10.2013

\* \* \*

სამშობლოვ, როგორ მემნუთხება შენი ალერსი,  
დედინაცვალის ხელით დაღვრილი  
მამაჩემის სახლს შემოხიზნულ უძღებ გერების  
ხოჭოსფერი თმების ტევრებზე,  
როცა საბრალო ჩემი და-ძმები  
ნაგავსაყრელზე დაეძებენ პურს არსობისას...  
და ისე მაკრთობს,  
როგორც უბეში უცაბედად ჩავარდნილი  
ყინვის ნამსხვრევი.  
სამშობლოვ, როგორ მემნუთხება შენი ალერსი...

## ჩინური ძლაპარი საქართველოში

ზღაპრული ქალაქის თავსა თუ ბოლოში  
მზარავი ურჩხული ცხოვრობს,  
ქალაქელ ქალ-ვაჟის ძვლებით აპირკეთებს  
უფსკერო უფსკრულს თუ ორმოს.  
დროდადრო იმ ბილნის შემუსვრის პირობით  
უებრო დევგმირი მიდის,  
ტკივილებს სალბუნად ედება იმედი  
იმისი ლახტის და მშვილდის.  
მაგრამ ის უებრო... (ვაი, რომ ამ ამბავს  
ქალაქი დღესაც ვერ ხვდება),  
ურჩხულს დაამარცხებს და თვითონ დევგმირი  
ახალი ურჩხული ხდება!

ასე აკლდება დიად ნათელს ბნელის სამყოფლო...  
რად გამახსენე ეს ზღაპარი, ჩემო სამშობლო!

22.12.2013

## ჩრდილოელ მემობელს

ძვირფას ჩვილთა სულგამყინავ კვილს  
თბილ მკერდიდან უსჯულოებრ მაცლი.  
შენს მინურში ხარბ დედაბრის ზღაპარს  
სულ უტირის გაბზარული ვარცლი...

მერამდენედ დამიმნუხრე ღმერთი!  
მერამდენად გამინარღვნე თოვა!  
მოუსმინე, შეგონება მღერის:  
ქარს თუ თესავ, ქარიშხალი მოვა!

19.12.2013

# იავნანის მაგიერ

ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონს

ძილში სიზმარი თუ გაგიმხელს,  
ცხადში, ადრეა,  
როგორ ამტვრევდა ქარი ბინდის  
ფერმკრთალ პიონებს,  
როგორ აკმევდა მწუხრი ფიჭვის  
სურნელს დარდიანს  
და წესს უგებდა გულგახეთქილ  
ბაგრატიონებს.

ჩემმა წინათქმამ გაგიბრწყინოს  
შუბლზე ნიშანი,  
რომ შენი შიშით ქარი ახლა  
ვერას მიქარავს,  
ლოცვანით თავზე დაგდგომია  
ყმანვილს ცისკარი,  
შენ გაეზარდე საქართველოს  
ერთგულ ნიქარად!

10.08.2013

## ხიდები ინვიან...

როგორ ბურბურებენ ვერაგი ხიდები,  
აკანკალებული ხელით რომ დაგწვი,  
კვამლებად გავფანტე ცბიერი ბინდები,  
ცრემლებს ვარეცხინე სიბრმავე ნაცრით.

წყალგაღმა ქალაქი მოთქვამს და ზრიალებს,  
ნაძვი ჩუმად იგლოვს სიმწვანეს წინვიანს,  
ბაგე გმინვით რაზავს კვილებს გვიანებს,  
ხიდები, ხიდები ინვიან!..

17.01.2013

## ორივენი დაემშვიდდეთ

აღბათ ზაფხული მოიგლოვებს  
მტირალ ნოტებით  
შენი ტალღების მამაც მსხვერპლებს –  
ზამთრის თოლიებს...  
აღბათ ზაფხული დაამდოვრებს  
პიანოებით  
ანწნილ სულის ქარიშხლიან  
ზღვის სიმფონიებს...

ჩემი ცაც ბევრჯერ დაიგრაგნა  
მგლისფერ ღრუბლებით.  
შეხედე, როგორ გამოირევს  
მწუხრზე შავს კიდევ...  
ზღვაო, კარგად მესმის  
შენი, მაგრამ,  
მოდი, ორივენი  
დაემშვიდდეთ!..

25.08.2013

## დაგვიანებული ლოცვა

სულ ცოტა ხნის წინ კანდელაბრზე ბრიალებდნენ  
ჩემი ლოცვები,  
მხრების ცახცახით მიიკვლევდნენ  
ძნელ გზას ზეცისკენ  
და თან მიჰქონდათ უძვირფასესი სახელები,  
სასოებით რომ გამოვაბი ალაკრულ ფრთებზე...  
სულ ცოტა ხნის წინ თეთრ ტაძარში ბრიალებდნენ  
ჩემი ლოცვები...  
ტაძრიდან გზაზეც გამომყენენ და  
ჩამილაგდნენ თვალში მძივებად  
და ის მძივები გამახსენეს,  
შენი თვალების უპეები რომ შეამკეს  
დიდი ხნის წინათ.

... და კანდელებმა დაიკვილეს შენი სახელი,  
– დაბრუნდი! – უკან მიმიხმობდა  
თაფლის სანთელი,  
ღვთისმშობლის ხატთან რომ დავტოვე  
დაუნთებელად.  
... და ლოცვის ფრთების ერთი ბუმბული  
ნაჩვევ სახელის მიუბმელობას ისაკლისებდა,  
... და დაბრუნება ძლიერ ჰგავდა  
დაბრუნებას მშობლიურ სახლში,  
სადაც ცოცხალი მშობლების ნაცვლად  
მათი უფერო პორტრეტები გელოდებიან...

...მერე გზა დინჯად მიჰყვებოდა ბინდში  
თავის თავს,  
დაგვიანებულ ლოცვას მძიმედ  
სცვიოდა ფრთები,  
ლოცვის სიტყვები ფარფატებდნენ  
ნანვიმარ გზაზე  
და ბალერინა ფოთლები თრთოლვით,  
რიტუალური გულმოდგინებით,  
მათ მოძრაობას იმეორებდნენ...



და უსაშველოდ მწყდებოდა გული,  
რადგანაც ვგრძნობდი,  
როგორ ამაოდ იღველფებოდა  
სანთელი ერთი  
ალისფერ თენტვით –  
დაგვიანებულ, გულმავინყ ლოცვას  
აღარ უსმენდა დაღლილი ღმერთი.

დეკემბერი, 2012

## გომიებივით მოგყვებიან

ნატვრებს კაბები დაეფლითათ, ჩამოეძონდათ,  
დიდი ხანია, აღარაფერი შემიკერავს მათთვის საშვენი.  
ყური მოგკარი, ცრემლმორეულნი საუბრობდნენ  
ერთმანეთს შორის,  
როგორ სციოდათ ფეხდათავშიშველთ!  
როგორ ჩიოდნენ, ხასხასა მწვანე სიყვარულით  
აღარ გვმოსავსო!  
... და გამახსენდა, როგორ ცეკვავდნენ მცხუნვარე მზეში  
ვნებიან რხევით,  
თმაგანწილნი და ბედნიერნი,  
როცა შენს კვალზე ყაყაჩოებად ამოდიოდნენ,  
შენი თვალების სიღრმეებში დაცურავდნენ კალმახებივით,  
მხრებსა და მკერდზე ნებივრობდნენ,  
შენს ბაგეებზე გადარბოდნენ – ხავერდებზე  
შიშველ ფეხებით...  
ახლა მიდიხარ და ჩემს ნატვრებს თვალებში ვატყობ,  
როგორ უნდათ, გამოგედევნონ უპატრონო გომიებივით.  
– ნუ წახვალთ, დარჩით, ჩემთან დარჩით!  
სხვა ბაგეებზე დაგაბინადრებთ!  
სხვა ჩანჩქერებში გაბანავებთ!  
ხვალ სადედოფლოდ შეგმოსავთ და  
ყველაზე ნამდვილ უფლისწულებზე დაგაქორწინებთ!  
მარცვლები მაინც დამიტოვეთ, მცირე მარცვლები,  
რომ ხნულებს მივცე  
და გაზაფხულზე ამოვფეთქო ნატვრის ხეებად;  
რომ წვიმებს მივცე,  
რათა ზეცაში მიმოგფანტონ ცისარტყელებად,  
რომ მიწამ ზათქით იზეიმოს ნატვრის ხეები,  
ვაზებმა – ქარვის სიმნიფეთა ოქროვანება...  
ნუ მედღურით, რომ არდაგაპურ-არდაგარწყულეთ,  
სად გაგონილა სიყვარულით ნაყროვანება!

ჩემს სიმარტოვეს სულაც არ სწუხან,  
გომიებივით მოგყვებიან ნატვრები უკან...

დეკემბერი, 2012

\* \* \*

ხომ არ შეგშურდა ჩემი სევდის,  
ბინდის ბუერავ,  
იასამნების ფერს რომ ირევს  
სალამოს ნისლში,  
იმარგალიტა მონატრება,  
ღანვზე უელავს,  
ჩანჩქერის წვიმებს პეშვით კრებს და  
გულ-მკერდზე იშლის,  
ჩაღველფილ ხსოვნებს ხელისგულზე  
სუნთქვას უბერავს,  
ხომ არ შეგშურდა ჩემი სევდის,  
ბინდის ბუერავ?!

15.12.2013

მანდ რომ ტყვილი მომენატროს!..

ფრთხილად ჩავუვლი უსათუთეს მზისფერ ბაიებს,  
სამყურებს ცრემლით დავარწყულებ – მზის სამაიებს...  
ამ სამანს იქით შენი წმინდა ზვრები იწყება,  
შემაძლებინე ქვეყნიურის გადავინყება!

ეს დამინება ამაღლების სანინდარია,  
ზეციდან ხელი შემაშველე, დედავ, მარიამ!

ცისკრით შევმოსავ მოქვითინე დაღლილ ღამეებს,  
მკერდს დავუკოცნი მოგონებებს – ფერმკრთალ კამეებს  
და შევავედრებ იმ ღამეებს დასამინებლად,  
ან დობილ ცისკრებს აქსოვინონ მთათა ნისლეზად.

ეს დაბრმავება თვალთ ახელის სანინდარია,  
თვალეზში სხივი ჩამინურე, მზეო – მარიამ!

აი, გამოჩნდა დავინყების ქალაქის თალი,  
გვედრი, გრიგალში არეული მოთქმით ნუ დამლლი  
და იმ ქალაქში შემაბრძანე ბზობის დიდებით,  
არადა, მარად ნეტარებას ნულარ მპირდები!

მაგრამ, სამყურებს შეეჩვია სული ძალიან  
და მანდ რომ ცრემლი მომენატროს, რა ვქნა, მარიამ?!

2.05.2013

\* \* \*

ფრთები მიცვივდება ძირს,  
ოცნებებს ველარ ვმართავ,  
უკვე მერამდენედ ცის  
დანვრილვარსკვლავდა კალთა.

ეს მერამდენე დილამ  
ჩამოიბურა ჩადრი,  
რამდენი სკნელი ჩადნა  
სკვნილის ლოცვების ჩათვლით.

ახლა სიმწვანეს ძენის  
შემორეგია ფითრი,  
ახლა უშენო ზეცის  
შემოლამებებს ვითვლი.

30.07.2013

## დაიფარე, დედოფალო!

ნათლით წაშალე წინათქმანი ავგულ მისანთა,  
შორს გადარეკე ტკივილები სნეულ ცისკართა,  
სუნთქვით გააღღვე გაყინული გული მყინვართა  
და დაიფარე, დედოფალო, ვინაც მიყვარდა!  
მინის ტკივილებს შეაშველე ზეცა ედემად,  
თორემ სიმწვანეს ნაცრისფერი ობი ედება.  
მოისაკლისეს სანატრელი მკერდი მკერდებმა,  
ნანგრევნიც ველარ შეირჩინეს წმინდა კედლებმა.  
ლიმით შეაბი ფრთებზე მწველი ჰანგი უკვდავი,  
იმ სიყვარულის საგალობლის, მე რომ ვუკრავდი...  
გაუმზისგულე ბინდის გზები კეთილ მუხამდი  
და დაიფარე, დედოფალო, ვისაც ვუყვარდი!

14.10.2013

## ნინათგრძნობა

### ხვალ

ხვალ ფრთები მიმტყუნებს ალბათ,  
დღეს შენს ლაჟვარდებში მფრინავს,  
ხვალ დარდს შემოიხვევს ჩადრად  
ეს ცისფერთვალება დილა.

ყური მოინატრებს ალბათ,  
ხვალ რეკვიემების კვნესას,  
ხვალ შენს უძვირფასეს სახელს  
დავარქმევ აჩრდილებს შენსას.

ხვალ დამემუქრება ზეცა  
პირქუში ლანდების მარშით,  
ხვალ ალბათ მოკვდება ჩემში  
„ალუჩა – შვიდი წლის ბავშვი“...

### ზეგ

ზეგ კი გაზაფხული მოვა  
და ფერად ხალიჩებს გაშლის,  
ზეგ დამასაჩუქრებს ზეცა  
წვრილ-წვრილ ვარსკვლავების თავშლით!

ზეგ მეც შევეკვრები ქარებს,  
ზეგ თვალს ავარიდებ შენს გზას,  
ზეგ სასიყვარულო რეფრენს  
მეც უსიყვარულოდ შევთხზავ!

ზეგ მისაყვედურებს გული,  
„ქალაღდი რას აღარ იტანს!“  
და ზეგვე მიიღებს პასუხს –  
„ახლა სიყვარული მიყვარს!“

24.05.2013

## სატრდიალო ლირიკის ალტერნატივა

ბედისწერის იებზე მე დაგიმყნე ეკლები,  
ჩემით ცოტავდები და ისევ ჩემით ბევრდები.  
მე ვარ შენი წყურვილის ჩანჩქერების ზმანება  
და სამოთხის ხის ხილით შენი ნაყროვანება,  
შენი ღამის სითეთრე, დილის ჩამოღამება,  
შენი ხმალის კისერი, ნეკნის დაცოტავება!  
მე გაგიხსნი იარებს, მერე მევე გიშველი!  
მე ვარ შენი ჯვარცმაც და გარდამოხსნაც მზისფერი!  
მაშინ გაგინვიმდები, ცეცხლი რომ მოგედება,  
მე ვარ დილის სინმინდეც, ღამის კუნაპეტებაც,  
ჩაქნეული ხელი და დაჭიმული მშვილდები,  
ცისკრის „ანი“ დაირქვი?! ბინდის „ჰოე“ ვიქნები!  
უიმედო ოცნებებს დაგირწყულე ახდენით,  
ციდან სეტყვად წამოსულს მინაზე ქვად დაგხვდები!  
ისევ დაგცლი, აგავსებ მზაკვრობით და ღმერთობით,  
ისევ დაგამუნათებ ჩემი ერთადერთობით!  
სხვას არაფერს გპირდები, ვუჩუმდები დანარჩენს,  
ხან მოგდევე, ხან გაგირბი, ხან მოგკლავ, ხან დაგარჩენ!  
ცოტაც კიდევ მეომე, ცოტაც კიდევ გასძელი,  
მე ვარ შენი ჯილდოც და მე ვარ შენი სასჯელიც!!!

17.12.2013



## ფოთლებთან ჟამათი

„მებრძოლ აღმართებს დაღმართების კენესა მოჰყვება“,  
ავი ჭორივით შემაპარეს ხმელმა ფოთლებმა.  
დათოვლილ დილას დაუნწყულეს გული იჭვებით,  
„ერთი გუნდაც ვერ გაიმეტეს შენთვის ბიჭებმა!“  
ფეხდაფეხ შიში ამადევნეს მორჩილ კრავივით:  
„ეულ მიმწუხრებს მოუხარშავ ყავას ვანილით,  
გაგეთოშება წვრილი ძვლები ქარის ორპირზე,  
სახლს აიშენებ მარტოობით შემოღობილზე,  
რამპებმა ველარ გაგიბრწყინეს ენგურის სცენა\*!“  
–სამაგიეროდ, ცამ ინება უხვი ლექსცვენა!  
არ ვეუცხოვე ფერით ლექსის რძისფერ უდაბნოს,  
ვნახე, ვარსკვლავი ვარსკვლავს ზღაპარს როგორ უამბობს...  
ბევრჯერ დავფანტავ, ვიცვი, ოქროს აურზაურებს,  
ვიდრე ძარღვებში სისხლისფერი ლექსი ხმაურობს!  
გეყოთ, ფოთლებო, ჭორიკნებო, ენის ტარტარი,  
მუზებმა გზაში შეაფერხეს ჩემი ზამთარი!

19.10.2013

.....  
\* გამორჩეულად საყვარელი სცენა ჩემი სპექტაკლიდან „დიდოსტატის ნადიმი.“

## როგორც იქნა!

ჩემი პირველი ლექსი „თეთრი ტაძარი“  
12 თებერვალს დაიბადა.

იმ დღის სილურჯემ სევდის მთები გაიმანძილა,  
და ზეცის გუმბათს ჩამოეფშენა წმინდა ნაწილად.

...ზამთარს სითეთრე წამოესხა მხრებზე შილიფად,  
სხივს უღიმოდა, გამოპარულს ღრუბლის შირმიდან.  
ნიავზე მზერა შეყინვოდა ლხენით ბებერ ქარს,  
ჩემი სამყარო ზეიმობდა თორმეტ თებერვალს.  
ო, როგორც იქნა, გულის ხმები ლექსად დავძარი,  
ფეხმძიმე მიწას აბურცვოდა „თეთრი ტაძარი“.

19.10.2013

## მადლიერება

როგორაც იმ დღეს,  
თებერვლის ერთ სუსხიან დილას,  
ძლიერ მაჯაზე ამორძალის თმით დახვეული,  
არარსებობის უდაბნოს ქარებს გამოგლეჯილი  
ჩემი ლექსი  
ფერხთით დამიგდე,  
ისე იმ ლექსს,  
არარსებობის იმავ უდაბნოს შეფარებული,  
ქარებისაგან გადღაბნილი, ნაშლილ ნაკვთებით,  
შემოჰყავს ხოლმე შენი სახე იმ სამყაროში,  
მე და იმ ლექსმა ცისფერ მესრით რომ შემოვლობეთ.  
გინახავს სადმე შენ ასეთი მადლიერება?!

12.02.2013

## ვედრება

უნდა ვიჩქარო, მილამდება,  
კი არ თენდება!  
სამარის ბორცვი შემახსენეს  
გუშინ ბელტებმა.  
მიჯნურმა მინამ ტრფობის ახსნა  
ასე ინება:  
„ღმერთმა ისურვოს ჩვენი მალე  
დაქორწინება!“  
უნდა ვიჩქარო, დაილაღა  
ჩემი აპრილი,  
გამოთხოვება ლურჯ სიზმრებთან  
გახდა ადვილი,  
გაიბინდებუნდეს შორი მთები  
ჩემმა თვალებმა,  
ქარებთან ცეკვა აიკრძაღეს  
იალქანებმა.  
მაგრამ არ ვნაღვლობ, რას მოვწყდები,  
ან რას შევრჩები,  
რა ტყეუსიერს გამოსთხოვე  
ჩემთვის ეს ჯვრები,  
დამაკრეფინე, სანატრელი,  
ცაზე მარჯნები,  
ლექსის კარებზე რახარუხით  
დამტყდა მაჯები!  
შენ დამიხუნძლე უხვ მტევნებით  
ბერნი ეს წლები,  
თვალიდან წვიმად მოწვეთავდნენ  
წმინდა ლექსები.  
ხომ ხედავ, ისევ ვმესხობ, ვკოლხობ,  
ისევ ვთუბალობ,  
ლექსის მინდვრები ამიყვავე,  
მამაუფალო!

11.04.2013

## მოდო, სალიერ!

მოცარტი სული ამიტირდა ბავშვის ცრემლებით,  
უხსენებლის ხმა იუცხოვა ჩემმა ედემმა,  
ქარს შევაჩეჩე მონუნუნე სენტიმენტები,  
უკანასკნელი ბრძოლის ველს რომ ეზედმეტება.

სალიერს ველი, ვიცი, მალე კარს მოადგება,  
შეუცნობელის ფერი უკვე სამზერებს მოსავს...  
მოდო, სალიერ, ჩამორეკე სიკვდილის ზარი,  
ეგებ მეც ჩემი დავაქარგო ცას „ლაკრიმოზა“!

23.07.2013

## რეინჯარნაცია

სული ელოდება ფრთებს და  
ხორცი უძღურებას კვნესის.  
ცაო, დამიდუმე ენა,  
ოღონდ ამიმღერე ლექსი!

რეკავს სხვისთვის უხმო ზარი,  
„ოსანას“ ზეიმი ერთვის,  
ღმერთო, შემომოკლე გზები,  
ოღონდ მიდღეგრძელე ლექსი!

სული...  
სული ლაჟვარდს ერთვის,  
ხორცი?!  
ხორცი დნება კიდევ ერთგზის,  
ლექსი შემფრენია მხრებში,  
ლექსი დამაბრუნებს, ლექსი!

31.07.2013

## ამალამ

რკინის ქოშებს დაუყანგდა ქუსლი,  
რკინის ჯოხიც, რა ხანია, დავდე.  
ცერზე მიზის დასევდება მუნჯი,  
სალამს რომ ვერ მიბედავდა ადრე.

წუხელ მუზებს ვუმართავდი ნადიმს,  
უძილობა ვასვი მღვრიე ღამეს,  
შენს მისამართს ვაჩეჩებდი ძახილს,  
მონატრება კოკისპირით ვღვარე...

წამოვკრიფე ცოდვაცა და მადლიც,  
მიმოვფანტე სურვილების გროვა.  
ლექსო, ფრთხილად გაიხურე კარი,  
ვგრძნობ, ამალამ ანგელოსი მოვა.

15.13.2013

## ლექსმეუფეს

მოდი, ძვირფასო, მე ხომ დიდხანს,  
დიდხანს გელოდე!  
წმინდა ჯვრისწერამ გაგვაბრწყინოს  
სამარხ მდელომდე!  
სულ მეგონა, რომ ჩავქრებოდი  
წამონთებამდე,  
ამერეოდა შენი გზები  
ბინდში ეტლამდე...  
მოდი, ძვირფასო, გამინედლე  
ხრიოკი სუნთქვა,  
წვიმის სიზმრები დაანვიმე  
ჩემს ხვატებს მთუთქავს,  
ძარღვებში სისხლი ანავარდე –  
შლეგი ქარ-წვიმა,  
სარკმელიც ხშირად შემოლენოს  
შენმა არწივმა!  
ჩემო მეუფევ, მომითვლია  
ნალვანი ვერცხლი,  
ოლონდ მხრებიდან შეიხსენი  
ქათქათა ლექსი!  
იყურე წამით, მინდა, მკერდზე  
მოგაყრდნო თავი,  
თორემ მომადგა კარზე მეტრფე  
სულთამხუთავი.  
ასეთი ტკბილი სასთუმალი  
ჯერ არ მქონია!  
მჯერა, საჩემოდ აუყვავდა  
უბე გოლიათს.  
რა გულმხურვალედ ულოცია  
ჩემთვის გადიას,  
რა დიადია მირონცხება,  
რა დიადია!  
მჯერა, მზის დასვლა იგალობებს  
ფაქიზ ბინდბუნდთან:



„პოეტი ქალი ლექსმეუფეს  
გაუმიჯნურდა“...  
ო, შთაგონებაე, როგორ თბილად  
მომესაღბუნე,  
ფრთხილად ჩამოგხსნი მხრიდან სათუთ  
ლოცვა-ფსალმუნებს.  
ასეთი თბილდაუხვეკალთება  
კიდევ ვის ჰყავხარ?!  
შორს არ წახვიდე, დარჩი ჩემთან,  
მე შენ მიყვარხარ!!!

15.02.2013

## ხიდეუ ჯარგი...

კიდეუ კარგი, რომ შარშანდეღი იის სილურჯე  
გასალვიძებლად შეთროლოლებულ იას აწვალეხს...

კიდეუ კარგი, რომ შორი დების – ამორძალეხის  
ტკივილი წვიმად ჩამოვკიდე ჩემს გრილ წამწამეხს...

კიდეუ კარგი, რომ დიდი წიგნის ბოლო ფურცლებზე  
მელოდებიან უახლესი ცა და მიწები...

რომ მგლოვიარე მწუხრის ფერში დაღამებული,  
მზის მოლოდინით მთვრალი ცისკრის ფერში ვიწყები!

კიდეუ კარგი, რომ არ ამემღვრა ხარბად თვალეხი  
ათასი ხიბლით მიმოქარგულ უცნაურ დახლთან,  
კიდეუ კარგი, რომ ცის ქვეყნებში სახეტილოდ  
რაც ვერ წავიდე, უკლებელად მიწაზე დამხვდა!

კიდეუ კარგი, რომ შვილიშვილის თვალეხში ჩემი  
ვერმიუგნეხი სანაპირო ზოლი გაბრწყინდა!

კიდეუ კარგი, რომ სიბნელეში ნაბარბაცებულს  
პეპერამ მაღლი შემაშველა საშიმ გზანვრილთან!

კიდეუ კარგი, რომ უფხიზლესი შევაველე მზერა  
ჩემი ღირსეხის სავალალო ნამსხვრეე-ნაჭუჭეხს,  
როს წარმოსადეგ მამაკაცის მათხოვარ ხელში  
სამონყალეო ფული ჩავკუჭე...

კიდეუ კარგი, რომ ცის ფრინველთა გასახარელად,  
უზარმაზარი ხე იზრდება მარცვალ მდოგვიდან...

კიდეუ კარგი, რომ უსივრცობას შეფარებული  
უკანასკნელი სიყვარული ლექსად მოვიდა!

28.01.2014

## არაეუროპული სონეტი

სული დამეპნა ათას რითმად, ათას ტაეპად,  
უფალო ჩემო, იწროებში ბევრჯერ გიგანე.  
ბომონთა შუბლებს შევამსხვრიე მსგავსებ-ხატება,  
ტოტს ვუკოცნიდი შუალამის აფთარ გრიგალებს.

ღვარძლს ვუთოხნიდი ძირებს შლეგ და უცნობო მავჯით,  
სარეცლად ვქსოვე უდაბნოთა ხვატი თაკარა  
და იმისთანა ქარიშხლები დავაბი ჯაჭვით,  
ჩემს ლექსს ვერავინ მოიმყუდრებს თავშესაფარად.

დავაქუცმაცე დიდი განძი უზალთუნებად,  
ჩამოვუბნელე ლურჯი თვალი ერთგულ ამინდებს,  
ახლა ვცოდვილობ, დაბრმავებულ, პირქუშ ღრუბელთან  
შენი ნათელი მოვკრიბო და უხმოდ ნავიდე...

თბილ ხელებს თავზე გადამისვამს, ვიცი, არავინ,  
ცივ უდაბნოში გაიშლება ჩემი კარავი...

23.10.2013

# იმედისფერი ფენიქსი

## ქარიშხლის შემდეგ

მარადისობამ ჩამოიმხო შეშლილი წამი,  
მე რომ უწყალოდ გადამტვრეულ ანძასთან ვეგდე,  
მერე სამყარო თავუკულმა ამოტრიალდა,  
გასკდა მინა და თვალშეუდგამ უფსკრულთან შევდექ.  
ზეთისხილის რტოს ველოდები, არსად ჩანს მტრედი,  
კუბოს სიჩუმე ჩამომდგარა ქარიშხლის შემდეგ...

## სეტყვა ამურის ბალებში

ბინდის კატაფალკას მივყვები,  
ბილიკი მთებისკენ შეუხვევს,  
ქარებთან ნაბრძოლი მკლავები  
ახმებათ საყვარელ ბერმუხებს.  
გზაზე მიმოვფანტე ნალველი  
სევდით დაღამებულ ნარცისთა,  
იმედს ვასაფლავებ ამ ღამით  
სულის ადრე დაფლულ ნანილთან.  
საფლავი მწვერვალზე ისურვა  
(იქ უფრო მუქია ძახველი!),  
ნატვრებს უცახცახებით მხრები და  
ოცნება „დალაის“ დამღერის.  
ამ მწვერვალს დღემუდამ სტუმრობდა,  
აქედან უყვარდა აფრენა,  
აქ მზე უშურველად უსხამდა  
სისხლში გადარეულ საფერავს.  
მერე ნატვრებს ფრთებად ისხამდა,  
ელვის ანივლებდა მათრახებს,  
სიყვარულს სიგიჟეს ასმევდა  
მზის დაალმურების ნასამხრევს.  
ღრუბელთა ქარავნებს დასდევდნენ,  
ჟამისფრად ფერავდნენ წუთიერს,  
ოცნებას პემვებით ასმევდნენ  
სიბრძნით დამძიმებულ სუფიებს,  
წვიმებს უმოკლებდნენ სადავეს,  
ქარებს იურვებდნენ მსუსხავებს  
და თმაგათეთრებულ სამყაროს  
ძარღვებში ახალ სისხლს უსხამდნენ.  
მერე ჩურჩულები იწვოდნენ  
დაშაქრულ ბაგეთა აღმურით,  
როგორც აღდებიან ტყეები,  
ელვა ჟრუანტლად რომ დაუვლით...  
და როცა ამურის ტყეებში  
ყინვამ ხომკაკალა დაჰყარა,

თვალეზგაყინული იმედი  
შერჩა ოცნებების კამარას...  
საფლავი მწვერვალზე ისურვა,  
სად ელვამ ღრუბელი გახია,  
სასას აენებნენ სიტყვები –  
„ჩემზეც და ღრუბელზეც ახია!“

ეპიტაფიად ატირდება სიტყვამცირედი –  
„აქ განისვენებს დასეტყვილი ჩემი იმედი“.

20.01.2014

## იმედისფერი ფენიქსი

ისე ჩამოვთავდი მწუხრში,  
ველარ დავიბადე დილით,  
ჩემი ნვიმისფერი ზეცა  
გადაუღებელად ტირის...  
მონყენილ ბელტებთან ვზივარ,  
მონყენილთ, ვაპურებ ჩიტებს,  
ძვირფას მოგონებებს ვკენკავ,  
ბალახებს ვუამბობ სიზმრებს...  
ყველაზე სევდიან ლექსებს  
ზამბახს სილურჯეზე ვანერ,  
ერთ სასონარკვეთილ ოხვრას  
ექო მიხმოვანებს ასჯერ!  
ჰოდა, დაიღალა სული  
უსულო ბელტებზე ხოხვით,  
ზეცასაც მობეზრდა, ვატყობ,  
სამოსი გმინვის და ოხვრის.  
სმენა აყურადებს ეთერს,  
დაკარგულ სიმღერას ეძებს,  
მზერა მოინატრებს მინდვრის  
ფურისულებსა და ძეწნებს.  
...და ვგრძნობ, ამიყვავდა ზურგზე  
სამოთხის დამზრალი ნერგი,  
სულში გაღვიძებულ ჩქერალს  
ნანატრი სიმღერაც ერთვის!  
შორით გაზაფხული მოდგა,  
უმძაფრეს სურნელით ვიცან,  
სუნთქვა შეამველა დროჟამს,  
ვალი შეახსენა მინას.  
თვალთა სიმწვანნიდან, ვხედავ,  
ღმერთი – სიყვარული მიმზერს!  
სურვილდათაფლული ბაგე  
ლაჟვარდებს მპირდება ისევ!  
ცერზე იმედისფერ ფენიქსს



ლიმით ეფერება ფრთებზე,  
ფენიქსიც ნანვიმარ ცაში  
ასაფრენ ბილიკებს ეძებს!

გადმოვინაცვლე წერტილიდან კეთილ მიმემდი,  
არამცთუ ბოლოს, არც არასდროს კვდება იმედი!

25.01.2014

## დარჩენენ ქვიშანი

გრიგალმა ბევრჯერ მიგვახეთქა გულგამოცლილი,  
ბრმა აისბერგის ხან ერთ შვერილს, ხან კი მეორეს,  
ჩემი კივილი – ქვესკნელების ამოძახილი,  
ექოთა ლურჯმა ბაგეებმა გაიმეორეს.

ჩათავდა წარღვნა, შავმა ზეცამ გადაიკარა.  
კიდევ კარგი, რომ კიდობანში ყველა გადარჩა!  
კიდევ კარგი, რომ ქარის მტვერი ჩამოიბერტყა  
ჩვენი ფანჯრების ხავერდმა და ხასხასა ფარჩამ!

კიდევ კარგი, რომ სირინოზთა მაცდურ ზღვებიდან  
დაბრუნებული ოდისევსი ისევ გიცანი!  
წყალნი წავიდნენ, წამოვიდნენ, სკნელს შეუერთდნენ,  
დარჩენენ ქვიშანი!

ცაში აიჭრა გადარჩენის ფენიქსიმედი,  
დაჭრილ ჩელოებს უშუშდებათ მკერდის სიმები!

02.02.2014

# სიტყვაჯუნულები

\* \* \*

დღეს გამახსენდა საოცარი ზამთრის დილა  
ჩემი ბავშვობის,  
როცა პირველად დავინახე  
ყინვის ფუნჯებით  
ფანჯრის ტყეთა მომინანქრება  
და ის ტყეები მოვინატრე  
გამოგონილი სიყვარულის თავშესაფარად.

\* \* \*

ერთი ზმანება თან დაჰყვება  
განბილებულ,  
ყავის ხარშვის დილის რიტუალს –  
დედოფალ მხრიდან დაცურებული მაქმანი აჩენს  
დამლას –  
შორეულ მეფის ნაკოცნს  
რომელიღაც ლამის სიზმარში.

\* \* \*

აუხდენლობის ახდენები  
ამხედრდებიან,  
ყოფნა-არყოფნის დალენავენ  
საზღვარს სიმწარით,  
მერე შემავლებს დაჭრილ მზერას,  
შმაგს და ვნებიანს  
და ჩააკვდება ლამეს ხელში  
ჩემი სიზმარი.

\* \* \*

ო, უკვდავებავ,  
ტყუპისცალო მარადისობის!  
ყველგან გექებე გაბედული მაძიებლის თავგამეტებით,  
ვიდრე ზამთრისგან დათრგუნული,

უსახური ბუჩქის ძირიდან  
იის ღიმილმა არ მომტაცა დაღლილი მზერა  
და მივხვდი, მთელ შენს გულგაყინულ დიდებულებას  
მირჩევნია იის ღერის ლურჯი სიცოცხლე,  
რამდენიმე დღით  
დედამინა  
ცხელ გულიდან რომ ამოფეთქავს!

\* \* \*

ახლა ამური მაჯილდოებს  
სიყვარულის სუროგატებით.  
ნამდვილი ყრმობას შეეფარა,  
რათა თავი გადაერჩინა.

\* \* \*

შენ გაიმარჯვე, სიძულვილო,  
მე კი კარგა ხანს უძღურება მჯეროდა შენი.  
რას იზამ! აკი სამყაროს განფენილობას  
სიმეტრია უძევს საფუძვლად,  
ხოლო ჩემი „მე“  
ღერძია  
ღვთაებრივი სიმეტრიისა.

\* \* \*

ბოლო სიკვდილით ისე მოვკვდი,  
ისე ძალიან,  
რომ ერთხელაც არ გავაპროტესტე  
სიკვდილი ჩემი.

\* \* \*

ყოველი დილა ჩურჩულებდა  
შენი ბაგით და  
სალამოს ბინდში შენს საკერპოს

ლოცვად აწვიმდა...  
ბედნიერი ვარ! უკან დარჩა წარმართობის  
ხანა უგვანი...  
ეტყობა, სულში უსათუოდ უნდა მოხდეს  
კერპების მსხვერვა,  
რომ ჭეშმარიტად დაიბადოს  
შენში უფალი!

\* \* \*

ქვიშის საათებს დაეფანტათ  
ბოლო მარცვლები,  
ვერ გამიგია, ავმაღლდი თუ  
ისევ ვეცემი,  
ეს ბენვის ხიდიც ჩაწყდა ფეხქვეშ  
სხვა ხიდებივით,  
ჩემს ლექსებს უკვე აღარ სჯერათ  
შენი ლექსების!

\* \* \*

ამპარტავნებავ!  
როგორ ვცდილობდი,  
დაგსხლტომოდი ვერაგ ხელთაგან.  
მთელი ცხოვრება ვაგროვებდი  
თავმდაბლობის წვრილ-წვრილ ნამცეცებს –  
სულის ხარაჯას,  
მაგრამ ვაი, რომ,  
რაც შევძელი,  
რაც დავაგროვე,  
თავისმართლებას შემოეხარჯა.

\* \* \*

ამ დილით თოვდა, არ შეცვლია თურმე თოვლს ფერი!  
თვალს ვერ ვუსწორებ უვერაგეს ამ წლებს – წარმართებს,  
...იმ დღის სითეთრე, ყველა თოვლზე უსპეტაკესი,  
დაინაწილეს ფიფქებად... და ისე წამართვეს!

\* \* \*

ეჰ, ოფელია!  
შენ არ ნახველ,  
მე ნავიდოდი,  
შევეფარვოდი თეთრ სასახლეს,  
საითაც პრინცი მომიწოდებდა...  
მაგრამ იმ დიად სასახლეში დღეს გამჭოლი ქარები ჰქრიან  
და შავ კალთებით უხამსობას აფრიალებენ,  
უხამსობა კი აქაც უხვად აიკრიფება!  
ეჰ, ოფელია!  
შეგესმინა პრინცის ნათქვამი...  
მე კი, საბრალოს,  
ის სასახლე თავზე დამემხო  
და არც პრინცი მყავს  
მქადაგებელ-შემგონებელი...

\* \* \*

სულ სათითაოდ გაიკრიფნენ ვარსკვლავები  
ჩემი ზეციდან,  
მზემაც პირწმინდად წამოკრიფა ციმციმები  
ჩემი ლამპრების,  
ვიცი, ამთავრებს ბოლო ზღაპარს  
ბებერი მინა,  
ვიცი, სულ მალე დაინყება  
ზეცის ზღაპრები!

\* \* \*

ბრიყვთა ხარხარმა ბრძენთა ხმების  
ექო გახედნა,  
ახლა ის ექო დაჭიხვინებს  
ხრიოკ მთა-ველად,  
მტკაველნახევრობს ჩემი მინა  
საბრალობელი,  
სულ ცოტა ხნის წინ  
ორი მტკაველა.

\* \* \*

სხვა რალა გზაა! ვერ შედგები, უნდა იარო!  
აი, ამ მინდორს გაივლი და... კიდეც ინათებს!  
იმ ყალბ ქარებში გახვეულმა ვერც კი იგრძენი,  
უბიდან როდის ამოგვარდა დიდი სიმართლე!

\* \* \*

თავზარდამცემი ხმა გაისმა  
ნაშუალამევს.  
მგონი... სიბერემ შემომამტვრია  
ჩემი სხეულის  
მკვრივი კედელი.

\* \* \*

მზევ, დააფინე ჩემს სამყაროს შენი ოლარი  
და უმზეობის ცოდვა შეუხდე,  
ჩემო ერთგულო მარტოობავ, გვერდით მომიჯექ,  
მინდა მოგაყრდნო თავი მკერდზე,  
ჩემო მეუღლე!

### **გასაუბრება მინდვრის ტიტასთან**

– მადლობა ღმერთს, გაიმართე წელში ისევ,  
მომეც მაჯა, ვნახო, გული როგორ გიცემს,  
იცრემლოდი, ჯერ გასულა წამიც არა,  
– მონატრება მტკიოდა და... გამიარა!

### **„სიყვარულის სულთათანის“ დანერიდან ერთი წლის შემდეგ**

აკი სულთათანა გიმღერე,  
ახლა სად დაგმალო, რა გიყო?!  
რაკი გაღვიძება ინებე,  
შენი ხმა-კრინტი არ გავიგო!



\* \* \*

ისე დავაცოტავე  
სუნთქვა უკვდავდიადი,  
რომ გუშინნინ შობილი,  
გუშინ გავბეზიავდი.

\* \* \*

როგორ აირივნენ ფირები  
მიშველე, სიზმრების მსახურო!  
ეს ფირი გამორთე! მე მგონი,  
სიზმარში სხვა სიზმარს ვნახულობ!

\* \* \*

მოდი და ენდე ნასესხების  
მი-მო-ამინდებს,  
შეყვარებული ზამთრის ქარიც  
რომ არ დამინდეს.  
მარტმა ბროლები ამოკრიფა  
ყინვის მანტოდან,  
თავი ლამაზად დამიკრა და...  
ნაქალბატონდა!

# ღამენათევი ლექსები

ესჰიშები ელენე დარციანის პროგრესისათვის

\* \* \*

ო, სულ ახლახან გამოვხსენი  
გალიის კარი,  
გამოსვენება მივანებე  
მდუმარ ინტიმებს  
და სიყვარული – სერაფიტას  
უსულო ტანი  
ფერმკრთალ ბაგეთა სნეულ ჰანგით  
გამოვიტირე.  
კარგად ვიცოდით, საოცნებო  
ლურჯი ფრინველი  
რკინის გალიის ვინროებში  
რომ ვერ ცოცხლობდა,  
მაგრამ საფრენად დავუსაზღვრეთ  
ოჯახის ქერი  
და გავანანით ჩვენს სიყვარულს  
სილად ცოლ-ქმრობა!

18.07.2013

\* \* \*

ჩემმა სევდიანმა ლექსმა  
ღამე გაათია თეთრად,  
ქარით მიმოფანტულ რითიმებს  
ნაცრისფერ ხელებით კრეფდა.  
შენს ლექსს ჩასდგომოდა კვალში,  
ბაგე მოკუმვოდა მკაცრად,  
ეკალს დაეფარა გზები,  
სულის გამყინავს და მკანრავს...  
ნაცრისფერს ირგებდა რიდედ,  
თვალეbs არიდებდა ცის ფერს,  
ველარ აფხიზლებდა მაჯას,  
გუშინ მშფოთვარსა და ფიცხელს.

ნაცრის მრუმე ფერით შლიდა  
ნახანძრალ ბილიკებს ქარი,  
ქამარზე ჩაება ჩემი  
ლექსი – დაქანცული მგზავრი.

07.10.2013

\* \* \*

სარკის ორეულს ჩაუდგება  
თვალებში ვნება,  
მწყურვალე სურა აივსება  
თმენით პირამდე,  
სანთლები კდემით ჩაქინდრავენ  
ალისფერ სევდას,  
შეშლილ სიშიშვლეს ჩამოიშლის  
სქელი პირბადე.  
თითების მტვრევას მოჰყვებიან  
ბალჩის ტიტები,  
გამოიბამენ სიზმრით ნაქსოვ  
ლექსებს შლეიფად  
და მარგალიტებს, მიმობნეულს  
გრძელი თითებით,  
კეთილი მთვარის თანალმოზა  
ყელზე შეიბამს.

22.10.2013

## ჟანგისფერი ლექსი

სიზმარს ჟანგისფერი ეცვა  
მკრთალი ჟანგისფერი ფარდით  
და ფერგახუნებულ ლექსსაც  
ჟანგისფერ მაქმანით ვრთავდი.  
სიზმრის იდუმალი ხელი  
შენს სახეს ჟანგისფრით ხატავს,  
შორს კი სადედოფლო შენი  
გადმოჭრის ჟანგისფერ ღარტავს.  
...და მეც ჟანგისფერი მითრევეს,  
და მეც მიჟანგდება გული,  
ჩემი ჟანგისფერი ღამე  
ინვის მოჟანგისფრო ურვით.  
დედოფლის სურვილი მწველი  
ჟანგისფერ ყვავილებს ფანტავს,  
გრძელი ჟანგისფერი ზოლი  
მოსდევს მოჟანგისფრო ფატას...  
და როს თვალს მილულავს მთვარე  
ჟანგისფერ ხერესით მთვრალი,  
ჟანგისფერ სარეცელს გაშლის  
ჟანგისფერთმიანი ქალი.

29.08.2013

\* \* \*

ლექსებასხმული მენადების  
მღვრიე კოჰორტას  
მამლის ყივილი უარყოფის  
ხსოვნად მოჰქონდა,  
სევდისფერ ცისკარს უძილობა  
ამოჰყვა ჩრდილად  
და განზილებულ წინათგრძნობებს  
ტიროდა დილა...

\* \* \*

მზემ აღმური გაუძვირა სახსრებს,  
ისევ შავი უშენობა სტანჯავს  
უდაბნოით გახუნებულ თმას და  
მარჯნის თვლებით დამძიმებულ მავას.

სფინქსის თვლებს ჩაუმუქდა სივრცე,  
გამჭოლ მზერით ზეცას ველარ აპობს  
და ჭიხვინი გზააბნეულ რაშის  
გრიგალივით მოსდებია ტაფობს.

გულქანდის თვლებს დაავიწყდათ ბრწყინვა,  
ხსოვნა ითვლის ალიონებს ბერნებს,  
ცისკრის სხივზე მოქათქათე რაფა  
აუფსიათ ღამენათევ ლექსებს.

20.10.2013

\* \* \*

ღამემ დაკრიფა ერთგულების  
ქარვამტევენები,  
დილა აინთო ორგულობის  
გადამტერებით,  
მინაც შემპირდა უღალატო  
ბილიკს ჯავრიანს,  
შენ ვერ გაიგებ, ერთგულება  
ჩემი ჯვარია!

31.07.2013

\* \* \*

არც ამაღამ და არც არასდროს იქნება ქარი,  
გრიგალქარობას ნიავები დაიბრალებენ.  
ჩქარა, ორფეოს, შეუბჯინე მზის დასვლას ქნარი!  
დედოფალ ტყემლებს შეაცვდებათ სურვილი მჭკნარი,  
დაბანგულ თვლემას მიეცემა უვნებო ღამე,  
არც ამაღამ და არც არასდროს იქნება ქარი...

ყაყაჩოს ხანძარს ნაიკიდებს ღანვები მკრთალი,  
მოლოდინისფრის სათუთ ტონებს მოინატრებენ,  
აბარბაცდება ბალის კვლებზე ცისკარი მთვრალი,  
ვაი, დედოფალ გვირგვინების ცოდვა და ბრალი!  
მჭევრ ფერებს შეცვლის პალიტრაზე ფერები მქრქალი...  
არც ამაღამ და არც არასდროს იქნება ქარი!..

17.09.2013

## სონეტი მომღერალ ქალს

ქმარმა გაცვალა მომღერალ ქალში  
ჩემი ცოდვილი პატიოსნება.

გზააბნეული ხომალდები ნაპირს ელტვიან,  
ქარიშხლის სუნთქვა თავშესაფარს კლდეებში ჰპოვებს,  
უხვი კალთები დაუმიძიდათ მინდვრებს ფეტვიანს,  
ამაღამ სიზმრად მოელიან დამშეულ გნოლებს.

მე გავუავდრე მზაკვარ ამინდს მზიანი დარი  
და დავუგმანე კარი ცბიერ სიტყვებს – აფთარებს,  
შენ შეუხსენი შენეული სასახლის კარი,  
დაუმყუდროვე ბუხრისპირულ ტყუილ-მართალებს.

გაღელილ პერანგს დაუკერე ამწყდარი ღილი,  
უძღების პირით მოისმინე თხრობა უძღებზე,  
ღვინო მიართვი უნატიფეს ბოკალით თლილით  
და შეაგებე მჟავე ლექსი ნაბახუსევზე.

შენ დაუქარგე ქვა და ღორღი უმტვრო ენძელით,  
შეგაძლებინოს ღმერთმა, რაიც მე ვერ შევძელი!

18.10.2013



\* \* \*

მეც გავამშვენე შებინდების  
მკრთალი სილურჯე  
სევდის ყვავილთა მოსასხამის  
აფრიალებით.  
მეც დავინისლე სიყვარულით  
მთვრალი თვალები  
ჩანაცრებული სურვილების  
მკაცრი კვამლებით.  
მეც დავიყრუე ბევრჯერ სმენა  
ყალბი განგაშით,  
მეც ჩავილაგე უპეებში  
დარდი ულევით,  
მეც ამერია დაუნდობელ  
დროის კალთაში  
ბევრჯერ ხელები ერთგული თუ  
ნაერთგულევი.  
მეც შევუშვირე შუბლი ორპირ  
ქარებით ტკივილს  
და ძვლების ტეხვას მეც ვამართლებ  
ცივ ამინდებით,  
მარადისობას მეც ვკითხულობ  
მზერის ბარბაცით  
მდუმარ კალთებზე ცხელ ქვიშათა  
პირამიდების...

30.07.2013

\* \* \*

პირქუმ სიბნელეს შეერივნენ  
უფლისწულები,  
რჩეულ საქმაროს ნაბიჯებიც  
გაიყოლიეს,  
ზოდიაქოთა მოყვითალო  
კაბის კალთაში  
ჩაეძინება გულდანყვეტილ,  
დაღლილ მორიელს...  
მონყენილ ღამეს მონატრების  
ფერი შემოსავს,  
აგანრიანებს სივრცეების  
ბრუნვა სიზმარში,  
დააგვიანებს სავსე მთვარე  
სარკმლით შემოსვლას  
და შიშველ სხეულს დააკვდება  
ვნებით რიჟრაჟი...

25.10.2013

\* \* \*

შენი სიზმრები აწრიალდნენ ჩემი ღამის  
ბნელ ხავერდებში,  
ადვილად აკრთობთ პატარა ჩქამიც.  
მუქმა პირბადემ დაატყვევა  
სახის ნაკვთები  
პოეტისა თუ საყვარელ ქალის...  
შენი ტყეების ხანძრების კვამლი  
ჩემს წამწამებს ჭვარტლად ედება,  
წუხელ ლექსმა რომ ფაცაფუციტ გადაიძრო  
კდემასამოსი,  
წააფრიალეს საით მტრედებმა?  
შენი წუხილი გაიხლართა ჩემი სევდის  
ცივ ატლასებში,  
კითხვის ნიშანი ცას შეესვეტა:  
ტანგაძარცული საკუთარი ხელის ცახცახით  
სქელ ფარდებს მიღმა სატრფო მოთქვამს  
თუ პოეტია?!  
?

25.10.2013

# სევდის იყებანები

ბარონესას ლექსადუცეული მოგონებანი

\* \* \*

გაცრეცილ პორტრეტს მიაფრენენ  
სადღაც ნისლები,  
შენი სახელიც რეკვიემის  
ჰანგში მიცურავს,  
ამურის წვიმებს მისტირიან  
ხარბი ქვიშები,  
უდაბნო ფსკერი დაშაშვრია  
დამსკდარ მის სურას.  
სარკის ბზარები მშვიდად თხზავენ  
მომავალ სიზმრებს,  
ხავერდის ხაომდუმარება  
ახლაც გიგონებს,  
შენ კი ლალატის ულალატო  
გაერთგულებით  
ყოველდღე მჩუქნი უერთგულეს  
ლექსის სტრიქონებს.

29.05.2013

## თავადო, ბარონესა სახლში არ გახლავთ

სადარბაზო ბარათზე წაწერილი

მოველ და არ დამხვდი, კარი სხვამ გამიღო,  
კედლიდან მიღიმის პორტრეტი,  
აქამდე ძლივს ნათრევ დათმენას რა ვუყო,  
ან სურვილს, მოვარდნილს გოდებით?!

არ დამხვდი და ვიგრძენ, უეცრად შემცივდა,  
თუმც გარეთ უდაბნო ხვატია...  
მითხარ, სად წავიდე? ქუჩაც არ მიმიღებს  
ასეთ არეულს და დარდიანს.

სუნთქვა შევაშველე ჩაფერფლილ ღიმილს და  
მოვიხმე ფიქრები რბეული,  
მერე... დარღვეული და ღონემიხდილი,  
სავარძელს ჩააკვდა სხეული...

24.05.2013

## ბარონესა ცეკვავს

ცეკვა ცეკვისათვის არა!  
ცეკვა – როცა სული მღერის!  
შენს მკერდს დავაფინე წყნარად  
ქათქათა მკლავები მწველი.  
ნელზე გაირინდა ხელი,  
ეს ხელი გრიგალებს უხმობს!  
ცრემლი მოვინატრე ცხელი  
და უდაბნოსავით უხმო...  
ალტს უკანკალებდა ხმა და  
სუნთქვას იკავებდა ბინდი,  
გული აგიჟებდა მაჯას  
ალმურავარდნილი რიტმით.  
ცეკვავდა შლეიფი, კალთა,  
შროშანი ოქროსფერ თმაში,  
ცეკვავდა ალმასის ღილიც  
შლეგ ცისარტყელების გაშლით.  
შემკრთალი სალამო თრთოდა,  
ისიც გაირინდა ერთ წამს,  
როს გადარეული, თმაშლით,  
დარბაზში აცეკვდა ცეკვაც!  
ჭინკები როკავდნენ ქარში,  
სიგიჟეს უმტვრევდა მზე კარს,  
ცეცხლი მოსდებოდა ტანზე  
პირველ და უკანასკნელ ცეკვას!

25.04.2013

## წვიმა

აღბათ სიყვარულით მთვრალი  
მუზა აზარფეშებს ღვრიდა –  
ჩემი ტირიფების გვერდით  
წვიმა ჩამოეშვა ციდან.  
მზრუნველი ხელები თავზე  
ფოთლებს მაფარებდნენ გვიმრის,  
წყალში ატყაპუნდნენ ანცად  
შიშველი ფეხები გრილი.  
ლერწამს შეუთრთოლდა ხელი,  
ერთგულ სალამურს რომ თლიდა,  
ქარის ნათხოვები ფრთებით  
ნიავიც მოფრინდა მთიდან.  
წყვილი ჩურჩულებდა ბაგე:  
– ნეტავი ჩვენც ფრთები გვექონდეს!  
მაგრამ ნატვრასავით ცისფრებს  
წვიმა გვაჩეჩებდა ქოლგებს.  
ჩვენ კი იმ ქოლგების ქროლვას  
იმწამსვე ვჩუქნიდით ნიავს,  
ხმებით ვაყრუებდით მინდვრებს:  
– შეხე, რა სიხარბით მიაქვს!  
მინის ორთქლს ვატანდით საგზლად  
ბაგეთა გამხელას ცამდის  
და წვიმის ანკარა წვეთებს  
ერთურთის პეშვიდან ვსვამდით.

კაბა შევიბნიე მკერდზე,  
მემჩატა თავშალი თხელი  
და შენს უკანასკნელ ბარათს  
ფრთხილად გადავუსვი ხელი.

27.05.2013



\* \* \*

ციდან ენძელების თოვა,  
მგოსნის ნეტარება სრული,  
მაგრამ იმ ქათქათა ფიფქებს  
დაჰკრავდათ ლალატის სუნი.  
მზერას გარიდებდი შეშლილს,  
ხელი შენს ბარათებს ხევდა.  
„გეთქვა, თუ გიყვარდი, ერთხელ!“  
ხედვას გიბინდავდა სევდა.  
სხივი საქორწინო ბეჭდის  
ხანძრად მოსდებოდა თითებს,  
ხსოვნას მიშოლტავდა ეჭვი,  
ბინდში არეულს და შიშველს.  
კალთა დარჩენოდა გარეთ  
სინანულს, მომუმტულს მძლავრად  
და ფერმკრთალ იმედის მძივებს  
ზეცა არიგებდა წამლად.  
თითები ჭმუჭნიდნენ მაქმანს,  
თვალი აგარიდე სველი,  
ო, როგორ ემწვავა ბეჭედს  
შენი მოქნეული ხელი!

ზეცა კვლავ ენძელებს თოვდა  
და სულებს გვივსებდა თოშით,  
ბეჭდის გაოცებულ იმედს  
სუნთქვა ჩაღეოდა თოვლში...

26.05.2013

## ორი ბალიში

ოცნება ერთდროულად ისწავლეს,  
მერე ნანატრ სიზმრებს უცვლიდნენ ერთმანეთს,  
სხვადასხვანაირ მაქმანებით იმოსებოდნენ,  
სხვადასხვა სასახლეებში ცხოვრობდნენ.  
ამოზურცვოდნენ მარტოობას  
მონყენილი სასთუმლების მარჯვენა მხარეს  
ერთი ბალიში ჩემსას,  
შენსას – მეორე.  
ლბილებს, ქათქათებს, ენატრებოდათ  
წარმოსახვების ფუნჯით ნახატი  
შეყვარებული მხრების სიმრგვალე,  
ამაყ თავ-კისრის დახვენილი მოხაზულობა,  
თმების სურნელი...  
და მოლოდინის ტკბილი თრთოლვით  
ავსებდნენ დიად სიცარიელეს,  
წლებში განფენილს...  
მაგრამ ერთ სისხამს...  
არა! ვერცერთი ვერ იფიქრებდა  
მოლოდინის ასეთ დასასრულს –  
გულგახეთქილი მაქმანები როგორ ცდილობდნენ,  
მაგრამ მაინც ვერ ამშვიდებდნენ  
შენი ბალიშის სასონარკვეთას,  
ოცნება მისი  
დილის ბურუსში თავს რომ იხრჩობდა,  
თვითონ დილა კი,  
გამტკნარებული,  
თვალგაშტერებით დასცქეროდა არა ნანატრ,  
არამედ სულ სხვა მოხაზულობებს  
ბალიშის თოვლზე...

გამომავლია თბილმა სისველემ –  
ოცნებაგანზილებულ  
შენს ბალიშს ტიროდა  
ოცნებას შერჩენილი  
ბალიში ჩემი.

\* \* \*

სული აუტირდათ ნაკანრებს,  
ისევ მონატრების ხმა ყვის,  
ვიცი, მალე ფარდას შეარხევს  
სევდა, შელამების ყვავილი.

ფარდის ატეხილი ტყეები  
ნედლ კვირტებს მიწვიდან ტოტიდან,  
ჩამოვკრეფ და დილის სისხამზე  
სევდის იკებანებს მოგიტან.

03.04.2013

## ქალბატონი სევდა

ამას წინათ ერთი მშვენიერი ქალბატონი  
გავიცანი ნიცაში, სახელად სევდა.

როგორც მოგონებებს – პეპლებს  
ოცნების სურნელი სდევდა,  
ისე შემოაღებს ჭიშკარს  
ბინდში ქალბატონი სევდა.  
მზერას შემოავლებს სულის  
დერეფნებს, ნიშებს, ბრებს და  
დარბაზში დაჯდება მორჭმით  
დიდი ქალბატონი – სევდა.  
მის მუხლებს ვეხები კრძალვით,  
ისიც ფრთხილად მიშლის თმებს და  
ცრემლის მარგალიტით მიმკობს  
ნაწნავს ქალბატონი სევდა.  
ისევ ნამომიშლის ფიქრებს,  
წვიმებთან ჩურჩულებს ერთხანს  
და ბედს საყვედურით ავსებს  
უხმოდ ქალბატონი სევდა.  
მერე თეთრ სარეცელს მიშლის,  
შრობანებს მოაბნევს ბევრს და  
თვითონ სასთუმალთან ჯდება  
ლამის ქალბატონი – სევდა.

10.05.2013

\* \* \*

ავ სიზმრის მნახველი, რამდენჯერ,  
ცაზე მკრთალი მთვარე დაბრუნდა.  
სევდის უნატიფეს ბურუსში  
გიჟმაჟ სიხარულებს რა უნდა!  
მზის სხივი დაცრემლილ ეთერის  
ფერად ცისარტყელებს მპირდება,  
თვალეbs სევდის ტბები აღუთქვეს  
ლამის მეგობარმა ბინდებმა.  
ჩემო ნალვლიანო მენავევ,  
ლეთაში ბოლომდე ჩამძირე!  
ეგებ მოვუძებნო ადგილი  
ფსკერზე ამ ბეჭდებს და ამ მძივებს.  
ახალი საუკუნე გათენდა  
სულ სხვა სკიპტრითა და ტახტით,  
ვიცი, ასე არვინ აღარ წერს,  
ვიცი, ძველმოდური გავხდი.  
დღეს უკვე ვერავინ გაგიგებს,  
წარსულის აჩრდილებს დარდობდე,  
ამ გაუგებრობის ბურუსში  
წინა საუკუნეს გადმოვყევ.  
ახლა ის სიზმარიც გამიცვდა,  
დილით ახდენას რომ ნატრობდა,  
კვლავ შენი ნაბიჯის ხმა მესმის,  
კვლავ სევდიანი და მარტო ვარ...  
ლოდინი ყრუდ რაზავს ურდულებს,  
ვერაფერს დავიწყებ თავიდან.  
ექო ჩემი ბაგით ჩურჩულებს:  
– ცხოვრება უშენოდ გავიდა!

25.04.2013

## აჩრდილებთან თამაში

მინის გამჭვირვალე სიმლერა  
ნელინელ ივსება გოდებით,  
და ჩვენც ერთმანეთის აჩრდილებს  
ვშორდებით, თანდათან ვშორდებით...  
და როცა სიმლერის ტკივილი  
ველარ დაეტევა მინაზე,  
ვინ იცის, საით თუ არსაით  
მიგვნამქრავს ქარების სიმკაცრე.  
ეს ბოლო აღმართი ძნელია,  
თანაც დასასრულიც აღარ ჩანს,  
ჩემ გარდა ვერავინ ვერ ამჩნევს  
თხემზე წამომართულ ამაყ ჯვარს.  
იმ ჯვრის გადამრჩენი სიმძიმე,  
ვიცი, შენს ტყეებში მოიჭრა.  
ისრებსაც იმ ტყიდან უწვდიდნენ  
ხენი სახელგანთქმულ მოისართ.  
ისრების წვიმაში ძვირფასი  
გადასახედები ვერ ვიცან,  
ცოდვილ მარაოთა ნიავეში  
მოვიპილიგრიმე ეს მინა.  
შენს კვალს ბედისწერის აღმართზე,  
ვიცი, ველარასდროს გადავშლი!  
ო, რა სახიფათო ყოფილა  
მაცდურ აჩრდილებთან თამაში...  
ვიცი, ამ აღმართსაც ავკეცავ,  
ხვალამდე რამხელა ღამეა!  
ფერდზე საჭრილოზე მონიშნა  
ჩემმა ვარდისფერმა კამეამ.  
თხემზე ამაღლებულს ხვალ დილით  
ეშმა ღიმით ამხედ-დამხედავს –  
ხელში უროთი და სამსჭვალით  
შენი ორეული დამხვდება!

16.10.2013

# ამორძალების ამოძახილი

ვარიაციები ზურამ დოჩანაშვილის  
„სამოსელი ჰირველის“ თემებზე

## სეხვავდა ქალი

თეთრ გედებივით აილანდნენ  
ხელები მკრთალი,  
ღამეულ თოვლის სითეთრეში  
აცეკვდა ქალი...  
მეტრფე ნაძვებმა შემოარტყეს  
ხორუმის ალყა,  
ისიც მათ როკვას ტრფობისფერი  
ნარნარით აჰყვა.  
... და როკვა ლოცვას მიაგავდა  
ღამის გათევით,  
გორაკის ღამე არ იმჩნევდა  
ფიფქებს გათელილს,  
ფლეიტა კდემას უნუნებდა  
მღელვარე ტრიოლს,  
სიყვარულნასვამ ბაგეებზე  
სულს ლევდა სიო,  
გაოგნებული შესცქეროდა  
სამყარო ვრცელი,  
ნამნამს შვენოდა ყველა ცრემლზე  
ნამდვილი ცრემლი  
და მის კალთებზე მუქდებოდა  
სურათი მკრთალი,  
ცეკვავდა ქალი... თავგანწირვით  
ცეკვავდა ქალი...  
შეყვარებული მკრთალი მთვარე  
ტოტზე ეკიდა,  
ნაძვებთან შობას იგონებდა  
უფლის ნეკიდან,  
გიჟივით მკლავებს უკოცნიდა  
ჰაერი მთვრალი,  
თოვლზე ცეკვავდა ყველა ქალზე  
ნამდვილი ქალი...  
სულში შემლილი ანგელოსი  
ქნარზე უკრავდა,  
ცეკვავდა ქალი, ო, რა ძლიერ,  
ძლიერ უყვარდა!



## სიზმარში სტუმრად... ანა მარია

დაჯდა და ყელი მოიღერა ჰანგმა ლამაზად,  
სიზმრის ბინდბუნდში ისეც ნაზი, უფრო განაზდა...  
ვიგრძენ, მოფრინდა იმქვეყნიურ ქართა მობერვით  
და თეთრ კაბაზე წითლად აჩნდა ნაჭრილობევი.  
შუბლზე დამადო თბილი ხელი – სუნთქვა მთიების  
და ყრუ სიზმარი გადაივსო მელოდიებით...  
მიაშბეს, როგორ გამოექცნენ გრიგალს – მეკობრეს,  
ჩემი სიზმარი ცაში როგორ დაიმეგობრეს,  
დაუფარდაგეს პარტიტურა ფიანდაზებად,  
ნოტები ქარში აუფრინეს ას-ათასებად,  
ისინიც წამსვე გაიფანტნენ ეტლთა გრიალით,  
რომ მოექცნათ გზაბნეული მგზავრი გვიანი,  
უბედურ თავზე გადაუსვეს ხელი ცახცახით,  
ლურჯ ბაგეებზე გადიობინეს მთვრალი ბარბაცით.  
ზოგმა მის სმენას შეაპარა ნაცნობი ბანგი  
და უჩურჩულა: – ადრინდელზე ფერმკრთალი გახდი!  
რალად დაექებ? ხომ იგრძენი, შენი არ იყო!  
საბრალო სული ცის და მიწის შუა გაიყო...  
ზეცა უწნავდა სასძლო გვირგვინს, მიწა კი არა,  
წასვლის წინ შენი პალატები შემოიარა.  
ყველა საქმარო ექმნებოდა უნდო ქორჭირად,  
რადგან განგებამ საღვთო ქნარზე დააქორწინა...

სიზმარს ლამაზად აელერა შველის კისერი,  
სიფხიზლე კართან სდარაჯობდა, მზერამგლისფერი,  
ლამე ზეცაზე ზურმუხტისფერ სიზმრის ტყეს რგავდა,  
„ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა“...

# მონატრება

დომენიკო ანა-მარიას

განწირული აფრებით  
ზღვას ვეკვეთე ბევრჯერ,  
ზეცა დავარბევინე  
მონატრების ეტლებს.  
გადავცვალე მარხვებზე  
სიყვარულის მსგეფსი,  
ახლა ვწვალობ, მაგრამ ცრემლს  
შენს ლანდებზე ვერ ვცვლი...  
შევიყვარე ცის ფერი  
მინის ფერზე ძლიერ  
და ღამეულ გრიგალებს  
შეშლილ სუნთქვით ვძლიე.  
თლილ თითების მუსიკა  
მოვიბურვე ბადედ,  
შუალამის ოხვრები  
მძიმე ჯვრებად ვრანდე.  
ზეცა გადავათეთრე  
თოვლისფერი ნატვრით,  
ვიცი, ხვალაც ენძელებს –  
მონატრებებს დავთვლი...  
ახლა შენი დაჭრილი,  
გამწყდარ სუნთქვით ვსუნთქავ,  
ღამეს დავაკრეფინე  
ვარსკვლავების სულთქმა.  
ამოვმარცვლე სიზმრები  
მონატრების მძივად  
და ჩემს დაღლილ ღამეში  
ამეთვისტოდ ბრწყინავ...

## სერტანას სამება

სერტანამ ველებზე დილა ააცეკვა,  
მზისკენ გზა დაზვერეს ნამინამცეცებმა,  
მხიარულმა მწყემსმა ნახირი გაშალა,  
გულისჯიბე დასწვა ვნებიან თავშალმა.  
ცრემლებით ჩაჰკითხა გვირილას ბუერამ:  
– ჩქარა გამოიცან, შემამჩნევს თუ ვერა?!  
ცაზე ჩამოჰკიდა ოცნებების სხმული  
დიდ კანუდოსელად უკვე ხელდასხმულმა.  
თვალეებში სამყარო ჩაუდგა კაშკაშით,  
– დამაგვიანდაო! – მარიხი ვიშვიშებს.

ცხენზე ამხედრდება დიდი ვაკეიროც,  
მზის სხივი თვალეებში კრთის და სახიერობს.  
ცის „ირმის ნახტომი“ ზომავს ცხენის ნაფრენს,  
გულს აუნრიალებს შური წამიერი.  
გრძელ ფეხებს დასცქერის სხეული წერნეტა,  
თითქოს დაუნნესო ტბისპირა ლერწმებმა.  
წუხელ მკლავზე ეწვა ქათქათა გვირილა  
და შურით ჭკნებოდნენ ქალწული გვიმრები.

თაყვანი გაცვალეს მწყემსების თვალეებმა,  
ბაგეზე აცეკვდა ღიმილი თავნება.

ველებს გადაუვლის გულთბილი ჩურჩული,  
შეხედეთ, მოდისო დიადი უჟმურიც!  
ცოლის ხმა მოჰყვება მზეების ბურბურით:  
– სულ არ მოგენატრე, ჟოაო, პურპურიკ?!

მათ კვალზე ცხელ-ცხელი ცრემლები დაყვარე –  
მაინც როგორ უყვარს სამება სამყაროს!

მაგრამ ჯავრი კორტნის მამაც ვაკეიროთ –  
მათ ნაშრომ-ნაღვანით, ვაი, სხვა ხეირობს!

ამაყ მოსასხამებს მიჰყრიან, როგორც ჩვარს –  
ეხ! თავისუფლება არა და არ მოჩანს!

შორს კი არნივების გამწვრთნელ-ბაზიერი,  
კალთებს აფრიალებს მენდეს მასიელი...

## როგორ მომენატრე, მირცა!

ძვირფას საფლავების თავზე  
მზე ოქროს ნაწნავებს იწნავს.  
სიჩუმეს ჩურჩული ავსებს:  
– ხილი მოგიტანე, მირცა!  
ნუხელ წვრილვარსკვლავა საბანს  
ფრთხილად გაფარებდა თნებით  
შენი ახალგაზრდა ქმარი  
უცბადგათეთრებულ თმებით...  
ღამეებს საყვარელ ბორცვთა  
თეთრი უძილობა იცავს:  
– შენ არ შეგეშინდეს, შვილო!  
– ყმანვილს მიმიხედე, მირცა!

კამორა დაჰქროდა ბნელში –  
სიკვდილისთვალეა ქორი  
და უახლოესი სუნთქვა  
ხდებოდა უსაზღვროდ შორი...  
დედაშვილ ბორცვების კვნესას  
ღამე ელვის ძაფით კემსავს  
და შურისძიების აფრებს  
შეშლილი სუნთქვებით არხევს.

ჩემი კანუდოსის ქოხებს  
თეთრზე თეთრი სევდა ნისლავს.  
ქარი ანანავებს ოხვრებს:  
– როგორ მომენატრე, მირცა!

## ამორძალების ამოძახილი

მინა იძრა და ახმიანდა მინისქვეშეთი,  
ლხენა მიეცათ მიძინებულ, დამნდარ წყაროებს,  
როცა, მწყემსებო, თავისუფალ სისხლის ჩქერებით  
გადაუქროლეთ ამორძალთა სასაფლაოებს.

„თავისუფლება ვის მიერთვა ტაბლა-ხონჩებით?!“  
მთვლემარ ვულკანთა ამბოხების ჟამი ზვაობდა.  
ათასწლეული მოგვიოდნენ ჩვენი ხორხებით  
ამორძალების გაღვიძებულ სასაფლაოდან.

## უხმეთ მხედრობას!

მინდა, მოვასწრო, აგადევნოთ ჩოროთით მერანი  
დათმენებიან სააღდგომო მარხვის გასვლამდე.  
მეც მიწილადეთ თეთრი თიხა, კანუდოსელნო,  
მეც წამოვმართო ოცნებათა თეთრი სასახლე!

მეც დავუმიზნებ ისრებს – მზისგან ნაბოძებ სხივებს  
ბინდისფერ მწვერებს, თავისუფალ შვლებზე დაგეშილთ,  
მეც ჩამაყენეთ თქვენს რიგებში, კანუდოსელნო,  
ამორძალების სისხლი მიდულს დღესაც ძარღვებში!

უხმეთ მხედრობას! მიეწურა ყავლი დათმენას!  
მე თქვენს ძებნაში ბევრი ბილწი მკლავი ავთალე.  
მეც გადამსახე ჯვარი ხმალზე, კონსელეირო!  
წმინდა მწყემსებო! თქვენს მხედრობას მეც მიმათვალეთ!

\* \* \*

ო, კაატინგა, ყალყზე მდგარო  
აყალმაყალო,  
ნუხელ კაქტუსზე ვიქორწინე,  
ჭექდა სამყარო!  
მისი ყვავილით ბილნ კამორას  
ვაივემცხეთე,  
გთხოვ, დაიფარო ჩემი თეთრი  
თანამეცხედრე!  
ეკლები მკერდზე ავიხუტე  
ვნებაკრძალული  
და გრილ ბალახებს ვასვი ტრფობა  
ამორძალური...

თეთრი სახლები წამოვმართე  
მდინარის პირას,  
თავისუფლების უქათქათეს  
ფრთებით დავფრინავ!  
მწყემს მანუელებს თავზე ვადგამ  
მზეებს გვირგვინად,  
დიდ ვაკეიროს აფუყვავე  
მკერდზე გვირილა.

მაგრამ სიზმრებში დიდ სითეთრეს  
კვამლი ერევა,  
ვხედავ, ბჭეკარი შემოლენეს  
კამორელებმა!  
წმინდა ბუჩქნარო, კვლავ გახელდი,  
კვლავ აიეკლე!  
თორემ მოგვადგა კარს ბნელეთის  
პირეუში მეკვლე!  
ვიდრე ცისკარი ნაფლეთებად  
დაიძენძება,  
დე, იზეიმონ ბასრ ჭანგებმა,  
ბევრზე ბევრებმა!



ო, კაატინგა, გაიღვიძე,  
გამოფხიზელდი!  
წმინდა მდინარე გადმოლახეს  
კამორელებმა!  
ო, კაატინგა, ამოუცნობ-  
ამოუხსნელო,  
სისხლით დათრობის დამლუპველო  
ნაბახუსეგო,  
ვიდრე მამალი კანუდოსში  
რიჟრაჟს იყივლებს,  
ზეცა თხზავს მწყემსთა უდიადეს,  
გმირულ სიკვდილებს,  
ზე მორეირა ველარ ითვლის  
მზისფერ იარებს,  
მანუელ კოსტას დათხრილ თვალში  
ღმერთი ბრიალებს...

კოლხეთის ზეცა ძრწოლით დასცქერს  
ჩემს მწველ ოცნებებს –  
მიმწვარ მკერდიდან ამოწვართულ  
კანუდოსელებს...

\* \* \*

ღამეს ველარ გააღლობ,  
მზეო, ამობრძანებით!  
ვარსკვლავთ ქიმებს შევამსხვრევ  
კივილს ამორძალების!  
მინას აანრიალებს  
გმინვა დაჭრილ მინდორთა –  
მკერდზე ხანძრად შებმული  
ძღვენი ვაკეიროთა...  
დალენილი აბჯარი  
ბოლო სუნთქვას იკავებს,  
ყელში ბურთი გასჩრიათ  
გახევებულ გრიგალებს.  
ცის კიდეში მიხვეტავს  
ღამე წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,  
გულის მოსაბრუნებლად  
მთვარე ორ ყლუპ წყალს დალევს,  
მინას უხმოდ შეუქებს  
იარების გაძლებას,  
მერე სხივებს დაუნთებს  
ღიად დაკვირადლებას...

# რამდენჯერ

## დომენიკოს

როგორ გადაივაკებ უსამშობლო აღმართებს?!  
კიდევ რამდენ საკერპოს შეუღლესაც წარმართებს?!  
კიდევ რამდენს აიტან მონატრებას თვისტომთა?!  
კიდევ რამდენს დაიტევ სევდას ამეთვისტოთა?!  
კიდევ რამდენ კამორას ჩაიყენებ თვალეებში?!  
რამდენ ბუჩქნარს იხილავ ცოდვილ სისხლით გაღეშილს  
და რამდენჯერ შეგზარავს შენივ ბაგის კნავილი,  
გამოამტვრევს როცა ბნელს შიში – ღამის ყვავილი!  
რამდენს შეენივთები უგვაროს და გვარიანს  
და რამდენჯერ იღმუვლებ: – ვკვდები, ანა მარია!  
რამდენჯერ მოინატრებ შენი თონის კუტიპურს,  
როს მზაკვარი სალაფავს წინ დაგიდგამს უფლისწულს!  
რამდენ ღამეს დაფანტავ გმინვით იგავუძლებში,  
ვიდრე უფალს ცხელ ცრემლებს ჩაულაგებ უბეში!

## ცეცხლი დააგზნე!

ააბურბურე ეს კოცონი, მამავ, მაღალო,  
დე, ღველფად იქცეს ცოდვიანი ჩემი სამყარო!  
სანამ დაღლილი სულთქმასა და ოხვრას ვუნდები,  
ცეცხლს მიეც ჩემი სინანულის იაგუნდები!  
გადამქრალ სუნთქვას შეაშველე გრილი ნაკადი,  
თორემ შენს ძვირფას ნაფუძვრებთან გმინვით გავთავდი...

ცეცხლი დააგზნე, დიდი ცეცხლი, გვედრი, მამაო,  
მინდა, კვამლს გაჰყვეს ხეტიალი ჩემი ამაო,  
ამ თვლების კვნესა, მინდა, ღველფებს გადავაყარო,  
თორემ დამემხო წყევლა-კრულვით შავი სამყარო!  
ლალებს, ბივრილებს ცეცხლს ვუყრი და სულ არ მივტირი,  
პირველ სამოსელს გამოვთხოვე ყველა ამ დილით,  
მათ შეისრუტეს ჩემი წლები ცივ ნახნაგებით,  
უტყვი ღარები დაიფერეს მკაცრ ქარაგმებით...  
ცეცხლს მივცემ ყველას, თუნდ დამფანტონ რისხვით მარტებმა,  
ნაღვერდლებს მათი ელვარებაც შეემატება.

შენით, ო, შენით, ამ გზას შენი კვალი სჩენია...  
ვიცი, ეს ცეცხლიც შენი წმინდა განაჩენია!  
მე რას დავაცხრობ ქარიშხლიან სუნთქვას მინდორთა?!  
რას მოვუხერხებ მონატრებას ვაკეიროთა?!  
რას ვუზამ ელდას, ამოხეთქილს შიშის ყვავილად,  
ცაში ვარსკვლავთა შეცხადებას მღვრიე ნაკვილად?!  
ყველა ზურმუხტი გავიმეტე ცეცხლის ზვარაკად,  
ყველა მარგალიტს ჩამოვწყვიტე ყველა ქარაგმა,  
მაგრამ ეს თლილი ამეთვისტო ყელზე დამკიდე,  
ტროფობის სურნელი შერჩენია მძაფრი ჯერ კიდევ.  
მან წამოკრიფა კივილები – „ანა-მარია!“  
ის დამიტოვე, მისი ბრწყინვა ჩემი ჯვარია!

ვიცი, თვალები გაითენებს დარდიან ნისლში,  
რადგან გამხადე სამოსელი პირველის ღირსი.  
ააბურბურე ეს კოცონი, მამავ, მაღალო,  
დე, ნაცრად იქცეს ცოდვიანი ჩემი სამყარო!

\* \* \*

სერტანას ველებს დაუმნიფდათ ქარვისფრად ურვა,  
ვაკეიროებს მისტირიან, ბატონო გურამ!

თავისუფლების ქარი ნუხელ მოთქმით დაოსდა  
კანუდოსელთა უძვირფასეს სასაფლაოსთან.

სული დაღალა ქარიშხლებში ურვამ და ბრუნვამ,  
ზე მორეირა შემეყვარდა, ბატონო გურამ!

\* \* \*

ცას გაიკრიფნენ  
გმირებიც და მოზარეებიც,  
მელა დაგირჩი  
ერთგულ დობილად,  
ო! კანუდოსი – თეთრი ქალაქი  
მართლა როგორი  
ძნელი ყოფილა!

იანვარი – აგვისტო, 2013

# საბოლოოთენი

## სიჯედილს – უფლისწულს

ერთი თუ მაინც შეგიყვარებსო,  
ზღაპარმა ბრძანა,  
გადარჩები და ბედნიერებას აჩუქებო  
შენს შემყვარებელს.  
...და შეიყვარა მზის სხივივით წმინდა მშვენიებამ  
მოჯადოებულ უფლისწულის  
უსახურება.

ქარი დავთესე და ქარიშხალმა ამანყვიტა  
უფლის კალთას  
წყველა-მუქარით.  
სამოთხის კარმა ჩემს ზურგს უკან გაიჭრიალა  
და შევრჩი ქაოსს  
შეჩვენებული და განდევნილი,  
ისევ უფლისგან ნაწყალობევი  
ტყავის სამოსით,  
ჩემს სიშიშვლეს  
განრისხებული მზრუნველობით რომ შემოაცვა.

წუთმა სოფელმა ნაფლეთებად ჩამომიძონდა  
უსიერში ხეტიალისგან დაღლილი ტყავი  
(რა სამოსელი გაუძლებდა  
შხამ ეკალ-ბარდებს  
უგუნურების ძეძვებზე დამყნილს!).

მადლობა უფალს,  
მიმზადებდნენ მისი ხელები  
ახალ სამოსს – ტკივილებისნაქარგებიანს,  
ჩემმა ძონძებმა იზეიმეს  
კვნესა-ტკივილით გაჟღენთილი  
სტავრა-ატლასი.

ის კი, ის – სული,  
მზისკენ მზერით დაღლილი და დაღამებული,  
დაჭრილ მხეცივით აწყდებოდა  
ტკივილიან ფარჩა-ატლასებს –  
ქსოვილის სილბო ქცეულიყო ციხის ქვითკირად,  
ჯერ არგატეხილ-აუღებელის,  
ლეთის აქეთ სანაპიროზე.  
დიად მოლოდინს წელი და მხრები  
უცახცახებდა მღელვარებისგან  
და ძლივს ეჭირა დაფხავებული სხეული ჩემი –  
ძვლის ეკლესის გაღავანი შემორღვეული.

...მაგრამ მომიხვედ  
მოჯადოებულ უფლისწულის უბრალოებით  
და წამოკრიფე ტკივილები  
სამოსელის ნაქარგებიდან,  
ჩემი ძონძები ნარცისების მზეში გახვიე,  
ხოლო ბედნიერ, თავისუფალ, მაგრამ შიშველ სულს  
მცირე ხნის შემდეგ  
ლეთას ზვირთი მიაქანებდა,  
რომლითაც უხვად ირწყვებიან  
დავინყების უდაბნოები!..  
აკრეფილიყვენენ მკაცრი ნისლეები  
სულის თვალთა სამზერებიდან  
და მე ვხედავდი მოზეიმე ელვარებას შენი კარიბჭის,  
რომელშიც უცხო დიდებულებით,  
უუძვირფასეს ტახტრევანზე დაბრძანებული,  
შედიოდა დაძონძილი სამოსი ჩემი...  
და უხილავი თბილი ხელები  
სულმთლად ახალ სამოსს მაცმევდნენ,  
ქათქათას, თოთოს და რძისსუნთანს...

ერთი თუ მაინც შეგიყვარებსო,  
ზღაპარმა ბრძანა...  
მე შეგიყვარე ერთგულ სასძლოს მიამიტობით,  
ამაგდარო სიკვდილო ჩემო  
და დავიჯერე მინისფერის გალაყვარდება.



ვიცი, მომიხვალ მაშინ, როცა მიგანებს ყველა,  
მერე რა, ჯერ რომ შენს დიდ ცაზე არც ქუსს, არც ელავს.  
დალენილ რტოებს აუყვავებ თეთრ აკაციებს,  
შენს მობრძანებებს დაარქმევენ ინკარნაციებს...  
მე უფლისწულად მოგიხსენებ, სიკვდილო ჩემო,  
წმინდა ჯვრისწერის მოლოდინი იწვის და კდემობს,  
მადლობის ღიმით დაგიკოცნი ხელებს მიწიანს,  
უმაღურებმა თავის საქმე თვითონ იციან!

07.07.2013

## გმადლობ, რომ მიხმე!

გზის აქეთ-იქით ჩამორიგდნენ ქერუბიმები,  
ვაი, ამ აღმართს ვერ ავივლი შენებრ უბრალო!  
აჰა, მაჯები! – ჩემი ხსნისთვის დაღვრილი სისხლი  
სულ მისხალ-მისხალ მოგითვალო, მინდა, უფალო!

მოვდივარ! მინდა, ამოხსნილიც, ამოუხსნელიც,  
ყოფნაც, არყოფნაც, საგოლგოთე ჯვართან დავყარო,  
მოვდივარ!.. მაგრამ აბურდული, ჩაბნელებული  
კალთები ველარ ავუკრიფე ამ ჩემს სამყაროს!

მოვდივარ, მტირალ იებს ვფანტავ დამფრთხალ მინაზე,  
შენი ცისკრები შეინახეს ჩემმა თვალებმა!  
ცხელმა უდაბნომ ამოფეთქა ველთა სიმწვანე,  
ო, ეს მინდვრები როგორ თბილად მესაფლავენა!

შეკრულ მუჭებში სინანულის ნამცეცებს ვითვლი,  
რიდის სითეთრე ბოლო გზაზე მოვიზედმეტე...  
იორდანედან წამოფრენილ ქათქათა მტრედებს  
ჩამოსასხდომად შევახარბე მხრების სითეთრე.

აი, გამოჩნდა! ამობრწყინდა ჩემი გოლგოთა!  
მზე მენამული იმ შორეულ ხანძრით ბურბურებს,  
ვნების სამოსით შეიმოსა შავი კოჰორტა,  
ცოდვილ ხელებმა აუკინძეს ფრთები შურდულებს...

მინდა, მოვასწრო შავ კალთების გაცისფერება,  
ბნელ ღამეში რომ აფრიალეს ვნების ქარებმა  
და ჩემს სხეულში ჩაკიდული კიბის ჩარღვევა,  
უთვალავჯერ რომ ჩაირბინეს კუდიანებმა,

მინდა, მოვასწრო, გადავკვანძო გამწყდარი ხმები,  
გუნდის ლოტბარი რომ უხმობდა დილით ამაოდ,  
ვერ შევაკავე, მიიწევდნენ თავგამეტებით,  
სადაც უფსკრულში ჩამომხრჩვალი ნისლი ქანაობს...

მიახლოვდება მოგუგუნე ცის ანათემა,  
სიკვდილს რომ კვალში ჩაფუდექი, უცებ დავბერდი!  
მავიწყდებოდა ცის კოშკებზე ცეცხლის დანთება,  
და მეთათსედ მივაპობდი სივრცეს მთვარემდი...

ჩემი გოლგოთა! ამღვრეული მოთქმა გოდოლთა!  
ვაი, ამ აღმართს ვერ ავივლი შენებრ უბრალო!  
ვინ მომაშავა ჯვარზე ვნების ბედნიერება!  
მინდა, შენს სივრცეს შევემატო ერთ ხმად, უფალო!

როგორც კი მიხმე, აკვნის ზონარს ხელი შევუშვი,  
ჩვილის ტირილი გამოვაბი გრიგალს ტოტებზე,  
ვერც კი შევნიშნე, ამიყვავდა მკერდზე ზამბახი,  
თმებში ჩანწული ოქროსფერით კვალში მომდევს მზე!

შენ კარგად იცი, გზაბნეული მგზავრი როდი ვარ!  
გმადლობ, რომ მიხმე, გეახლები... მოვდი... მოვდივარ!..

01.02.2014

## სიყვდილს დაბადება ახლავს!

მენავევ, მომეცი ხელი,  
თორემ დამიმძიმდა ბიჯი,  
ნავში გადმოთრევა ტვირთის  
მიჭირს, უსაშველოდ მიჭირს.  
პირაქეთ სოფელში ვკრავდი  
ამ ცოდვა-მადლიან ფუთებს,  
ობოლს ვუკემსავდი პერანგს,  
გულში ვიხუტებდი უძლებს.  
ტილოში ვგრაგნიდი საგზლად  
შვილების ჩურჩულა ლოცვებს,  
მშობლების დაძარღვეულ ხელთა  
პირჯვრის დასანერად მოცლებს.  
უთქმელგაუმხელი დარდი  
უბეში ვინახე დიდხანს,  
გოჯად მივითვალე ადლი,  
მკლავებს დავუნესე მირქმა.  
გვედრი, ცოდვაცა და მადლიც  
კისერზე დამკიდე ჯვრებად!  
თანაც მიადევნე თვალი,  
გალმა ნაპირამდე მებას!  
მერე შეაცურე ნავი,  
ლეთას პირქუმ ტალღებს ანდე,  
სანთლებს დაუნყნარე ალი,  
სუნთქვა დაუმშვიდე შანდლებს...  
ლეთა დამავიწყებს, ვინც კი  
ამ წამის სოფელში შემხვდა,  
ვისაც მოვუშუშე წყლული,  
ვინაც გამიქარვა სევდა...  
გალმა სანაპირო ნისლში  
ახალი სინათლე მოჩანს,  
ისევ შემანუხებს „ვინ-ვის“,  
ისევ შევებმები დრო-ჟამს.  
როგორღა შევიძლებ, ღვანლში  
ძვირფას მოგონებებს ვდიო,

როსლა გავაბრწყინებ იმ ცის  
ბნელით ამოქოლილ ღიობს.  
მენავევ, ის დროა ახლა,  
ყლუპი გამოვთხოვო ტალღას,  
ხსოვნა თუ მოკვდება, მახლას!  
სიკვდილს დაბადება ახლავს!

ოღონდ ეს პატარა ფუთა  
გალმა გამატანო უნდა,  
შიგ გადაუხდელი ვალი  
დაღლილი ფილტვებით სუნთქავს.  
სითბო დავაკელი ხელებს,  
ბაგეს ავარიდე ბაგე,  
ოცნებანატკენი ხვალის  
კვნესასარეცელი ვრანდე.  
ნაპირს გამოსთხოვე ჩემთვის  
ბინად ხის ლოგინი ხმელი,  
სადაც იმ ხასხასა მწვანე  
თვალეების პატრონი მეღის.

მენავევ, მომეცი ხელი,  
თვალეები ამევსო ბნელით,  
რაც მოსახდენია, მოხდეს,  
დე, საცხოვნებელი ცხონდეს!  
გული თუ ჩერდება, მახლას!  
სიკვდილს დაბადება ახლავს!  
სიკვდილს დაბადება ახლავს!  
სიკვდილს დაბადება ახლავს!

12.08.2013

## სარჩევი:

### ბაბუანვერას ველების გლოვა

ფარდა გახსენით! .....	5
ბაბუანვერას ველების გლოვა .....	7
*** კალთაში მიდევს დედამინის... ..	12
ბრავო, მაესტრო! .....	13
მიშველე, ქილონ! .....	15
*** გულკეთილ ფიჭვებს გამოვთხოვდი... ..	17
მერე... ..	18
ანტითეზა .....	19
მე დედა ვარ და ვარ დედამინა .....	21
ლილიტ .....	24
მეამბოხე მისტერიები .....	26
*** ჩემი საბრალო ჩიტბატონა... ..	28
ათასმეერთე .....	29
*** როგორ მოვქროდი!.. ..	31
ლოდნი დაწუნებულნი .....	33

### იმპრესიები

დღეი მეექვსე .....	37
სულის მოლოდინი .....	38
ამ სინათლეს აჰყევი! .....	42
ევრიდიკეს ღამე .....	44
რა ამინდია... ..	46
წაშლილ თვალებით .....	47
დევის ცოლის დატირება .....	48
უკანასკნელი აღსარება .....	50

### ცეკვა ქარებთან

აღდგომის ღამე .....	53
სიდონია ყოველი გარდამოსხნის ჟამს .....	54
*** ვაქორწინებდით სიყრუეზე... ..	55
მაინც ... ..	56
შენ რომ სასახლე წამომართე .....	57
ხმა გალაქტიკიდან .....	58
ცეკვა ქარებთან .....	59
გალაკტიონს .....	60
ჩემი ქაოსი .....	61

ავტოპორტრეტი .....	62
ლოდინი დედების ხვედრია .....	63
დაკარგულ კვიცსავით .....	64
ნუხელ გათოვდა... ..	65
*** მხოლოდ ერთი ღამე მეძინა... ..	66
პირველი ქვა .....	68
ალარ მაკვირვებს .....	69
რეტროგრადული ლექსი .....	70
როგორ გააბრწყინებს?! .....	72
*** სამშობლოვ, როგორ მემწუთხება შენი ალერსი... ..	73
ჩინური ზღაპარი საქართველოში .....	74
ჩრდილოელ მეზობელს .....	75
იავნანის მაგიერ .....	76
ხიდები ინვიან... ..	77
ორივენი დავმშვიდდეთ .....	78
დაგვიანებული ლოცვა .....	79
გოშიებივით მოგყვებიან .....	81
*** ხომ არ შეგშურდა ჩემი სევდის... ..	82
მანდ რომ ტკივილი მომენატროს!.. ..	83
*** ფრთები მიცვივდება ძირს... ..	84
დაიფარე, დედოფალო! .....	85
წინათგრძნობა .....	86
სატრფიალო ლირიკის ალტერნატივა .....	87
ფოთლებთან კამათი .....	88
როგორც იქნა! .....	89
მადლიერება .....	90
ვედრება .....	91
მოდი, სალიერ! .....	92
რეინკარნაცია .....	93
ამალამ .....	94
ლექსმეუფეს .....	95
კიდევ კარგი... ..	97
არაევეროპული სონეტი .....	98

**იმედისფერი ფენიქსი**

ქარიშხლის შემდეგ .....	100
სეტყვა ამურის ბაღებში .....	101
იმედისფერი ფენიქსი .....	103
დარჩნენ ქვიშანი .....	105

## სიტყვაკუნწულები 107

*** დღეს გამახსენდა...	107
*** ერთი ზმანება...	107
*** აუხდენლობის ახდენები...	107
*** ო, უკვდავებავ...	107
*** ახლა ამური მაჯილდოებს...	108
*** შენ გაიმარჯვე, სიძულვილო...	108
*** ბოლო სიკვდილით...	108
*** ყოველი დილა ჩურჩულებდა...	108
*** ქვის საათებს დაეფანტათ...	109
*** ამპარტავნებავ!..	109
*** ამ დილით თოვდა...	109
*** ეჰ, ოფელია!..	110
*** სულ სათითაოდ გაიკრიფნენ...	110
*** ბრიყვა ხარხარმა...	110
*** სხვა რაღა გზაა!..	111
*** თავზარდამცემი ხმა გაისმა...	111
*** მზევ, დააფინე...	111
გასაუბრება მინდვრის ტიტასთან	111
„სიყვარულის სულთათანის“ დანერიდან ერთი წლის შემდეგ	111
*** ისე დავაცოტავე..	112
*** როგორ აირივნენ ფირები...	112
*** მოდი და ენდე...	112

## ლამენათევი ლექსები

### ესკიზები ელენე დარიანის პორტრეტისათვის

*** ო, სულ ახლახან...	114
*** ჩემმა სევდიანმა ლექსმა...	114
*** სარკის ორეულს...	115
ჟანგისფერი ლექსი	116
*** ლექსებასხმული მენადების...	117
*** მზემ აღმური გაუძვირა სახსრებს...	117
*** ლამემ დაკრიფა...	118
*** არც ამაღამ და არც არასდროს...	118
სონეტი მომღერალ ქალს	119
*** მეც გავამშვენე...	120
*** პირქუმ სიბნელეს შეერივნენ...	121
*** შენი სიზმრები აწრიალდნენ...	122



## **სევდის იკებანები**

### **ბარონესას ლექსადქცეული მოგონებანი**

*** გაცრეცილ პორტრეტს მიაფრენენ... ..	124
თავადო, ბარონესა სახლში არ გახლავთ .....	125
ბარონესა ცეკვავს .....	126
წვიმა .....	127
*** ციდან ენძელების თოვა... ..	128
ორი ბალიში .....	129
*** სული აუტირდათ ნაკანრებს... ..	130
ქალბატონი სევდა .....	131
*** ავ სიზმრის მნახველი... ..	132
აჩრდილებთან თამაში .....	133

## **ამორძალების ამოძახილი**

### **ვარიაციები გურამ დოჩანაშვილი „სამოსელი პირველის“ თემებზე**

ცეკვავდა ქალი .....	135
სიზმარში სტუმრად... ანა მარია .....	136
მონატრება .....	137
სერტანას სამება .....	138
როგორ მომენატრე, მირცა! .....	140
ამორძალების ამოძახილი .....	141
უხმეთ მხედრობას! .....	142
*** ო, კაატინგა... ..	143
*** ღამეს ველარ გააღლობ... ..	145
რამდენჯერ .....	146
ცეცხლი დააგზნე! .....	147
*** სერტანას ველებს... ..	148
*** ცას გაიკრიფნენ... ..	148

## **საგოლგოთენი**

სიკვდილს – უფლისწულს .....	150
გმადლობ, რომ მიხმე! .....	153
სიკვდილს დაბადება ახლავს! .....	155

\*\*\*

ქარი ხიყვარულს ჰპირდებოდა  
ვამლოს უვაილებს,  
მერე მისი გულზე სახიფვდილო  
როგვას ჩქნიდა...  
ზადავილელი გამაფხვლის  
გულისპირი და  
ქაობს ამოჭყეე მოგუჯუნე  
ჩემი უბიდან  
და ჩამორევა ხამრელომე  
მარმა მმაობის...  
ჭიამაიაე, ზად გამაფრენს  
ჩემი ქაობი?..

